საზოგადოებრივ-ლიტერატურული ჟურნალი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# არილი

ფასი 2 ლარი

1134 /2
2016



2016/აგვისტო
8 (250)

რობერტო ბოლანიო

## ლაბირინთი

# სარჩევი


| | | |
|---|---|---|
| თარგმანი | 1 | რობერტო ბოლანიო \| ლაბირინთი<br>*ინგლისურიდან თარგმნა თამარ ლომიძემ* |
| | 9 | ემი ჰენინგსი - დადაისტი ქალი მრავალი როლით \|<br>"ჩემი სიტყვები მე სულ არ მგავანან"<br>*გერმანულიდან თარგმნა ბელა ჩეკურიშვილმა* |
| პროზა | 14 | ჯაბა ზარქუა \| ჰიპოკრატეს სახე |
| | 21 | ოთარ ჯირკვალიშვილი \| ბეკეტი |
| კრიტიკა | 30 | ზაზა კვერცხიშვილი \| გიორგი შატბერაშვილის<br>"ზაფხულის ღამის ქრონიკა" |
| კათედრა | 38 | უმბერტო ეკო \| მათემატიკის უკუღმართი გამოყენების<br>შესახებ<br>*იტალიურიდან თარგმნა დარეჯან კიკოლიაშვილმა* |
| რეცენზია | 47 | ჯაბა ზარქუა \| ასანთთან თამაში სახიფათოა! |


გარეკანი: მამუკა ტყეშელაშვილი


# არილი

საზოგადოებრივ-ლიტერატურული ასოციაცია
"არილის" ყოველთვიური გამოცემა

The Literary Magazine "Arili"

რედაქტორები
მალხაზ ხარბედია
შადიმან შამანაძე

მხატვარი მამუკა ტყეშელაშვილი

კორექტორი ინა არჩუაშვილი

კომპიუტერული უზრუნველყოფა თამაზ ჩხაიძე

პროექტის მენეჯერი ეკა ხარბედია



სარედაქციო საბჭო

რატი ამაღლობელი, ია ანთაძე, ანდრო ბუაჩიძე,
ლაშა ბუღაძე, თამაზ ვასაძე, გიორგი კეკელიძე,
ზურაბ კიკნაძე, ვასილ მაღლაფერიძე,
ზვიად რატიანი, ჯიმშერ რეხვიაშვილი,
ირაკლი სამსონაძე, გულსუნდა სიხარულიძე,
ბაკურ სულაკაური, ირმა ტაველიძე,
ქეთი ქანთარია, პაატა შამუგია, ზაზა ჭილაძე.


არილი - დასასვენებელი სიწმინდეთა

სულხან-საბა

არილი - მზის შუქი, რამეზე დამდგარი

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი

არილი - თანამედროვე ქართული ლიტერატურის მარილი

ხალხური


ელექტრონული ფოსტა: info@arilimag.ge
ვებგვერდი: arilimag.ge

გამოდის 1993 წლიდან



© ჟურნალში გამოქვეყნებული მასალების გამოყენება
"არილის" რედაქციის ნებართვის გარეშე აკრძალულია



ჟურნალი გამოდის
საქართველოს კულტურისა და
ძეგლთა დაცვის სამინისტროს
ფინანსური მხარდაჭერით

ეროვნული ბიბლიოთეკა

## რობერტო ბოლანიო

# ლაბირინთი

*ინგლისურიდან თარგმნა თამარ ლომიძემ*




წინამდებარე ფოტოსურათზე აღბეჭდილი არიან (მარცხნიდან მარჯვნივ): ჟ. ანრიკი, ჟ-ჟ. გუ, ფ. სოლერსი, ი. კრისტევა, მ.ტ. რევეიე, პ. გიიოტა, კ. დევადი, მ. დევადი.

ისინი მაგიდასთან სხედან. კამერას უყურებენ. ჩვეულებრივი მაგიდაა, ხის ან პლასტმასისა. შესაძლოა, ლითონისფეხებიანი მარმარილოს მაგიდაც იყოს, მაგრამ არ ვაპირებ, დეტალურად აღვწერო. ბოლოს და ბოლოს, მაგიდა მაგიდაა. მთავარი ისაა, რომ: 1. მაგიდა საკმარისად დიდია; 2. მას ზემოდასახელებული ადამიანები უსხედან და 3. ის კაფეში დგას. შესაძლოა, მართლაც კაფეში იდგეს. დავუშვათ, რომ ის კაფეში დგას.

რვა ადამიანი, რომელთაც ფოტოსურათისთვის პოზირება განუზრახავთ, მაგიდას შემოსხდომიან ნახევარმთვარის ან ნალის ფორმით, ისე, რომ თითოეულ მათგანს მკაფიოდ ვხედავთ. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, არავინ არიდებს მზერას კამერას. მათ წინ ან, უფრო სწორად, მათსა და ფოტოგრაფს შორის (რაც რამდენადმე უცნაურია) მოჩანს ქოთნებში ჩარგული სამი მცენარე - როდოდენდრონი, ფიკუსი და უკვდავა - ერთგვარი ბარიერი (თუმცა, შესაძლოა, ვცდები) კაფეს სხვადასხვა ნაწილს შორის. სავარაუდოდ, ეს ფოტო გადაღებულია 1977 წელს ან დაახლოებით იმ ხანებში.

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

დავუბრუნდეთ მაგიდასთან მსხდომ ადამიანებს. როგორც ვთქვი, მარცხნივ ზის ჟ. ანრიკი, ანუ მწერალი ჟაკ ანრიკი (დაიბადა 1938 წელს), ავტორი ნაშრომებისა: "თაღები", "არტო ჩინეთს ემსახურება" და "ნადირობები". ანრიკი ჩაფსკვნილი, მხარბეჭიანი, დაკუნთული მამაკაცია. ალბათ, არც ისე მაღალია. უჯრულა პერანგი აცვია. სახელოები ცოტათი აუკაპიწებია. ლამაზ მამაკაცს ვერ ვუწოდებთ - კვადრატული სახე ფერმერს ან კალატოზს მიუგავს. ხშირი წარბები და მუქი ნიკაპი აქვს, ისეთი ნიკაპი, დღეში ორჯერ რომ უნდა გაიპარსოს (ყოველ შემთხვევაში, ზოგიერთის აზრით). ფეხი ფეხზე აქვს გადადებული. მუხლებზე ხელები შემოუხვევია.

მის გვერდით ვხედავთ ჟ.-ჟ გუს, რომლის შესახებ არაფერი ვიცი. ალბათ, ჟან-ჟაკი ჰქვია, მაგრამ სიმარტივისთვის, უბრალოდ, ინიციალებით მოვიხსენიებ. ქერათმიანი ახალგაზრდაა. სათვალეს ატარებს. არც ისე მიმზიდველია (თუმცა, ანრიკთან შედარებით, არა მარტო უფრო ლამაზი, არამედ უფრო ინტელექტუალური გარეგნობაც აქვს). სხვა რა ვთქვათ? სიმეტრიული ნიკაპი. სავსე ტუჩები. მაღალყელიანი სვიტერი. მუქი ტყავის ქურთუკი..

ჟ.-ჟ.-ს გვერდით უზის ფ. სოლერსი - ფილიპ სოლერსი (დაიბადა 1936 წელს), "ტელ კელის" რედაქტორი, ავტორი რომანებისა: "დრამა", "რიცხვები", "სამოთხე". ამ საზოგადო მოღვაწის სახელი ყველასთვისაა ცნობილი. სოლერსს ხელები გადაუჯვარედინებია, მარცხენა ხელი მაგიდაზე უდევს, მარჯვენა ხელით კი მარცხენა იდაყვს ჩასჭიდებია. მრგვალი სახე აქვს. მსუქანი არაა, მაგრამ, ალბათ, რამდენიმე წელიწადში ქონი მოეკიდება: სახეზე ეტყობა, რომ გემრიელი კერძები უყვარს. ტუჩებზე ჭკვიანი და ირონიული ღიმილი დასთამაშებს. თვალები უფრო პატარა და უფრო მეტყველი აქვს, ვიდრე ჟ.-ჟ.-ს. კამერას უყურებს და შეშუპებული უპეები მის მრგვალ სახეს ერთდროულად სერიოზულ, თავდაჯერებულ და ხალისიან გამომეტყველებას ანიჭებს. ჟ.-ჟ.-ს მსგავსად, მაღალყელიანი სვიტერი აცვია. ამასთან, მისი სვიტერი ქათქათა თეთრია, ჟ.-ჟ.-ს სვიტერი კი, როგორც ჩანს, ყვითელი ან ბაცი მწვანე ფერისაა. სოლერსს სვიტერზე შავი ტყავის პიჯაკი აცვია, თუმცა, შესაძლებელია, პიჯაკი ნატისა იყოს. მაგიდასთან მსხდომთა შორის მხოლოდ სოლერსი ეწევა სიგარეტს.

სოლერსს მისჯდომია ი. კრისტევა - იულია კრისტევა, ბულგარელი სემიოლოგი, სოლერსის ცოლი, ავტორი გამოკვლევებისა "პოეტიკის განადგურება", "შიშის ძალები", "ენა - შეუცნობლის სფერო". ამ გამხდარ, მაღალყვრიმალებიან ქალს შუაზე გაყოფილი შავი თმა კეფაზე შეუკრავს. ისეთივე შავი და მეტყველი თვალები აქვს, როგორც სოლერსს, თუმცა, კრისტევას დიდრონი თვალები უფრო თბილია (და უფრო თვინიერი). ფართოყელიანი სვიტერი აცვია, რომელიც მჭიდროდ ეკვრის სხეულზე. გრძელი მძივი ხაზს უსვამს მისი სხეულის ფორმას. ერთი შეხედვით, ვიეტნამელს წააგავს, თუმცა, უფრო სავსემკერდიანია, ვიდრე - საშუალოსტატისტიკური ვიეტნამელი ქალი. მაგიდასთან მსხდომთა შორის მხოლოდ კრისტევა იღიმება ისე, რომ კბილებს აჩენს.

კრისტევას გვერდით ვხედავთ მ. ტ. რევეიეს. მის შესახებ არაფერი ვიცი. ალბათ, მარი-ტერეზა ჰქვია. ვივარაუდოთ, რომ ასეა. მარი-ტერეზა ერთადერთია, ვისაც მაღალყელიანი სვიტერი არ აცვია. ანრიკსაც არ აცვია, მაგრამ მოკლე კისერი აქვს (თუკი მის კისერს შეიძლება კისერი ვუწოდოთ), ხოლო მარი-ტერეზა რევეიეს მაღალი ყელი მთლიანად მოუჩანს მუქი ტანსაცმლიდან. სწორი და გრძელი თმა აქვს, რომლის შუა ნაწილი წაბლისფერი ან, შესაძლოა, ქერა ფერისაა. იმის წყალობით, რომ მარი-ტერეზას სახე მარცხნივ მიუბრუნებია, საყურე ყურისგან განცალკევებით აღიქმება, როგორც გზააბნეული სატელიტი.

მარი-ტერეზა რევეიეს გვერდით უზის პ. გიიოტა - ანუ პიერ გიიოტა (დაიბადა 1940 წელს), ავტორი რომანებისა: "საფლავი ხუთასი ათასი ჯარისკაცისთვის", "ედემი, ედემი, ედემი" და "პროსტიტუცია". გიიოტა მელოტია, რაც მისი ყველაზე ღირსშესანიშნავი თავისებურებაა. გარდა ამისა, ყველაზე ლამაზი მამაკაცია ჯგუფში. გიგანტური მელოტი თავი ულაპლაპებს. საფეთქლებთან შერჩენილი შავი თმა ძალზე წააგავს დაფნის ფოთლებს, რომლებითაც გამარჯვებულ მხედართმთავრებს ამკობდნენ ძველ რომში. არც სახე მიუტრიალებია, არც შთამბეჭდავი პოზა მიუღია. შავი ქურთუკი, პერანგი და მაისური აცვია. შავზოლებიან თეთრ მაისურს (რაიმე ხომ არ მეშლება?) საყელოზე უფრო ფართო შავი ზოლი აქვს შემოვლებული, ისეთი, როგორიც ბავშვების ან საბჭოთა პარაშუტისტების ტანსაცმელზე შეგიძლიათ ნახოთ. მკაფიოდ მოხაზული წარბები გამოყოფს მის უზარმაზარ შუბლს სახისგან. ცნობისმოყვარეობით იმზირება, მაგრამ, შესაძლოა, ვცდები. როგორც ჩანს, ტუჩები საგანგებოდ არ მოუკუმავს. ეს მისი ჩვევა უნდა იყოს.

გიიოტას გვერდით კ. დევადია. კაროლინა? კაროლი? კარლა? კოლეტი? კლოდინი? ვერასოდეს შევიტყობთ. სიმარტივისთვის დავუშვათ, რომ მას კარლა დევადი ჰქვია. მოკლე თმა უკან გადაუვარცხნია. ჩვენ წინაშე შავ-თეთრი ფოტოა, მაგრამ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ კარლა შავგვრემანია და, ალბათ, სამხრეთელი - ხმელთაშუა ზღვის აუზის რომელიმე ქვეყნიდან. შეიძლება, კარლა დევადი წარმომავლობით სამხრეთ საფრანგეთიდან, კატალონიიდან ან იტალიიდან იყოს. მხოლოდ იულია კრისტევას აქვს ასეთივე შავგვრემანი კანი, მაგრამ კრისტევას კანი - შესაძლოა, ეს განათებით გამოწვეული

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეფექტი იყოს - უსწორმასწოროა, მაშინ, როდესაც კარლა დევადის კანი აბრეშუმივით გლუვი და მკვრივია. პერანგი და მუქი ფერის სვიტერი აცვია, რომელსაც მრგვლად ამოჭრილი საყელო აქვს. ტუჩებითა და თვალებით ოდნავ იღიმება. ალბათ, ვიღაცას ესალმება.

კარლა დევადის მეზობლად მ. დევადი ზის. ეს, როგორც ჩანს, მწერალი მარკ დევადია - "ტელ კელის" სარედაქციო კოლეგიის წევრი. კარლა დევადის ქმარი უნდა იყოს. იქნებ, ძმაა? შესაძლოა, მაგრამ თვალშისაცემია ფიზიკური განსხვავება მათ შორის. მარკ დევადს (მერიდება, უბრალოდ, მარკი ვუწოდო. ვამჯობინებდი, ეს "მ" მარსელად ან მაქსად გამეშიფრა) ქერა თმა, ფაფუკი ლოყები და ბაცი ფერის თვალები აქვს. ამიტომ ლოგიკური იქნება დავასკვნათ, რომ ჩვენ წინაშე ცოლ-ქმარია. თავისი ინდივიდუალურობის ხაზგასასმელად დევადს მაღალყელიანი სვიტერი აცვია (ისევე, როგორც ჟ.-ჟ. გუს, სოლერსს და კრისტევას), სვიტერზე კი - მუქი ფერის პიჯაკი. დიდრონი და ლამაზი თვალები აქვს, გრძელი ქერა თმა (უფრო გრძელი, ვიდრე - დანარჩენ მამაკაცებს) კოხტად გადაუვარცხნია უკან. ფართო შუბლი, შესაძლოა, ცოტათი მომრგვალებული. ჩაჩვრეტილი ნიკაპი (გამოსახულების დეფექტი ხომ არაა?).

რამდენი მათგანი უმზერს უშუალოდ ფოტოგრაფს? ცოტანი. ჟ.-ჟ. გუ, სოლერსი და მარკ დევადი, მარი-ტერეზა რევეიე და კარლა დევადი მარცხნივ იყურებიან, ჟაკ ანრიკის მიღმა. გიიოტა მარჯვნივ იყურება, ფოტოგრაფისგან ერთი ან ორი იარდის მოშორებით. კრისტევა (რომლის მზერა ყველაზე უფრო უცნაურია) თითქოს პირდაპირ კამერას უყურებს, მაგრამ აშკარაა, რომ სინამდვილეში ის უცქერის ფოტოგრაფის მუცელს ან, თუ უფრო დავაზუსტებთ, ცარიელ სივრცეს ფოტოგრაფის თეძოს მახლობლად.

ფოტოსურათი გადაღებულია ზამთარში ან შემოდგომაზე ან, შესაძლოა, ადრიან გაზაფხულზე, მაგრამ, ზაფხულში რომ არა, ეს უეჭველია. ვის აცვია ყველაზე უფრო თბილად? რა თქმა უნდა, ჟ.-ჟ. გუს, სოლერსსა და მარკ დევადს, რომლებიც, მაღალყელიანი სვიტერების გარდა, ქურთუკებში გამოწყობილან, თანაც სქელ ქურთუკებში, განსაკუთრებით - ჟ.-ჟ. და დევადი. კრისტევა ცალკე შემთხვევაა: მას მხოლოდ თხელი, ელეგანტური სვიტერი აცვია. გადავიდეთ გიიოტაზე, რომელსაც შეიძლებოდა ისევე თბილად სცმოდა, როგორც ზემოხსენებულ ოთხ ადამიანს, მაგრამ გიიოტა ერთადერთია, ვისაც სამი ფენა ტანსაცმელი აცვია: შავი ტყავის ქურთუკი, პერანგი და ზოლიანი მაისური. ადვილად წარმოსადგენია, რომ მას ეს ტანსაცმელი შეიძლებოდა სცმოდა იმ შემთხვევაშიც კი, თუკი ფოტოსურათს ზაფხულში გადაიღებდნენ. შეიძლება დარწმუნებით ითქვას, რომ გიიოტა ისეა ჩაცმული, თითქოს გზად ვინმესთან შეიარაო. რაც შეეხება კარლა დევადს, მისი პერანგი, რომლის საყელო სვიტერიდან მოუჩანს, თითქოს რბილი და თბილია; სვიტერი, თავისთავად, არაფრით გამოირჩევა, მაგრამ კარგი ხარისხისაა, არც ძალიან თბილი და არც ძალიან თხელი. ბოლოს, დაგვრჩა ჟაკ ანრიკი და მარი-ტერეზა რევეიე. ანრიკი აშკარად არ მიეკუთვნება მცივანა ადამიანებს, თუმცა, მისი პერანგი (ისეთი, კანადელ ხისმჭრელებს რომ აცვიათ ხოლმე) საკმაოდ თბილი უნდა იყოს. ყველაზე უფრო ხალვათად შემოსილია მარი-ტერეზა რევეიე, რომელსაც თხელ სვიტერში მკერდი - თეთრი ან შავი ბიუსტჰალტერით ზეაწეული - მოუჩანს.

ყველა ეს ადამიანი, რომლებსაც ფოტოსურათის გადაღების მომენტში (1977 წელს ან დაახლოებით იმ ხანებში) მეტ-ნაკლებად თბილად აცვიათ, მეგობრები არიან, ზოგიერთ მათგანს კი ერთმანეთთან უფრო ინტიმური ურთიერთობებიც აკავშირებს, მაგალითად, სოლერსსა და კრისტევას, აგრეთვე - ორ დევადს, მარკსა და კარლას. შეიძლება ითქვას, რომ ეს მყარი წყვილებია. და მაინც, ფოტოსურათზე შეიმჩნევა ამ მამაკაცებსა და ქალებს შორის არსებული რთული და ფაქიზ ურთიერთმიმართებების დამადასტურებელი ნიშნები (მაგალითად, ჯგუფის წევრების განლაგება მაგიდასთან; ის, რომ როდოდენდრონის ორი ფოთოლი იმგვარად იჭრება ფიკუსის სივრცეში, როგორც ღრუბელი - ღრუბლებში; რომ ქოთნებში დარგული ბალახი უფრო ცეცხლს წააგავს, ვიდრე - ბალახს; რომ უკვდავა უცნაურად იხრება მარცხნივ, ხოლო სათვალე მაგიდის ცენტრში დევს და ყველაზე უფრო ახლოსაა კრისტევასთან, თითქოს ჯგუფის დანარჩენ წევრებს ეშინიათ, სათვალე ძირს არ დავარდეს).

მოდით, წარმოვიდგინოთ, რომ ჟ.-ჟ. გუ, რომელიც გვიყურებს თავისი სქელმინიანი სათვალიდან (როგორიც მყვინთავებს უკეთიათ ხოლმე) ტოვებს იმ ადგილს, ფოტოსურათზე რომ უკავია, და სამედიცინო ინსტიტუტის ქუჩაზე გადის (იღლიის ქვეშ ორი წიგნი ამოუჩრია). სენ-ჟერმენის ბულვარზე ის მაბიიონის მეტროსკენ იღებს გეზს, მაგრამ თავდაპირველად ბართან ჩერდება, მაჯის საათს უყურებს, ბარში შედის და დახლთან კონიაკს უკვეთს. რამდენიმე ხნის შემდეგ ჟ.-ჟ. ფანჯარასთან მდგარ მაგიდასთან ჯდება. რას შვრება? წიგნს შლის. ჩვენ არ ვიცით, რა წიგნია ეს, მაგრამ დანამდვილებით ვიცით, რომ ჟ.-ჟ.-ს უჭირს ყურადღების კონცენტრირება. ყოველ ოც წამში ან დროის დაახლოებით ამგვარ შუალედში ის თავს მაღლა წევს და სენ-ჟერმენის ბულვარს გაჰყურებს. სულ უფრო იღუშება. წვიმს. ქოლგებმომარჯვებული ადამიანები სწრაფად მიდიან ქუჩაზე. ჟ.-ჟ.-ს ქერა თმა მშრალია, ამიტომ შეიძლება დავასკვნათ, რომ წვიმა მას

ეროვნული ბიბლიოთეკა

შემდეგ დაიწყო, რაც ის ბარში შევიდა. ბნელდება. ჟ.-ჟ. ადგილიდან არ იძვრის და ახლა მის წინ ორი ჭიქა კონიაკი და ორი ფინჯანი ყავა დგას. თუ მივუახლოვდებით, დავინახავთ, რომ ჩამუქებული უპეები ბრძოლის ველს მიუგავს. სათვალეს არ იხსნის. საბრალო სანახავია. ხანგრძლივი ლოდინის შემდეგ ის ქუჩაში გამოდის და კანკალებს, შესაძლოა, სიცივის გამო. წამით ყოვნდება ტროტუარზე და აქეთ-იქით იყურება, შემდეგ მაბიიონის მეტროსკენ მიემართება. მეტროს შესასვლელთან ჟ.-ჟ. რამდენიმეჯერ ისვამს ხელს თმაზე, თითქოს უეცრად ხვდება, რომ თმა ასწეწია, თუმცა, ეს ასე არაა. შემდეგ კიბეზე ჩადის და ისტორია მთავრდება ან იყინება ცარიელ სივრცეში, სადაც მოვლენები თანდათან უჩინარდებიან. ვის ელოდებოდა ჟ.-ჟ. გუ? ვისზეა ის შეყვარებული? ვისთან აპირებდა ღამის გატარებას? როგორ იმოქმედებს მის ფაქიზ ნერვებზე ის, რომ შეყვარებული ვერ ნახა?

წარმოვიდგინოთ, რომ ადამიანი, რომელიც პაემანზე არ მოვიდა, ჟაკ ანრიკია. სანამ ჟ.-ჟ. მას ელოდებოდა, ანრიკი მოტოციკლ "ჰონდათი" მიემგზავრებოდა იმ სახლისკენ, სადაც დევადები ცხოვრობენ. მაგრამ - არა. ეს შეუძლებელია. ჯობია წარმოვიდგინოთ, რომ ანრიკი, უბრალოდ, თავის "ჰონდას" მოაჯდა და პარიზში გააქროლა, პაემანზე მისვლას კი იმავე სტრატეგიული მიზნის გამო აარიდა თავი, რომლის კარნახითაც, ზოგადად, პაემნებზე არ მიდიან ხოლმე.

ახლა კვლავ ჩამოვთვალოთ წყვილები: კარლა დევადი და მარკ დევადი, სოლერსი და კრისტევა, ჟ.-ჟ. გუ და ჟაკ ანრიკი, მარი-ტერეზა რევეიე და პიერ გიიოტა. წარმოვიდგინოთ ღამე. ჟ.-ჟ. გუ ზის ბარში, სენ-ჟერმენის ბულვარზე, და კითხულობს წიგნს (რომლის სათაურს ჩვენთვის მნიშვნელობა არა აქვს). ნახევრად შიშველი ჟაკ ანრიკი თავის საწოლზე გაშოტილა, ეწევა და ჭერს მიშტერებია. სოლერსი თავის კაბინეტში ჩაკეტილა და წერს (კვლავ მაღალყელიანი სვიტერი აცვია, ალმური ასდის და სცხელა). იულია კრისტევა უნივერსიტეტშია. მარი-ტერეზა რევეიე ფრიდლანდის ავენიუსა და ბალზაკის ქუჩის გზაჯვარედინზე იმყოფება. გიიოტა ბოტანიკური ბაღის მახლობელ ბარში ზის და მეგობრებთან ერთად სვამს. კარლა დევადი თავის სამზარეულოშია და არაფერს აკეთებს; მარკ დევადი ტელ-კელის ოფისში იმყოფება და ტელეფონით თავაზიანად ესაუბრება თავის სათაყვანებელ პოეტს, რომელიც, იმავდროულად, სძაგს; მალე სოლერსი და კრისტევა თავიანთ ბინაში მივლენ, ისადილებენ და წიგნებს აიღებენ წასაკითხად. ამაღამ სიყვარულისთვის არ ეცლებათ; მალე მარი-ტერეზა რევეიე და გიიოტა თავიანთ საწოლ ოთახში სოდომური ცოდვის სიტკბოებას მიეცემიან და დილის ხუთ საათზე დაიძინებენ, მას შემდეგ, რაც ერთმანეთს რამდენიმე სიტყვას ეტყვიან სააბაზანო ოთახში; მალე კარლა დევადი და მარკ დევადი წაკინკლავდებიან. კარლა დაწვება და დაიწყებს რომანის კითხვას - ნებისმიერი რომანის, მარკი კი საწერ მაგიდას მიუჯდება და შეეცდება რამე დაწეროს, მაგრამ - ამაოდ. კარლა ღამის პირველ საათზე დაიძინებს, მარკი - სამის ნახევარზე; მალე ჟაკ ანრიკი მიწისქვეშა გარაჟში ჩავა, თავის "ჰონდას" მოაჯდება, პარიზის გაყინულ ქუჩებში გააქროლებს და თვითონაც გაიყინება. ის თვითონ წარმართავს საკუთარ ბედს და იცის, ან, ყოველ შემთხვევაში, სჯერა, რომ იღბლიანია. ჯგუფის წევრთაგან მხოლოდ ანრიკი იხილავს, როგორ გაუჩინარდებიან ცაზე განთიადისას ღამის ყარიბნი, რომელთაგან თითოეული - იდუმალი ასოა ფანტასტიკურ ანბანში; მალე ჟ.-ჟ. გუ გაიგონებს ხმას, რომელიც გააფრთხილებს მისი მოსალოდნელი დაღუპვის შესახებ. მას გაეღვიძება და ღამეს თეთრად გაათენებს.

თენდება. ფოტოსურათი კვლავ საჩინარია. მარი-ტერეზა რევეიე და კარლა დევადი მარცხნივ იყურებიან და უმზერენ მავან სუბიექტს, რომელიც ანრიკის ფართო მხრების უკან დგას. კარლას თვალებში მისალმება ან თანხმობა იკითხება: ამას ააშკარავებს მისი ოდნავ შესამჩნევი ღიმილი და ნაზი მზერა. მარი-ტერეზა შემფოთებულია: პირი დაუღია, თითქოს სუნთქვა უჭირს, ხოლო მზერით ცდილობს, მიიპყროს ყურადღება ამ სუბიექტისა, რომელიც, სავარაუდოდ, წასასვლელად ემზადება. ქალები ერთი და იმავე მიმართულებით იყურებიან, მაგრამ აშკარაა, რომ სხვადასხვაგვარ ემოციებს განიცდიან..

ჟ.-ჟ. გუ დაძაბულია. ხმა, რომელმაც ის გააფრთხილა მოსალოდნელი დაღუპვის შესახებ, ჯერ კიდევ ჟღერს (თუმცა კი, ყრუდ) მის გონებაში. ამასთან, ჟ.-ჟ.-ს მზერა მარცხნივ არაა მიპყრობილი; ის არ უმზერს ობიექტს, რომელიც ქალების ყურადღებას იზიდავს, არამედ პირდაპირ უყურებს კამერას და ოდნავ შესამჩნევად იღიმება.

როდესაც ღამე კვლავ ეშვება ფოტოსურათზე, ჟ.-ჟ. გუ თავის ბინას მიაშურებს, მოიმზადებს სანდვიჩს, ზუსტად თხუთმეტი წუთის განმავლობაში უყურებს ტელევიზორს, შემდეგ სასტუმრო ოთახის სავარძელში ჩაჯდება და ფილიპ სოლერსს დაურეკავს. ტელეფონი ხუთჯერ დაიწკრიალებს. ჟ.-ჟ. ყურმილს მარჯვენა ხელით ფრთხილად დაკიდებს, მარცხენას კი ტუჩებთან მიიტანს და ორი თითით შეეხება, თითქოს იმის შესამოწმებლად, ჯერ კიდევ არსებობს თუ არა თვითონ. წიგნებით გადაჭედილ სასტუმრო ოთახში, რომელიც არც ძალზე დიდია და არც ძალზე პატარა, ბნელა.

რაც შეეხება კარლა დევადს, მას შემდეგ, რაც სახიდან ნაზი ღიმილი წაეშლება, ის დაურეკავს

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარი-ტერეზა რევეიეს. ქალები ისაუბრებენ იმ საკითხების შესახებ, რომელთა შესახებ საუბარიც, არსებითად, არ სურთ და შეთანხმდებიან, რომ სამი დღის შემდეგ ერთმანეთს შეხვდებიან კაფეში, გალანდის ქუჩაზე. ამაღამ მარი-ტერეზა შინიდან გავა და გაურკვეველი მიმართულებით გაემართება, კარლა კი, როგორც კი გაიგონებს, როგორ აღებს კარს მარკი, თავის ოთახში ჩაიკეტება. მაგრამ ამჯერად არავითარი ტრაგიკული მოვლენა არ მოხდება. მარკ დევადი წაიკითხავს ბულგარელი ლინგვისტის სტატიას; გიიოტა წავა ჟაკ რივეტის ფილმის სანახავად; იულია კრისტევა გვიანობამდე წაიკითხავს წიგნებს; ფილიპ სოლერსი გვიანობამდე წერით იქნება გართული და თითქმის არ დაელაპარაკება ცოლს; ჟაკ ანრიკი თავის საბეჭდ მანქანასთან იჯდება, მაგრამ - უნაყოფოდ, ამიტომ ოცი წუთის შემდეგ ჩაიცვამს თავის ტყავის ქურთუკსა და ჩექმებს და მიწისქვეშა გარაჟში ჩავა თავისი "ჰონდას" მოსაძებნად; რატომღაც მოეჩვენება, რომ გარაჟი საკმარისად კარგად არაა განათებული, მაგრამ გაიხსენებს, სად დატოვა თავისი მოტოციკლი, ამიტომ უშიშრად ივლის ვეშაპის ბნელ მუცელში, სანამ, დაახლოებით შუა გზაზე, უჩვეულო ხმაურს გაიგონებდეს (ეს არაა წყლის ხმაური მილებში ან ავტომანქანის კარის დახურვის ან გაღების ხმა). ის შეჩერდება და მიაყურადებს. მაგრამ ხმაური არ განმეორდება. გარაჟში აბსოლუტური სიჩუმე გამეფდება.

ღამე იწურება და დილის შუქი ისე ეხვევა ფოტოსურათს, როგორც - ბინტი ჭრილობას. და აი, კვლავ ის - გიიოტა, თავისი ვეება მოლაპლაპე თავითა და ტყავის ქურთუკით (ამგვარი ქურთუკები ანარქისტების ან ესპანეთის სამოქალაქო ომის კომისრების საყვარელი სამოსი იყო). ის ფოტოგრაფის უკან, მარჯვნივ უმზერს ვილაცას, ვინც, სავარაუდოდ, ზურგშექცევით დგას ან, შესაძლოა, ზის, და რომლის სახეს გიიოტა ვერ ხედავს, თუკი (რაც ნაკლებსავარაუდოა), ბარის დახლს უკან სარკე არ ჰკიდია. შეიძლება, ეს ქალი იყოს. შეიძლება, ახალგაზრდა ქალიც კი იყოს. გიიოტა აკვირდება ამ ქალის ანარეკლს სარკეში და, განსაკუთრებით, მის კისერს. ამასთან, გიიოტას მზერა იმდენად დაძაბული არაა, როგორიც ამ ქალისა, რომელიც თითქოს უძირო უფსკრულს ჩაჰყურებს. აქ შეგვეძლია სამართლიანად დავასკვნათ, რომ როდესაც გიიოტა უყურებს უცნობს, მარი-ტერეზა და კარლა უყურებენ ნაცნობ მამაკაცს, თუმცა, რაც ბუნებრივია (ან, ფაქტობრივად, გარდაუვალიც კი), ამ მამაკაცს სხვადასხვაგვარად აღიქვამენ.

მოდით, ფოტოსურათის საზღვრებს მიღმა დარჩენილ ამ ორ პიროვნებას X და Z ვუწოდოთ. X - ბარში მყოფი ქალია, Z კი - მამაკაცი, რომელსაც მარი-ტერეზა და კარლა იცნობენ, თუმცა, რა თქმა უნდა, არც ისე ახლოს იცნობენ. კარლას გამომეტყველების მიხედვით (რომელიც არა მარტო ნაზი, არამედ - ქედმაღლურიცაა) შეიძლება დავასკვნათ, რომ ეს მამაკაცი პოტენციურად სახიფათო პიროვნებაა. კიდევ ვინ იცნობს Z-ს? არაფერი მოწმობს, რომ მისი იქ ყოფნა სხვებისთვის ოდნავ მაინც საინტერესოა. შესაძლოა, ესაა ახალგაზრდა მწერალი, რომელიც ცდილობდა დაებეჭდა თავისი თხზულება "ტელ კელში"; ან, შესაძლოა, ის ახალგაზრდა სამხრეთამერიკელი ჟურნალისტია, რომელსაც სურდა დაეწერა სტატია "ტელ კელის" ჯგუფის შესახებ. ის, ასევე, შეიძლება პატივმოყვარე ახალგაზრდა იყოს. თუკი პარიზში ჩამოსული სამხრეთამერიკელია, მაშინ არა მარტო პატივმოყვარე, არამედ ფიცხიც იქნება. მაგიდასთან მსხდარი ადამიანებიდან ის მხოლოდ მარი-ტერეზას, კარლას, სოლერსს და მარკ დევადს იცნობს. წარმოვიდგინოთ, რომ ის ერთხელ მივიდა "ტელ კელის" ოფისში, სადაც ნახა ეს ოთხი ადამიანი (ის, აგრეთვე, ხელს ჩამოართმევდა მარსელ პლეინეს, რომელიც ფოტოსურათზე არაა აღბეჭდილი). მას არასოდეს უნახავს სხვები ან უნახავს მხოლოდ საავტორო ფოტოსურათზე (გიიოტა და ჟაკ ანრიკი). შეიძლება წარმოვიდგინოთ, ფიცხი ახალგაზრდა სამხრეთამერიკელი "ტელ კელის" ოფისში და ისიც, თუ როგორ ართმევენ მას ხელს დაბნეული ფილიპ სოლერსი და მარკ დევადი და რაოდენ გულგრილად უსმენენ. ალბათ, კარლა დევადი იქ შემთხვევით აღმოჩნდა; ალბათ, მან მიიტანა სტატია, რომელიც მარკს თავის საწერ მაგიდაზე დარჩა, ან მივიდა იმის გამო, რომ გაუჭირდა მარტო ყოფნა ბინაში და ა.შ. მაგრამ ძნელად წარმოსადგენია (და გაუმართლებელია) მარი-ტერეზას ყოფნა ოფისში, ის გიიოტას საყვარელია, "ტელ კელში" არ მუშაობს და არავითარი მიზეზი არა აქვს, რომ იქ იყოს. და მაინც, ის იქაა და ახალგაზრდა სამხრეთამერიკელს ხედავს. იქნებ, მარი-ტერეზა კარლა დევადმა დაიბარა იმის გამო, რომ იცის - მარკი საღამოს შინ არ იქნება? ან, იქნებ, მარი-ტერეზა იქ იმიტომ მოვიდა, რომ სხვა ვინმეს შეხვედროდა? დეტალურად წარმოვიდგინოთ საღამო, როდესაც სამხრეთამერიკელი მივიდა "ტელ კელის" ოფისში ჯგუფის წევრებისადმი თავისი პატივისცემის გამოსახატავად.

სამუშაო დღე დამთავრდა. მდივანი უკვე წავიდა და სტუმარს მარკ დევადი უღებს კარს და ისე უშვებს რედაქციის ოფისში, რომ არც კი უყურებს. სამხრეთამერიკელი შემოდის და მარკ დევადს დერეფნის ბოლოსკენ მიჰყვება. ტანსაცმლიდან წყლის წვეთები სცვივა და ხის იატაკს ასველებს, თუმცა, წვიმა უკვე კარგა ხანია, შეწყდა. დევადი, რა თქმა უნდა, ამ დეტალს ყურადღებას არ აქცევს. ის ესაუბრება სტუმარს ნეიტრალურ თემებზე - ამინდზე, ფულზე, ყოველდღიურ სამუშაოზე - ისე თავაზიანად, როგორც მხოლოდ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზოგიერთ ფრანგს სჩვევია. ერცელ ოფისში, სადაც დგას მაგიდა, რამდენიმე სკამი და ორი სავარძელი, სოლერსი ჩუმდება და ლაპარაკს მყისვე სამხრეთამერიკელი იწყებს. ის სოლერსს გენიოსს, საუკუნის უდიდეს მოაზროვნეს უწოდებს. ეს საქებარი სიტყვები ჩვეული რამაა ზოგიერთ ტროპიკულ ქვეყანაში, მაგრამ "ტელ კელის" ოფისში და ფილიპ სოლერსისთვის მიუღებელია. როგორც კი სამხრეთამერიკელი ლაპარაკს იწყებს, სოლერსი და დევადი ფიქრობენ, ჩვენი სტუმარი შერეკილი ხომ არააო, თუმცა, სულის სიღრმეში, სოლერსი ოთხმოცი პროცენტით ეთანხმება სამხრეთამერიკელის შეფასებას. და, რადგანაც ვერ წარმოუდგენია, რომ სამხრეთამერიკელი შეიძლება დასცინოდეს, ამიტომ საუბარი მეგობრულად მიმდინარეობს, გარკვეული დროის განმავლობაში მაინც. სამხრეთამერიკელი საუბრობს იულია კრისტევას შესახებ (და თვალს უკრავს სოლერსს, როდესაც ახსენებს "შესანიშნავ ბულგარელ მეცნიერს"), ახსენებს მარსელენ პლეინეს (რომელსაც უკვე შეხვდა) და დენი როშს (რომლის ნაშრომების თარგმნასაც აპირებს). დევადი სტუმარს ცალყბა ღიმილით უსმენს. სოლერსი უსმენს და დროდადრო თავს უქნევს. სულ უფრო მეტად სწყინდება. უეცრად დერეფანში ფეხის ხმა გაისმის, კარი იღება და შემოდის კარლა დევადი, რომელსაც ველვეტის ვიწრო შარვალი და დაბალქუსლიანი ფეხსაცმელი აცვია. მარკ დევადი სკამიდან დგება; კარლა და მარკი ჩურჩულით ესაუბრებიან ერთმანეთს. სამხრეთამერიკელი ჩუმდება; სოლერსი მექანიკურად ფურცლავს ინგლისურ ჟურნალს. სამხრეთამერიკელი სკამიდან დგება და გადაჭარბებული თავაზიანობით ეცნობა ახალშემოსულს. საუბარი მაშინვე გრძელდება, მაგრამ სამხრეთამერიკელის ლაყბობა ახალი მიმართულებით წარიმართება. ის ხოტბასასხამს ფრანგი ქალების უზადო სილამაზესა და გრაციას. აქ სოლერსი მთლიანად კარგავს ინტერესს მის მიმართ. ვიზიტი მთავრდება: სოლერსი საათს უყურებს და ამბობს, რომ უკვე გვიანაა; დევადი სამხრეთამერიკელს კარს უჩვენებს, ხელს ართმევს და სტუმარი, იმის ნაცვლად, რომ ლიფტს დაუცადოს, კიბეზე ჩარბის. მეორე სართულის ბაქანზე ის მარი-ტერეზა რევეიეს ეჯახება. სამხრეთამერიკელი ხმამაღლა (ესპანურად) ილანძღება. ორივენი ბოდიშს იხდიან. ისინი უყურებენ ერთმანეთს და მარი-ტერეზა ამჩნევს, რომ სამხრეთამერიკელი შიშითა და ძრწოლით იტანჯება.

ამგვარად, ფოტოსურათის გადაღების მომენტში სამხრეთამერიკელი, ანუ Z, კაფეში იმყოფება, და კარლა და მარი-ტერეზა სცნობენ მას. იხსენებენ მას; შესაძლოა, ახლახან შემოვიდა. შესაძლოა, იმ მაგიდის მახლობლად იმყოფება, რომელსაც ჯგუფის წევრები უსხედან და ესალმება მათ. მაგრამ, ამ ორი ქალის გარდა, არავის ახსოვს, ვინაა ის; რა თქმა უნდა, ასე ძალზე ხშირად ხდება ხოლმე. მაგრამ ამგვარ მოპყრობას სამხრეთამერიკელი უდრტვინველად ვერ აიტანს. ის აქ დგას. მაგიდისგან მარცხნივ, რამდენიმე სამხრეთამერიკელ მეგობართან ერთად, ან, შესაძლოა, უცდის მათ, და აღშფოთებულია სინათლის ქალაქის გულგრილობითა და აგდებული დამოკიდებულებით, ღვარძლითა და გულგრილობით. ამასთან, კარლა დევადს ისეთი გრძნობა უჩნდება, თითქოს ის სამხრეთამერიკელის უფროსი და იყოს და უნდა დაიცვას თავისი ძმა, ხოლო მარი-ტერეზა რევეიეს სამხრეთამერიკელი ბუნდოვან ეროტიკულ სურვილებს უღვიძებს.

შემდეგ კვლავ დგება ღამე, ფოტოსურათის გამოსახულებები მქრქალდება; და სოლერსი მუშაობს თავის კაბინეტში; მუშაობს კრისტევაც, იქვე, თავის კაბინეტში. ესაა ბგერათშეუღწევადი კაბინეტები და ცოლ-ქმარს არ ესმის ერთმანეთის საბეჭდი მანქანების კაკუნი, არც სკამიდან ადგომის ხმა, როდესაც ისინი წიგნებში ციტატებს ეძებენ, არც ხველება; ხოლო კარლა და მარკ დევადები კინოთეატრიდან გამოდიან (მათ ნახეს რივეტის ფილმი), დუმან, თუმცა, ესალმებიან ნაცნობებს; ხოლო ჟ.-ჟ. გუ შეექცევა თავის ღარიბულ ვახშამს - პურს, პაშტეტს, ყველსა და ერთი ჭიქა ღვინოს; ხოლო გიიოტა აშიშვლებს მარი-ტერეზა რევეიეს და დივანისკენ ისეთი გააფთრებით ისვრის, რომ მარი-ტერეზა წამით ჰაერში ყოვნდება, როგორც ვნების ქსელში გაბმული ჭრელი პეპელა; ხოლო ანრიკი მიწისქვეშა გარაჟში ჩადის და კვლავ ჩერდება, როდესაც ქრება ნათურები, თავდაპირველად ქუჩაში გამავალი კარის თავზე, შემდეგ კი - მთელს გარაჟშიც; გარაჟის მორეულ კუთხეში უმწეოდ ციმციმებს ერთადერთი ნათურა, რომელიც ანათებს ანრიკის ჭრელ ჰონდას, შემდეგ ისიც ქრება; ანრიკს ეჩვენება, რომ მისი მოტოციკლი ასურელთა ღმერთს წააგავს და გრძნობს, რომ ფეხები აღარ ემორჩილება; ხოლო მარი-ტერეზა თვალებს ხუჭავს, ერთი ფეხი დივანზე უდევს, მეორე - ხალიჩაზე, გიიოტა კი მას თავის პატარა ძუკნას უწოდებს; ხოლო ჟ.-ჟ. გუ მაგიდას უზის, პურის ნაჭერზე პაშტეტს უსვამს, შემდეგ პირთან მიაქვს და ღეჭავს, თავდაპირველად მარჯვენა ყბით, შემდეგ კი - მარცხენათი. წინ რობერ პენჟეს რომანი უდევს, რომელიც მეორე გვერდზეა გადაშლილი. ტელევიზორი გამორთულია, მაგრამ მის ეკრანზე ირეკლება ფაფუკლოყებიანი ჟ.-ჟ., რომელიც უაზრო გამომეტყველებით შეექცევა ვახშამს; ხოლო კარლა დევადი და მარკ დევადი საყვარულს მისცემიან ერთადერთი ნათურის შუქზე, რომელსაც ისინი, ჩვეულებრივ, არ აქრობენ; კარლა კვნესის და ცდილობს არ შეხედოს თავისი ქმრის სახეს, ქერა (ახლა აწეწილ) თმას, ცისფერ თვალებს, ფართო და მშვიდ სახეს, ნატიფ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოვლილ ხელებს, რომლებიც ქალის თეძოებს ჩაბღაუჭებიან; ხოლო კრისტევა და სოლერსი დაძინებას აპირებენ; თავდაპირველად იძინებს კრისტევა, რომელსაც მომდევნო დილას ლექციები აქვს, შემდეგ კი - სოლერსი; ორივენი კითხულობენ წიგნებს, სანამ ძილი მოერეოდეთ; ფილიპ სოლერსს ესიზმრება, რომ ის ბრეტანში იმყოფება და ზღვის ნაპირას ბოლთას სცემს მეცნიერთან ერთად, რომელმაც იცის, თუ როგორ უნდა გაანადგუროს მთელი სამყარო; შემდეგ ისინი დასავლეთის მიმართულებით გაემართებიან ამ გრძელ, უკაცრიელ სანაპიროზე, რომელსაც შავი ქარაფები ესაზღვრება, და უეცრად სოლერსი მიხვდება, რომ ეს მეცნიერი (რომელიც ლაპარაკობს და განმარტავს) თვითონაა, ხოლო გვერდით მიმავალი კაცი მკვლელია; ამას მაშინ მიხვდება, როდესაც ძირს - სველსა და ბლანტ ქვიშაზე დაიხედავს და შეამჩნევს, რომ კიბორჩხალები აქეთ-იქით გარბიან, მაგრამ ორი მათგანის ანაბეჭდი ქვიშაზე რჩება (ამაში გარკვეული ლოგიკაა: მკვლელის დადგენა მისი ნაკვალევის მიხედვით); ხოლო იულია კრისტევას ესიზმრება პატარა ქალაქი გერმანიაში, სადაც წლების წინ სემინარში მონაწილეობდა; ის იხილავს ქალაქის გაკრიალებულსა და ცარიელს ქუჩებს და სკვერში გაიგონებს ფრინველის მორეულ ჟღურტულს და დაინტერესდება, ფრინველი გალიაშია თუ თავისუფლად დაფრინავს; იგრძნობს, როგორ მოელამუნება სახეზე ნიავი, რომელიც არც ცხელია და არც ცივი, და ლავანდისა და ფორთოხლის სურნელი აქვს. შემდეგ გაახსენდება თვით სემინარი და საათს დახედავს, მაგრამ ის გაჩერებული იქნება.

ამგვარად, სამხრეთამერიკელი ფოტოსურათის საზღვრებს გარეთ იმყოფება - უბინო და მაცდურ ტერიტორიაზე, ისევე, როგორც გიიოტას მზერის ობიექტი - უცნობი ქალი, რომელიც მხოლოდ საკუთარი სილამაზითაა შეიარაღებული. ისინი ერთმანეთს არ უყურებენ, ერთმანეთისთვის მხოლოდ აჩრდილებს წარმოადგენენ და მხოლოდ მოკლე ხნით ეზიარნენ ერთსა და იმავე სახიფათო სივრცეს - პარიზის ყველგანმყოფ თეატრს. სავსებით შესაძლებელია, რომ სამხრეთამერიკელი კაცი მკვლელი იყოს. შესაძლოა, თავის ქვეყანაში დაბრუნებისას (და არა აქ) მის მფლობელობაში იყოს მხოლოდ სისხლი, რომლის დაღვრაც მას ძალუძს. ეს პოლ პოტი არავის მოკლავს პარიზში. რეალურად, ტეგუსიგალპასა ან სან-სალვადორში დაბრუნებისას ის, ალბათ, ბოლოს, უნივერსიტეტში დაიწყებს მუშაობას. რაც შეეხება უცნობ ქალს, ის გიიოტასეულ აზბესტის ქსელში არ გაებმება. ეს ქალი ბარში იმყოფება და უცდის მამაკაცს, რომელსაც მალე ცოლად გაჰყვება (მას ან სხვას), და ეს ქორწინება უიღბლო იქნება. ლიტერატურა ამ ლიტერატურულ არსებებს ჩაუვლის და ეამბორება, მაგრამ ისინი ამას ვერც კი შეამჩნევენ.

რესტორნის თუ კაფეს გაბოლილი სექციის სხვადყოფნად წარმოგვიდგება სოლერსის მიღმა არსებული სივრცე. იქ ვხედავთ სამ მამაკაცს, რომელთა სახეებსაც ფრაგმენტულად აღვიქვამთ: მარცხნივ მდგარი მამაკაცის შუბლს, ცალ წარბს, ყურის ბიბილოს უკანა ნაწილს, კეფას; მარჯვნივ მდგარი კაცის შუბლის მცირე ნაწილს, ლოყასა და შავი თმის კულულს; შუაში მდგარი კაცის შუბლს, რომელსაც სამი ნაოჭი აჩნევია, წარბებს, ცხვირის ფუძეს და შუბლზე ჩამოშლილ თმას. მათ უკან მოჩანს მინის პანელი, ხოლო პანელის მიღმა - მრავალი ადამიანი, რომლებიც კიოსკებსა და საგამოფენო სტენდებს შორის დადიან და ცნობისმოყვარეობით ათვალიერებენ მათ. ჩვენი პერსონაჟები და სტენდების დამთვალიერებლები ერთმანეთს ვერ ამჩნევენ, თუ არ ჩავთვლით მრგვალსახიან ბავშვს, რომელსაც ძალზე ვიწრო ჟაკეტი აცვია და კაფესკენ იყურება, თითქოს ესოდენ შორ მანძილზე შეუძლია დააკვირდეს ყველაფერს, რაც კაფეში ხდება, ეს კი შეუძლებელია.

მარჯვენა კუთხეში მოჩანს კაცი, რომელიც იცდის, და კაცი, რომელიც მას უსმენს. ამ უკანასკნელის სახე მარკ დევადის ქერათმიანი თავის ზემოთ ილანდება. გამხდარია, ხშირი შავი თმა და მსხვილი წარბები აქვს. ცალ ხელში (რომელსაც მარჯვენა საფეთქლით ეყრდნობა) სიგარეტი უჭირავს. კვამლის სპირალი ჭერამდე აღწევს და მოჩვენებას წააგავს. ტელეკინეზი. ექსპერტი წამიერად განსაზღვრავდა სიგარეტის მარკას, რომელსაც ის ეწევა. რა თქმა უნდა, “გოლუაზია”. ის ობიექტივში კი არა, მარჯვნივ იყურება - ესე იგი, თითქოს ვერ ამჩნევს, რომ ფოტოსურათს უღებენ, მაგრამ საგანგებო პოზა მიუღია.

თუკი ყურადღებით დავაკვირდებით, შევამჩნევთ, რომ გიიოტას კისრიდან, სიმსივნის მსგავსად, რაღაც ამოშვერილა. ეს სხვა არაფერია, თუ არა ცხვირი, შეჭმუხნილი შუბლი და ზედა ტუჩის კონტური - პროფილი ადამიანისა, რომელიც იმავე მიმართულები იყურება, რომლითაც - მწეველი კაცი. თუმცა, მათი მზერა განსხვავებულია.

ფოტოსურათი უკვე ამომწურავად აღვწერეთ. დაგვრჩა მხოლოდ “გოლუაზის” კვამლი, რომელიც ჰაერში ირიბად ადის, ისე, თითქოს ფოტოაპარატის სამიზნებელი უეცრად მარჯვნივ, შემთხვევითობის შავი ხვრელისკენ გადაქანდა; ხოლო სოლერსი უეცრად ჩერდება ქუჩაში, ვაგრამის მოედნის მახლობლად და ხვდება, რომ თავისი ბლოკნოტი სადღაც დატოვა ან დაკარგა; ხოლო მარი-ტერეზა რევეიე მალერბის ბულვარზე, ვაგრამის მოედნის მახლობლად მისეირნობს; ხოლო ჟ.-ჟ. გუ ტელეფონით ესაუბრება მარკ დევადს (ჟ.-ჟ.-ს ხმა უთრთის, დევადი დუმს); ხოლო

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიიოტა და ანრიკი სენტ-ანდრეს ქუჩაზე მიაბიჯებენ და შემთხვევით ხვდებიან კარლა დევადს, რომელიც მათ ესალმება და უერთდება; ხოლო იულია კრისტევა აუდიტორიიდან გამოდის სტუდენტთა თანხლებით, რომელთა შორის ბევრი უცხოელია (ორი ესპანელი, მექსიკელი, იტალიელი, ორი გერმანელი), ხოლო ფოტოსურათი კიდევ ერთხელ განზავდება არყოფნაში.

შიშისმომგვრელი რიჟრაჟი. ისინი თითქმის გამჭვირვალე თვალებს ახელენ. რუხი ფერის პიჟამაში გამოწყობილი მარკ დევადი თავის საწოლში ოცნებობს გონკურების აკადემიის შესახებ; ჟ.-ჟ. გუ თავისი ფანჯრიდან გაჰყურებს ღრუბლებს და ფიქრობს, რომ ისინი ვერ შეედრება პისაროს მიერ დახატულ ღრუბლებს ან იმ ღრუბლებს, თვითონ რომ იხილა ღამეულ კოშმარში; იულია კრისტევას სძინავს და მისი მშვიდი სახე ასურულ ნილაბს წააგავს. როდესაც ეღვიძება, ფილიპ სოლერსი სამზარეულოში ნიჟარაზეა დაყრდნობილი და მარჯვენა ხელის საჩვენებელი თითიდან სისხლი სდის. კარლა დევადი თავისი ბინისკენ იჩქარის, მას შემდეგ, რაც ღამე გიიოტასთან გაატარა. მარი-ტერეზა რევეიე ყავას ხარშავს და თან წიგნს კითხულობს. ჟაკ ანრიკი ჩაბნელებულ გარაჟში მიაბიჯებს, სადაც მისი ფეხის ხმის ექო გაისმის.

მას წარმოუდგება ფორმების სამყარო, მოესმის შორეული ხმების ექო. შიში ისე უახლოვდება, როგორც უახლოვდება ხოლმე ქარი ამა თუ იმ დედაქალაქს. ანრიკი ჩერდება. გული ძალუმად უცემს. ცოტა ხნის წინ ჩრდილებსა და სილუეტებს მაინც არჩევდა გარაჟის შორეულ კუთხეში, ახლა კი აქ ჰერმეტული წყვდიადია, ისეთი, როგორიც - ღრმად ჩაფლულ ცარიელ კუბოში. ანრიკი ცდილობს, სიმშვიდე შეინარჩუნოს. გულისცემა თანდათან უნელდება. მეხსიერება გასული დღის სურათებს წარმოუდგენს. ის იხსენებს გიიოტას, რომელიც ფარულად მოსწონს, თუმცა ვითომდა ეარშიყება კარლას. კიდევ ერთხელ ხედავს მათ მომღიმარ სახეებს, იმას, თუ როგორ მიდიან ქუჩაში, სადაც ყვითელი შუქი სრულიად უსისტემოდ, დროდადრო ანათებს ამა თუ იმ საგანს. თუმცა, ანრიკმა კარგად იცის, რომ მიზეზშედეგობრიობა ყველაფერშია და რომ ადამიანის ბუნება ძალზე ცოტა ადგილს ტოვებს შემთხვევითობისთვის. ანრიკი თავის ბოქვენს ეხება. ამ მოძრაობით გაოგნებულია. ერექციის მიუხედავად, არავითარ სექსუალურ აღგზნებას არ განიცდის.



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ემი ჰენინგსი - დადაისტი ქალი მრავალი როლით

## „ჩემი სიტყვები მე სულ არ მგვანან"

*გერმანულიდან თარგმნა ბელა ჩეკურიშვილმა*



ეროვნული ბიბლიოთეკა

ასი წლის წინ, 1916 წლის 5 თებერვალს, როცა ციურიხის კაბარე "ვოლტერში" პირველი **დადასალამო** მოეწყო, არავინ უწყოდა, რა იყო დადა. მალე ეს სიტყვა ყველას პირზე ეკერა, თუმცა დღემდე ვერავინ იტყვის, ზუსტად რას ნიშნავს.

ხელოვნების ისტორიკოსები და ლიტერატურათმცოდნენი ამაოდ ეძებენ იმის ახსნას, როგორ შეიძლებოდა ენაბრგვილობით ხელოვნების ნიმუშები შექმნილიყო. ამაზე პასუხი კი, არც დადას მამებმა იცოდნენ, ასი წლის წინ იმპროვიზებულ სცენაზე პირველ გამოსვლას რომ ზეიმობდნენ. ჰუგო ბალი ცოტა მოგვიანებით თავის დღიურში წერდა: "მაინც რა იყო ეს, "ბუფონადა და რექვიემი", თუ "ფარსი არაფრისგან"?

ნუთუ ყველაფერი მართლაც გაუგებრობა იყო? - კითხულობენ დღემდე ხელოვნების ისტორიკოსები. ჰუგო ბალი მისტიკოსად იქცა, ტრისტან ცარა ესპანეთში წავიდა საბრძოლველად, ვალტერ სერნერი ნაცისტებმა მოკლეს 1942-ში, რიჰარდ ჰუელსენბეკი ამერიკაში გაემგზავრა და ფსიქოანალიტიკოსი გახდა, მარსელ იანკო ისრაელში გადასახლდა და იქ ხელოვანთა კოლონიას დაუდო სათავე. კაბარე "ვოლტერი" კი ციურიხის შპიგელგასეზე კვლავ აღდგა, თითქოსდა დადა ციურიხში მოხვედრილი ლტოლვილების ველური სასოწარკვეთის გარდა სხვა რამეც ყოფილიყოს.

დადა კი - არაფრიდან წარმოშობილი არაფერი - არის ის, რაც დღემდე არავის არაფერში ეშლება.

ემი ჰენინგსი იმ ორიოდე ქალთა შორისაა, ვის სახელსაც დადაისტებთან ერთად იხსენიებენ. მისი ხმაურიანი გამოსვლები ციურიხის კაბარე "ვოლტერში" ნამდვილ ატრაქციონს წარმოადგენდა. როცა დადა ხელოვანთა საყოველთაო ყურადღების ცენტრში მოექცა და მიმდინარეობად ჩამოყალიბდა, ემი განზე გადგა. მიზეზად ასახელებდა, რომ დადამ მასობრივი სახე მიიღო. ემის არანაირად არ სურდა, რომ ის ყველასნაირი ყოფილიყო.

ემა მარია კორდსენი, მოგვიანებით - ემი ჰენინგსი, 1885 წლის 17 იანვარს დაიბადა ჩრდილოეთ გერმანიის ქალაქ ფლენსბურგში. 14 წლისამ სკოლა მიატოვა და წვრილმანი ნაყარ-ნუყარის გაყიდვას მიჰყო ხელი, რომ აღებული ფულით თეატრის ბილეთები ეყიდა. მერე თვითონაც დაიწყო წარმოდგენების გამართვა მეზობლებისთვის, დარბაზად კი სამრეცხაოს იყენებდა. მშობლებმა თეატრალური განათლების მიცემაზე უარი უთხრეს. სამაგიეროდ, მუშაობდა სახლის დამლაგებლად, მზარეულის დამხმარედ, გადამწერად და მხატვრად ფოტოატელიეში. 19 წლის გათხოვდა და ქმართან ერთად პატარა სასურსათო მაღაზია გახსნა, მაგრამ მალე ორივემ მიატოვა სახლიც და ბავშვიც და ქალაქში ჩამოსულ მოხეტიალე თეატრს აედევნენ. იმ დღიდან დაიწყო ემის სიმღერა და სცენაზე გამოსვლა. მღეროდა და თამაშობდა ყველაფერს: შანსონებს, ხალხურ სიმღერებს, ოპერეტებს, ოპერებს, კაბარეს, დრამატულ პიესებს, მათ შორის მამაკაცის როლებსაც. 1906 წელს კი, როცა მისი ქმარი უგზო-უკვლოდ გაუჩინარდა და მათი ორი წლის ბიჭუნაც გარდაიცვალა, ემიმ ახალშობილი გოგონა თითქმის ფეხით ჩაუყვანა დედას და თამაშის ჟინით შეპყრობილმა თეატრალურ დასებთან ერთად მოგზაურობა დაიწყო. მის მარშრუტში გერმანული ქალაქების გარდა ოდესა, მოსკოვი და ბუდაპეშტიც მოხვდა. ორწლიანი ხეტიალის შემდეგ ემი ბერლინისა და მიუნხენის სახელოვნებო წრეებში გამოჩნდა. დაუმეგობრდა ახალგაზრდა ექსპრესიონისტ პოეტებს, გამოდიოდა შანსონიედ ბერლინის ხელოვანთა კაფე *Café des Westens* - ში და მიუნხენის კაბარე *Simplizissimus* -ში, წერდა ახალდაარსებულ სახელოვნებო ჟურნალებში, მონაწილეობას იღებდა გამოფენებსა და პოეზიის საღამოებში, მღეროდა ქუჩაში და პასპორტის განზრახ გაყალბებისთვის ციხეშიც მოხვდა. პირველი მსოფლიო ომის დაწყებას ემი ნაკლები პატრიოტიზმითა და აღფრთოვანებით შეხვდა. მან ასევე განხიბლულ ჰუგო ბალთან ერთად დატოვა ეგზალტირებული მიუნხენი და თავშესაფრის საძებნელად შვეიცარიას მიაშურა. მაგრამ შვეიცარია, რომელიც მათ "მშვიდობის კუნძულად" ესახებოდათ, სულაც არ იყო ელ დორადო. ჰენინგსი და ბალი აქ საეჭვო უცხოელების სტატუსით აღმოჩნდნენ, უფულოდ და მუდმივი გასახლების მოლოდინში. ვიწრო ქუჩების ცხოვრებითა და ფეხით სიარულით ქანცგაწყვეტილი ემი - თავის გატანაში გაწაფული ხელოვანი, გამხდარი, მისტიკური, თეატრალური, სასაცილო, გულუბრყვილო, უავტორიტეტო, გულთბილი, ფამ ფატალი და ორგანიზატორული ნიჭით დაჯილდოებული -1916 წელს კაბარე "ვოლტერის" სულისჩამდგმელი გახდა ჰუგო ბალთან, ჰანს არპთან, ტრისტან ცარასთან, მარსელ იანკოსა და რიხარდ ჰუელსენბეკთან ერთად. კაბარე "ვოლტერი" ექსპერიმენტულ ფორუმად იქცა დადაისტებისა და ხელოვნების ყველა მიმდინარეობისათვის, მათ შორის ომით დაზარალებული ქვეყნებიდან გამოქცეულ ხელოვანთათვის.

1920 წელს ემი და ჰუგო დადაისტებს ჩამოშორდნენ და დაქორწინდნენ. თუმცა ემის ექსპერიმენტები არ დასრულებულა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ემი ჰენინგსის მოუსვენარი ცხოვრება სხვადასხვა როლისა და კოსტიუმის მოსინჯვას ჰგავდა. ის იყო მოცეკვავე, მსახიობი, პოეტი, წიგნების ავტორი, ნარკომანი, სიტუაციური მეძავი, მრავალი ხელოვანის საყვარელი, დადას დაბადების ხელშემწყობი და ბოლოს, თავისი ქმრის, ჰუგო ბალის გვერდით - მისტიკოსი კათოლიკე. თუმცა კი, მის შესახებ მუდამ ამბობდნენ, რომ საკუთარი თავის ძიებას არასდროს წყვეტდა და რომ ყველა როლი, რაც მოსინჯა, ტანსაცმლის მოზომებას ჰგავდა, როცა ცდილობ, საკუთარი სარგო იპოვო. და ემი ჰენინგსმა დიდხანს მართლაც არ იცოდა, ზუსტად რომელი "ტანსაცმელი" ერგებოდა.

როგორც მოგვიანებით მისი მეგობარი ჰერმან ჰესე აღნიშნავდა, ემი მარადიულ ბავშვად დარჩა. ცხოვრება მისთვის ერთი დიდი სათამაშო მოედანი იყო, სადაც გაზრდა ვერ მოახერხა. ის ყველგან ასწრებდა ყოფნას სახლის გარდა. გარბოდა ერთი სადგურიდან მეორეში, მოგზაურობდა მთელ გერმანიაში, შემდეგ აღმოჩნდა ციურიხში და ბოლოს ტესინში. გარბოდა საკუთარი თავიდან და მოუსვენრად ეძებდა მას. და როგორც თვითონ ამბობდა, არასდროს სტოვებდა დაკარგულობისა და მარტოობის განცდა ამ უკიდეგანო სამყაროში. მის ლექსებში მუდმივად მეორდება სიზმრის, თრობის, სიკვდილის, მარტოობისა და მიუსაფრობის თემები. მისი რითმები მარტივია, არც სახეებია განსაკუთრებულად გამორჩეული, მაგრამ მკითხველზე მაინც იმ ჯადოსნური სიმძაფრით ზემოქმედებენ, რითაც თავის დროზე კაბარე ვოლტერში მისი გამოსვლები იპყრობდნენ მნახველს. თუმცა კი აქვე აღსანიშნავია, რომ ემი ჰენინგსის ლექსებში ნაკლებ დოზით შეხვდებით დადას. კაბარე "ვოლტერის" მსახიობობა კიდევ ერთი როლი იყო მისთვის და ისიც საკმაოდ ხანმოკლე, სადაც საკუთარი თავი ისევ ვერ იპოვა. "დადაიზმის მიმართ სრული ზიზღი გამიჩნდა, იმდენად ბევრი იყო აღფრთოვანებული მისით" - ამბობს ერთ ჩანაწერში.

მკითხველში კი გაკვირვებას იწვევს, რომ ქალი, რომელმაც ასე არატრადიციულად იცხოვრა, ასეთ მოქნილ, გამჭვირვალე და შემართულ ლექსებს წერდა. მისი ლექსების პირველი კრებული "უკანასკნელი სიხარული" 1913 წელს გამოვიდა. კრიტიკოსთა შეფასებით, ძალიან სუსტი ლექსებით. 1919 წელს კი ბერლინში გამოიცა მისი რომანი "საპატიმრო", რომელიც ავტობიოგრაფიულ ამბებზე იყო აგებული, კერძოდ, მასში ასახულია ემის პატიმრობის დეტალები მიუნხენის ციხეში, სადაც 1912 წელს ექვსი კვირა გაატარა. რომანს პრესაში დიდი გამოხმაურება მოჰყვა, გადაჭარბებულად [illegible]ბითიც კი. პირველად ხდებოდა, როდესაც ქალი ავტორი აშკარად საუბრობდა საკუთარ ცხოვრებისეულ გამოცდილებაზე ლიტერატურულ ნაწარმოებში. მთხრობელი რადიკალური იყო: შთაბეჭდილებები, განწყობები, სიტუაციები, პატიმართა ცხოვრების ამბები, ექსპრესიონისტული სიმკვეთრით იყო აღწერილი. თავისუფლების დაკარგვის გრძნობა, რომელიც სასოწარკვეთაში გაგდებს, უსასოო მრისხანება, მარტოობა და ციხის ცხოვრების ულმობა - ამ ყველაფერზე ავტორი სრულიად ღიად ლაპარაკობდა. ის, რომ ემი ჰენინგსს თავისი ნაზი ბავშვურობითა და მიმნდობი ბუნებით ადამიანთა სათავისოდ განწყობა და მოხიბვლა შეეძლო, ამას მკითხველი რომანის წაკითხვისას გრძნობს. ემი თავბრუს ახვევდა მეოცე საუკუნის დასაწყისის გერმანულ ბოჰემას ბერლინსა და მიუნხენში. მის საყვარლებს შორის იყვნენ იოჰანეს ბეხერი, იაკობ ფონ ჰოდისი, ერიხ მიუჰზამი და გეორგ ჰაიმი. მაგრამ მის ლექსებში კვალსაც ვერ ნახავთ მათ შესახებ. ლექსებში ის ნაზი, მგრძნობიარე, სევდიანი, სიკვდილის აჩრდილით დაღდასმული გოგონაა.

ცხოვრების წესად თავისუფლებისკენ შეუპოვარი სწრაფვა, ხოლო ლექსებში ფორმალური სიმკაცრის დაცვა - უცნაურად არ ემთხვეოდა ერთმანეთს. საერთოდაც, ემი ჰენინგსის პერსონა არ ემთხვეოდა არაფერს.

*"ჩემი სიტყვები მე სულ არ მგვანან,*
*ნეტავ შემეძლოს ჩუმად დარჩენა!*
*მაგრამ სიცრუით, სწორედ ამგვარად,*
*მინდა რომ მათი გარსი გაჩვენოთ.*
*მოსჩქეფს ტყუილის წმინდა ტალღები,*
*სიმღერა, ჩემივ სისხლით ნაკვები"*

- აი, ეს იყო ემი...

როლი კი, რომელიც მან ბოლოს მართლაც გაითავისა, მისტიკურ კათოლიციზმში იპოვა, რაც ჰუგო ბალის დახმარებით აღმოაჩინა. აქ ის თავს მონანიე მარია მაგდალინელად წარმოიდგენდა, რწმენაში რომ ჰპოვა ხსნა. 1927 წლიდან, ჰუგო ბალის სიკვდილის შემდეგ, ემი ჰენინგსმა ქმრის შემოქმედებაზე ზრუნვა და მისი ნამუშევრების გამომცემა დაიწყო. დაწერა და გამოსცა ავტობიოგრაფიულ მოგონებათა ორი ტომი თავისი და ჰუგოს ცხოვრების შესახებ. სიღარიბე კი მისი ცხოვრებიდან არსად გამქრალა. ჰუგოს შემდეგ მწირი ფინანსებით გაჰქონდა თავი.

ემი ჰენინგსი 1948 წელს, ფილტვების ანთებით გარდაიცვალა. დაკრძალეს შვეიცარიაში, გენტილინოს სანტ აბონდიოს სასაფლაოზე, ქმრის გვერდით.

**მთარგმნელი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ემი ჰენინგსი

## მორფინი

ჩვენ იმ ერთადერთ, უკანასკნელ ამბავსღა ველით,
მზის შუქი აბლა არაფერში აღარ გვაირდება.
ჩამოიშალა აზვავებულ დღეების წყება,
ღამეთა შფოთი ლოცვა არის განსაწმენდელის.
აღარ ვკითბულობთ არც წერილებს უკვე არცერთი
და ბალიშებზე მიწოლილნი ვიღიმით მშვიდად.
რადგან ყველაფრის აზრზე ვართ და მეტი არც გვინდა,
შეუმჩნევლად ზან გვაციებს, ზანაც გვაცბელებს.
ადამის მოდგმას ვნებით ავსებს სრბოლა და სწრაფვა.
დღეს უფრო მეტად ამღვრეულა წვიმის სათავე.
შესვენებისთვის არ გვიტოვებს ცბოვრება წამსაც
და დაბნეულებს გეძინავს, როცა გაღმა გადავალთ.

## შებინდებისას ნამღერი

*ეუგო ბალს*

ნაცრისფერ წლებზე ოქტავების ექო ზვირთდება.
ჩამოიშალა დღეების ლიბო.
შენი მსურს ვიყო.
კუბოში ჩემი ყვითელი თმა კვლავაც იზრდება.
დასაბლებულან ანწლოვანში უცბო ბალბები,
რაღაც მკვლელობა აბსენდება გაცრეცილ ფარდას,
ოთაბის კედლებს წყეილი თვალის მზერა აწყდება,
აჩრდილთა გუნდი ტაბლის ირგვლივ მსვლელობას მართავს.
ნორჩმა ნაძვებმა შეისაბლეს ბავშეთა სულები,
მობუცები კი თურმე ბებერ მუბებად იქცნენ,
ვერნაცბოვრები წლების ამბებს რომ ჩურჩულებენ.
კლინტეკონგენის ტბა თავს ძველი სიმღერით იქცევს.
ავი თვალისგან თავის დაცვა არვინ მადროვა,
აი, ძვრებიან წყლის აურალიდან შავი მურთბები,
ნითურმა ქალმა ძველი ზღაპრის არელი ფურცლებით
სამარადისოდ მომნუსხა და მომაჯადოვა.



## ჰაეროვანი სტროფები

ახლა კი უნდა ჩამოვვარდე დიდი ბურთიდან,
თანაც პარიზში ზეიმია გაჩაღებული,
Gare de l'Est -თან ადგილი აქვთ შეგულებული,
თითქოს ამ ფერად-ფერად დროშებს ქარი უცდიდა.
მაგრამ მე ახლა მათ შორის არ ვარ,
დიდია ჩემი საფრენი სივრცე,
აქ ყველა სიზმრის არევას ვიწყებ
და მიმიკების ვცდილობ შესწავლას.
აგერ სნეული მამაკაცი გოდებს ეულად,
მე მისი ბოლო გამობედვა ეიპნოზში მაქცევს.
იმ ზაფხულის დღის დაეიწყება არ გვინდა არც ერთს.
საკნის მფლობელად შავი დვარი გადაქცეულა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## მოცეკვავე

გეჩვენება რომ მომნიშნეს თითქოს
და სასიკვდილო რიგებში ვდგავარ.
ეს ცოდვებისგან კიდეც მიფარავს.
ნელ-ნელა ვკარგავ სიცოცხლის სითბოს.
ნაბიდებს უკვე დაეტყო შიში,
და გულის ცემას აღარ აქვს ვნება,
დღითიდღე კიდევ უფრო სუსტდება,
სიკვდილის მაცნე კერასთან მიზის.
მაგრამ ვიცეკვებ, ვიდრემდის ვსუნთქავ,
მალე სამარეს ჩავესვენები.
გულში არავინ მიკრავს ფერებით,
კოცნა კი კუბოს კარამდე მსურდა.

## კაბარეს შემდეგ

სახლის გზას სისხამ დილით ვადგავარ,
ხუთი გამხდარა, მალე ინათებს.
თუმც სასტუმროდან მოჩანს სინათლე,
კაბარე, როგორც იქნა, დამთავრდა.
ქუჩის კუთხეში ბავშვები სხედან,
გლეხებს ბაზრისკენ უაირავთ გეზი,
ბებრებს - ტაძრისკენ, მდუმარე წესით,
სამრეკლოს ზარიც რეკს ქალაქს ზედა.
და თმახუჭუჭა ქუჩის მეძავი
ღამენათევი, დამზრალი მოდის.
შემიყვარე და განმწმინდე ცოდვით.
ღამის გუშაგი, ხედავ, მეცა ვარ.



* * *

უმწეონი ვართ ბავშვებივით,
რომ არ იციან,
აქ დატოვებენ, თუ სხვა მხარეს წაიყვანს მათ გზა.
გვხედავენ, მორცხვად ვდგავართ ფანჯრებთან,
ახარებთ ჩვენი გამოჯავრება,
მაგრამ ჩვენ კრინტსაც არ ვძრავთ.

რომ წავალთ ვინმე მოგვისაკლისებს?
მხოლოდ სამშობლოს ნატვრა იქნება,
შეუმჩნევლად რომ შემოგვიჩნდება,
მასაც ზაფხული და განთიადი გაჰფანტავს ისევ.

არადა, მართლაც ბევრი იწვალეს,
რალაცეების ფასი გაგვეგო,
ჩვენ კი ვარდისფერ ტუჩებს ვაგებებთ
უცხოობის შიშს. და ფხიზელ თვალებს,
გაკვირვებულებს და დაღლილებს ახლო ხედებით
შორეულ გემთა მისალმების ჟინი ედებათ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯაბა ზარქუა

# ჰიპოკრატეს სახე



ეროვნული ბიბლიოთეკა

რამდენნაირი კლიენტი არ მყოლია, მაგრამ ეს უკანასკნელი მაინც... კლიენტები მხოლოდ ბოზებს არ ჰყავთ, სექსისტო ლორო! ერთი სტუდენტი გოგონა ვარ, რომელსაც კაპიკი ფული არ ჰქონდა და ერთ მშვენიერ დღესაც გადაწყვიტა ფული მოხუცი პროფესორებისთვის წაეცინცლა. აჰმ, ისევ სხვა რამეს ფიქრობ გარყვნილო ლორო, კიდევ კარგი სტუდენტებთან არავინ მიგიშვებს არასდროს, თორემ შენგან მაქსიმუმ მომჩვარული ხორცის ანატომია ისწავლონ მაგ უბედურებმა, მეეჭვება ისიც რამეში გამოადგეთ.

რამდენი ხანი ვუნდები დასაწყისს. სულ ასე მჭირს ხოლმე, იმიტომ, რომ ხელზე მეტად ყური მიჭრის. არ ვიცი რამდენად სწორია ეს ფრაზა, „ყური მიჭრის", მაგრამ დარწმუნებული კი ვარ, რომ მიხვდები რისი თქმაც მინდა, ან თუ არც მიხვდები რა, აი დარდი - შენთვის ჯერ ისევ ენატლიკინა დებილი ვაგინა ვარ, რომელიც პროფესორების ლოგინში გორაობს და მერე შანტაჟის გზით ფულს აკეთებს. მინდა გითხრა, რომ სხეულზე უფრო ცუდი ინტუიცია გაქვს იმიტომ, რომ გარტყმაში არ ხარ ვინ ვარ და რას ვაკეთებ ვაბშე! და ის ფაქტი, რომ სათქმელს თავს ვერ ვუყრი, სულაც არ ნიშნავს იმას, რომ დებილი ვაგინა ვარ აპრიორი, რომელიც პროფესორების ლოგინში გორაობს.

იცი რატომ ვწერ ამ ყველაფერს და საერთოდ, რატომ გაჯვამ? შეიძლება ეს კითხვაც დაგებადოს - რა დავუშავე ამ პატიოსან გოგოს, არც მიცნობს წესიერად და ძაანაც სიმპატიჩნი ტიპად ვითვლები პრინციპში, რატომ მაჯვამს მაინცდამაინც გარეგნობაზეო. დაგებადა ეს კითხვა, მახინჯო ძროხა? გიპასუხებ - გუშინ დედა დავმარხე, ფილტვის კიბოთი მოკვდა, ოფიციალური ვერსიით. სინამდვილეში კი დაავადებით, რომელიც სულაც არ იყო არც ფილტვის და არც კიბო. ორი წლის წინ მამა მომიკვდა, რომელიც რეანიმაციაში მოხვედრილი აპარატზე კი მიაერთეს, მაგრამ აპარატის დენში მიერთება დაავიწყდათ, ჰოდა, სანამ საჭმელს შეჭამდნენ მშვიდად და წყნარად, მანამდე გაიგუდა საწყალი მამა. და კიდევ იცი რა არის მთავარი? მთავარი ისაა, რომ მოხუცი პროფესორებისგან ვაკეთებ ფულს, რომლებსაც სჯერათ, რომ მთლად ნობელის პრემიას თუ ვერ აიღებენ, მათი სიკვდილის შემდეგ მაინც ილაპარაკებს შთამომავლობა მათზე, როგორც მინიმუმ. ესენი ზუსტად ის მოხუცი პროფესორები არიან, რომლებმაც დედა და მამა მომიკლეს და საშუალება რომ მიეცეთ, მეც ზედ მიმაყოლებენ. კიდევ ვერ ხვდები რატომ მძულხარ? პრინციპში, ჯერ არც მითქვამს ეგ. ანუ თუ არც მოხუცი პროფესორი ხარ და არც მკვლელი, მაშინ რაღატომ გაჯვამ? იმიტომ, რომ... შორიდან უნდა მოვუარო. შორიდან რა ახლა, ჯერ რას ვაკეთებ ის უნდა გითხრა, რომ წესიერად გაიგო - მოკლედ, სტუდია გვაქვს მე და ჩემს მეგობარს. თავიდან ფართო პროფილით დავიწყეთ და სახელიც სხვა გვერქვა, მაგრამ შემდეგ, როცა ვნახეთ, რომ შეკვეთები სულ სამედიცინო სფეროდან მოდიოდა, სახელი შევცვალეთ და მხოლოდ ამ სეგმენტზე ვკონცენტრირდით. ფილმებს ვიღებთ შეკვეთით. ვინ არიან შემკვეთები? ძირითადად მოხუცი პროფესორები ან მათი შვილები, ოღონდ ამ შემთხვევაშიც მოხუცი პროფესორებისგან არის დირექტივა გაცემული, როგორც წესი, უბრალოდ თვითონ უტყდებათ პირდაპირ კონტაქტზე გამოსვლა და ვითომ ჩერეზ შვილებით და შვილიშვილებით გვეკონტაქტებიან და ვითომ ძაან მორიდებულები და რაღაცნაირები არიან და ავოეეე! ჰოდა, ამ დომხალთან შენ იმ კავშირში ხარ, რომ ჩვენს გადაღებულ მინიფილმებს ძალიან დიდი რეიტინგი აქვს. თითქმის ყველა ტელეარხი მზადაა იყიდოს და ეგრევე გაუშვას ეთერში და ახლა ხვდები საბოლოოდ, სად იხსნება კვანძი? გამარჯობა შენი - შენ ხარ ის არსება, რომელსაც სპეციალური მთვლელებით ითვლიან და რეიტინგის შემადგენელ ციფრებად გარდასახავენ. ახლა ხვდები რატომაც არ გცემ არანაირ პატივს? ჰო, კიდევ იმასაც ვიტყვი, რომ ეს ჩანაწერი როცა გამოქვეყნდება, ალბათ ან ძალიან ბებერი ვიქნები, ან მკვდარი, ან პატიმარი, ან ფსიქიატრიულის პაციენტი, ან რამე მაგდაგვარი, იმიტომ, რომ აქ და ახლა სარჩო-საბადებელზე უარს ვერ ვიტყვი, თან ამ სიტყვების წერის დროს გაპობილი მთვრალი ვარ და ზედმეტებიც მომდის ალბათ, მაგრამ პოხუი, რა. გავიღვიძებ ხვალ დილით, გადავიკითხავ ამ ნაწერს, შევჩურთავ უჯრაში და წავალ მორიგი ბატონი გურამის პროფაილის გასაკეთებლად. მამა, როგორ მენატრები...

ახლა კარგად მისმინე, ერთი მაგარი შემთხვევა მინდა მოგიყვე, თვალებიანო ნეხვის კასრო. იცნობ შენ ბატონ გურამს, კარდიოლოგს? უფ, მხეცია, მხეცი! სასწაულია, გამაგიჟა ამ კაცმა. მაგრამ სანამ ამას მოგიყვებოდე, მინდა ჩემი საიდუმლო გაგიმხილო. რატომ ვარ მაინცდამაინც მე წარმატებული ამ სფეროში და არა ვინმე სხვა, მაგალითად ჩემი მეზობელი ხადიჯა. ჯერ ერთი იმიტომ, რომ ის პაკისტანელია და მე კი ქართველი და თან თბილისელი. მეორე კიდევ იმიტომ, რომ მე ყური მიჭრის, როგორც ზემოთ ვთქვით კიდეც! ანუ იმას ვგულისხმობ, რომ საოცარი სმენის ნიჭი მაქვს. არა, განა მუსიკალურ სმენაზე ებაზრობ ან რამე მსგავსზე და ფენომენალურზე, არა - უბრალოდ თანამოსაუბრეს ვუსმენ და ამაში მართლა ვერანაირი ხადიჯა ვერ გამეჯიბრება. ისე, ნეტა რამდენი ათწლეული უნდა გავიდეს, რომ პაკისტანელებმა თავისი დამტვრეული ქართულით ცნობილ ქართველ ექიმებზე მინიფილმების გადაღება დაიწყონ? აბსურდ ჩორტოვ, როგორც იტყვიან. დამტვრეულ ქართულს სულ ტყუილად კი წავმოკარი კბილი -

ქართული ვაზშე არაფერში მჭირდება საქმიანობაში. ანუ იმ დონეზე კი ვიცი, რომ რამდენიმე კითხვა დავსვა (ძირითადად 5-6) და დალშე წავიდააა. გზადაგზა დავაკვირდი რალაცეებს და მეტი ვისწავლე - მთავარია უსმინო და ინტერესიანი გამომეტყველება მიილო. შიგადაშიგ ფეხებსაც თუ გადაიჯვარედინებ ერთმანეთზე და ცოტათი აცმუკდები ან სახე გაგინათდება, მთლად იდეალური. უნდა გახსოვდეს, რომ შენ მხოლოდ ყავარჯენი ხარ, რომელსაც ბებერი პროფესორი ეყრდნობა და მეტი არაფერი. ვის რად უნდა მოლაპარაკე ყავარჯენი? პრინციპში, არც მომღიმარე ყავარჯენი უნდა ვინმეს, მაგრამ თუ საქმე საქმეზე მიდგა, მომღიმარს უფრო აირჩევს კაცი, ვიდრე ტვინის მხვნელს.

ჰოდა, ამ რამდენიმე კვირის წინ ვიყავით ამ კარდიოლოგთან. ტიპი იმენნა შიგნაკრავია! აი, ხო ბეერნაირი მინახავს არა, მაგრამ ეს რალაც ნამეტანი იყო და ამაზე აუცილებლად უნდა ვილაპარაკო ხმამალლა, მით უმეტეს ისეთ ნაწერში, რომელსაც გამოქვეყნება არ უწერია, მაგრამ ვაიდა, მაინც მომინდეს გამოქვეყნება, პერსონაჟის სახელს და სპეციალობას შევცვლი მაინც და გახსოვდეს, რომ სინამდვილეში კარდიოლოგი გურამი სულაც არ იყო არც გურამი და არც კარდიოლოგი. მგონი აღარ გერჩი მაიმუნის ტრაკო, მსიამოვნებს რომ მისმენ და მკითხულობ, ჩემიანივით იქცევი და სულ ტყუილად გამოგლანძღე. ჩათვალე, რომ შუტკა გავხსენით და სულაც არ მეზიზღები. ჰო, შევრიგდეთ.

ნუ, დასაწყისიდანვე მივხვდი, რომ ეს იქნებოდა ყველაზე არაორდინარული შემთხვევა მთელი ჩემი მოღვაწეობის მანძილზე, იმიტომ, რომ... აი, რავი, როგორ დამიკავშირდა იცი? აი, წარმოიდგინე - მირეკავს ტელეფონი, ოლონდ მობილური კი არა - სახლის ტელეფონი! ვილებ ცოტათი დაბნეული ხმით და გონებაში იმ ბანკებს ვიხსენებ, სადაც კრედიტი ან სესხი უნდა მქონდეს და ბრახ და მესმის ვილაცის უსერიოზულესი ხმა: „გამარჯობა, გურამ გურამიშვილის პირადი ასისტენტი განუხებთ". ვააჰ, მეთქი, ჯერ გურამ გურამიშვილი ვინ ჩემი შაშაკოლაა და მერე კიდევ ასისტენტი რა პონტში ყავს-თქო ვაზშე. ნუ „შაშაკოლა" არ მიფიქრია, რა თქმა უნდა, უბრალოდ ახლა წერისას მომაფიქრდა ეს უცნაური სიტყვა და ლიტერატურულად თუ რალაც მაგდაგვარად მეჩვენა და მაგიტომ ჩავტენე. მოკლედ, ვეუბნები ამ ტიპს, რომ გისმენ-თქო, ის მპასუხობს რომ ხვალ სამ საათზე გურამ გურამიშვილის კაბინეტში მელოდება, შეხვედრაა დანიშნული. რა შეხვედრა, ვინ გურამი, ავოეეე. მეთქი, არ მოვალ, რა პონტში უნდა მოვიდე ვაზშე-თქო. ის მეუბნება, რომ ფილმის შეკვეთა უნდათ. ა, ჰო, ვსიოიასნა, უნდა მცოდნოდა ვინ იყო გურამ გურამიშვილი, ასე გამოდის. ტიპი ისეთი თავდაჯერებული იყო, გეგონება რომის პაპთან დამიბარა შეხვედრაზე... ახლა დავფიქრდი და დღეს რომის პაპიც არ მახსოვს ვინაა. ნუ სახელი ერთი აქვთ მაგათ პა ბალშომუ, მაგრამ ნუმერაციით რომელია ღმერთმა იცის. ჰო, ღმერთმა, რა - რა და, ეს ნამდვილად იცის.

მივდივართ მე და სანდრო ბატონი გურამის ოფისში. ოფისი ახლა ისე ჟღერს, რამე ბანკი და მაგ პონტში არ წარმოიდგინოთ. ძველი საავადმყოფოს შენობაა, რომელსაც გარედან ეტყობა, რომ მხოლოდ ერთი ფლიგელია შერემონტებულის პონტში, კონდიციონერები, რამე... სად მიდიხართო, გვკითხა მსუქანმა ულვაშებიანმა დარაჯმა, რომელიც შესასვლელში იდგა. გურამ გურამიშვილთან ვართ მიწვეულები-თქო, ვუპასუხე. თქვენი გვარი და სახელიო, ეგრევე საქმეზე გადავიდა. ვუთხარი და დავთარში დაიწყო ძებნა. ამომხედა გაოცებულმა, მერე - კი მაგრამ, სამ საათზე გელით ბატონი გურამი და ჯერ ორის ნახევარია მხოლოდ, ასე ადრე რატომ მოხვედითო? აუ, ახლა ამას უხსენი რომ სანდროს დავურეკე დილით გამო და ჩემგან გავიდე-თქო და ესეც გამოვიდა და დამიწყო მოყოლა, როგორ დაცილდა გუშინ მორიგ შეყვარებულს და ტიპმა იმენნა ისეთ გაუსაძლის დღეში ჩამაგდო, რომ მეთქი, გავედით, იქნებ მალე მოვიშოროთ ეს დასირებული კაცი-თქო. მაგარი დებილია სანდრო, ვერ ისწავლა გოგოს არჩევა, არადა, სიმპატიჩნი ტიპია, მაგრამ ყველა გოგო ადრევე ადებს, იმიტომ, რომ ვერ უძლებენ, ან რას გაუძლებენ - ვერშემდგარ რეჟისორს, რომელიც თავის თავს მიქელანჯელო ანტონიონის ეძახის. ეს რომ თავის ვერასრულებულ გეგმებზე მოჰყვება ლაყაფს, აეეე... დებილი ნაშა კი არა, მე ძლივს ვუძლებ ხოლმე. საქმეში რომ მაგარი არ იყოს და თავის მოვალეობას არ ასრულებდეს კარგად, თან მონტაჟიც ეხერხება ბონუსად, ეგრევე გავაჯმევინებდი სტუდიიდან. ჰოდა იმას ვამბობდი, რომ ამ ყველაფრის ახსნა იქნებოდა ახლა დარაჯისთვის? ულვაშ, შეგვიშვი რა შენ გახარებას, რა დაშავდება ახლა შაბათ დღეს საათ-ნახევრით ადრე მოვედი თუ გვიან, მე შენ გეტყვი, მაგარი დაკავებული არ იყოს ახლა ბატონი გურამი. თავი გაიგიჟა - სამ საათამდე ფეხს ვერ შეადგამთო. ვუალა. უხ, სანდრო, შენი დედაც. შენი არა მამენტ, ქეთუშას დედაც, ქეთუშა არ ერქვა მაგას? რაღა გუშინ დაგადო, დღეები დაილია დედააფეთქებული? ამ შაბათსაც აეტანე როგორმე, ბლინ. მომდევნო საათ-ნახევარი ისევ სანდრომ მბურღა საავადმყოფოს ეზოში. ჩემდა ბედად კაციშვილი არ ჭაჭანებდა, რომ მათ ახლოს დავმდგარიყავით და გატყდომოდა ამას უცხოებთან გულის გადაშლა. იმენნა მარტოები ვიყავით და ამანაც რო მიუშვააა... კაროჩე, ლაპარაკის დროს მაკიმარებდა ხოლმე. უხ, სანდრო, შენი, თავში ჭკუა რომ არ გაქვს საერთოდ, გასულა ამასობაში საათ-ნახევარიც და მეტიც! ოთხის

ეროვნული ბიბლიოთეკა

თხუთმეტი წუთია უკვე, ეს კიდევ იმ ადგილზე დგას, ქეთუშამ რომ გაიღვიძა, ჩულქები ამოიცვა და... რა ჩულქები შე კვერცხო, გურამს ველოდინებთ აგერ უკვე თხუთმეტი წუთია. დროზე, დროზე, დროზე.

სამწუხაროდ, დააგვიანეთ, ვერ შეგიშვებთ ბატონ გურამთან, სამ საათზე უნდა მოსულიყავით, მეუბნება ულვაშა და საერთოდ არ ეტყობა, რომ ხუმრობს. ოე, შიგ ხო არ გაქვს კაცო, კინალამ გონება მეკეტება, მაგრამ ვხედავ, რომ აზრი არ აქვს. კარგიიი, ეს უკვე საინტერესოააა. დამარეკინე დროზე, დამარეკინე მაგის ასისტენტთან თუ ვინცაა, დროზე ულვაშ, მიდი! იცით, თქვენი დარაჯი არ გვიშვებს, გუშინ რომ გელაპარაკეთ ის ვარ, სამ საათზე უნდა შევხვედროდით. კი მაგრამ, აქ ვიყავით, არ შეუხსენებია, სულ 15 წუთი... კარგით, კარგით, ხვალ კვირაა, იქნებ ზეგ იყოს? ხვალ? ბატონი გურამი არ ისვენებს? დასვენების წინ ჩავწეროთ? მშვენიერია, რომელზე და სად? უფრო გვიან ვერა? ექვსზე, კვირა დილით... მესმის რომ ცხრაზე ეკლესიაში უნდა იყოს უკვე, ნუ, კარგი - ეკლესიის მერე ნათესავები უნდა მოინახულოს, მერე ბაზარში გავიდეს, მერე ძაღლები გაასეირნოს და ავოეე, კარგი, კარგი, იყოს ექვსზე. ექვსზე მოვალ. სად მოვიდე? კაი ბატონო, იყოს თქვენი სახლი. კიდევ ერთი კითხვა - თქვენ დაგირეკოთ დილით თუ რა ვქნა? იქ იქნებით? ა, სულ მასთან ხართ? არა, უბრალოდ ექიმი მეგონეთ, თანამშ... ექიმი ხართ? ბოდიში, ბოდიში, დავანებოთ ამ თემას თავი. მოკლედ, ხვალ ექვსზე სახლში ვარ ბატონ გურამთან და გირეკავთ თქვენ. ცხრამდე ჩაწერა თუ ვერ დავასრულეთ, თუმცა მგონია, რომ დავასრულებთ, იმიტომ, რომ სცენარი მოფიქრებული მაქვს წინასწარ, მაშინ ეკლესიაშიც წამოვყვებით, მოსულა? შევთანხმდით, დროებით, აბა. დედაშევეცი, კვირას ხუთზე რომ ადგეს ადამიანი, ნეტა რომელზე უნდა დაიძინოს - ახლავე? პო, შუადღის ოთხი საათი კია უკვე. მოკლედ, ამ ფიქრებში ვიყავი, რომ სანდროსაც მაგარი დაეჯვი, რა დროს ქეთუშაა, ვერ ხედავ შენ გამო რა ამბავი მოგვივიდა და ხვალ ექვსზე თუ არ დავადგებით სახლში, მაგარ შარში გავყოფთ თავსთქო და ნადი ახლა დროზე დაიძინე და არ იფიქრო არაფერზე-თქო. მგონი დამიჯერა.

დილით პირველი რა ვიფიქრე იცი, როცა სარკეში გაუბედურებულ ჩემს თავს ჩავხედე თვალებში? გეყოს სოფია, გეყოს ამ ღორიშვილების სმენა, დღეს სმენის ბოლო დღე იქნება - დედა უნდა უტირო გურამს, დედა! კი ვხვდებოდი რომ ვატრაკებდი პა ბალშომუ და ამის თავი არ მქონდა და უბრალოდ უძინარი რახან ვიყავი, იმიტომ ვიყავი დიდ გულზე, მაგრამ მაინც ეს ვიფიქრე და ჰა. გურამს არ ვიცი რას დავაკლებდი და აი, სანდროს კი მართლა დავახრჩობდი, თუ ზუსტად ხუთ წუთში არ მოვიდოდა შეხვედრის ადგილას. ამჯერად არ გადამაგდო და დროზე მოვიდა. ღმერთო დალოცე პატარა ძუკნა ქეთუშა, რომელმაც ჯერ კიდევ გუშინწინ მიატოვა და გუშინ ღამე მშვიდი ძილის საშუალება მისცა ან სულაც ბოლთის ცემაში გაათენებინა ღამე, პოხუი, მთავარია სექსი არ ჰქონია და კმაყოფილმა დროზე მოსვლა არ დაიკიდა და მამენტ, ჯობია, რომ რაღაც პონტში ცოტათი უბედურიც იყოს დროებით, ტონუსში იქნება და საქმისთვის უფრო ივარგებს. ქეთუშ, რისფექთ.

ფიქრის გორაზე ცხოვრობდა, იასნად. მივლასლასდით როგორც იქნა. საათს დავხედე დაფეთებულმა - ექვსს უკლია სამი წუთი. ეგრე, იშ, გამოიღე, ბატონო გურამ. ამოვიღე ტელეფონი და დავურეკე ასის... ისე, რა უცნაური რამე იყო, ვაბშე ვერაფერს მივხვდი: ანუ ეს ტიპი მე მეგონა ექიმი, თანამშრომელი, რომელსაც, ნუ, ნაკლები გამოცდილების პონტში ასისტენტად ამუშავებდა, რა. მაგრამ როცა მითხრა, რომ სახლშიც ერთად ვართო და ვაბშე ყველგანო, მივხვდი, რომ მეტი იყო, ვიდრე ასისტენტი. გეები არიან ვითომ? ხომ არ მეკითხა? პიპი.

პირდაპირ, ჯეკა არ გიკბენთ, დერეფანს გამოუყევით, მარცხნივ, მარჯვნივ, დედის ტრაკისკენ გაუხვიეთ ზემოთ და გვერდით და როგორც იქნა ამოვყავით თავი სასტუმრო ოთახში. თვითონ რატომ არ იკადრა გამოსვლა ნეტა ვაჟბატონმა? ასისტენტს ვგულისხმობ იასნად და არა თავად ბატონ გურამს. ასე ხვდებიან სტუმრებს? მაგრამ ჩვენ ხომ სტუმრები არ ვართ, დაქირავებულები ვართ. დაქირავებულებს კი ასე ექცევიან.

გურამ გურამიშვილი დგას ბუხრის წინ ატლასის ხალათში გამოწყობილი, ხელში უშველებელი ჭიქა უჭირავს, რომლითაც ალბათ ჩაის სვამს, უეჭველი ჩაის, ასეთები ხომ ყავას ძაან რედკად ეტანებიან, მიყურებს და წარბს არ იხრის. არც იცინის, არც გაბრაზებულია, არც დაინტერესებულია. უბრალოდ მიყურებს. იქვე მაგის ასისტენტია, კარგა 40 წლის კაცი ყოფილა, ახრენეწ. ეს ასისტენტი გამოწკეპილია, შარვალკოსტუმი, რამე... ხელის ჩამორთმევას და სიტყვის გაცემას არც ერთი არ ჩქარობს ჩვენთვის.

- გამარჯობა - მივდივარ და ხელს ვუწვდი ჩამოსართმევად.

ჩემი ხელი ჰაერშია. ეს დიშლა კიდევ ორივე ხელით ჭიქას ებღაუჭება, ასისტენტს თავის დაქნევით რაღაცას ანიშნებს და ზურგით ტრიალდება ჩემკენ. რა ჩემი ფეხები უნდა, შიგ ხომ არ აქვს?

- მგონი დროა დავიწყოთ. ჩაწერა გავაკეთოთ აქვე. ბუხრის წინ. ამ ფორმაში, რა ფორმაშიც არის ბატონი გურამი. მზად ხართ?

სანდროს ვუყურებ, ის მანიშნებს რომ მზადაა. კაროჩე, დავიწყეთ. ოე, დიშლა, მოეჯვი, ჩაეჯვი შენს სავარძელში და დაიწყე მოყოლა შენი

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული

დედააფეთქებული ცხოვრების, სხვა რაღა დამრჩენია, უნდა გისმინო. სამართალი რომ არსებობდეს ამქვეყნად, შენნაირებს მე და სანდრო კი არა, ფროიდზე ნაკლები არ უნდა უსმენდეს, მაგრამ სადაა? ვის შევჩივლო, ზიგმუნდი ხომ მკვდარია.

- როდის გადაწყვიტეთ ექიმობა? - ხმა მაქვს რაც შეიძლება მილინკი. კითხვები - ხმაზე უფრო დებილური. ეს უნდათ ამათ. დაე მიიღონ ის, რაც უნდათ და რის მეტსაც არ იმსახურებენ არაფერს. ესენი იმის ღირსებიც არიან, ვკითხო, რამე კურიოზს ხომ ვერ გაიხსენებდი-თქო და მამენტ, ვკითხავ კიდეც.

- 3 წლის რომ ვიყავი, სოფელში, სახლთან ახლოს, ტყე იყო, საიდანაც ხშირად გამორბოდნენ გზააბნეული ცხოველები. მახსოვს, ერთ შუადღესაც ტყიდან პატარა შველი გამოვარდა და პირდაპირ ჩვენს ეზოში შემოვიდა. ბეჭიდან სისხლი მოსდიოდა თქრიალით, სადღაც გაეჭრა აშკარად. მე დავინახე პირველად, მივუახლოვდი, ვუწამლე და მას მერე მივხვდი, რომ ექიმობა ჩემი მოწოდება იყო. მეტსაც გეტყვით - მე არ ამირჩევია ექიმობა. ასე იყო გადაწყვეტილი ჩემს დაბადებამდე და ამას ეერსად წავუვიდოდი. ექიმობა ჩემი ბედისწერაა, რომელიც იქ, ცაში გადაწყდა კარგა ხნის წინ.

რატომ გადავწყვიტე იცი ამ სირის შესახებ შენთან ლაპარაკი? იმიტომ, რომ იდეალური იყო! ტიპი იდეალურად იქმნიდა თავის მითოსს, რომელზეც ხალხს უნდა ელაპარაკა მის სიბერეში და სიკვდილის შემდგომაც. სხვები ცოტათი ბანძები იყვნენ ამასთან შედარებით და ეს იმენნა გაიძვერა იყო. იცოდა, რა და როდის უნდა ეთქვა. თან ისეთ რაღაცეებს მიყვებოდა იმდენად დამაჯერებლად, რომ კაროჩე რა. აი, მაგალითად, ერთ-ერთი კითხვა პირველი სიყვარულის შესახებ.

- ლეილა ძალიან ლამაზი ქალი იყო. მახსოვს, სამედიცინო უნივერსიტეტში სწავლისას ყველა ამბობდა, გურამს ერთადერთი ლეილა თუ შეეფერება მთელი ნაკადიდანო. ძალიან, ძალიან ლამაზი იყო. უნივერსიტეტის დამთავრებისთანავე შევუღლდით, თუმცა მერე ყველაფერი ცუდად წავიდა, რადგან არ დამიჯერა. კერძოდ კი ყველაფერი 4 წლის შემდეგ შეიცვალა, როდესაც უკვე ოთხი შვილი გვყავდა. თითქოს ვერ გაუძლოო ქალმა ამხელა სტრესს, რასაც მშობიარობები ჰქვია და ფარ-ხმალი დაყარაო. თან ბავშვებს, შეიძლება ითქვას, დამოუკიდებლად ზრდიდა. დედა კი ეხმარებოდა, მაგრამ მე სახლში თითქმის არ ვიყავი. აკადემიკოსობას ხონჩით ვინ მოგართმევს ჩემო კარგო, არა? ეს ამდენი პაციენტები, ნუ, მე თავი მედიცინისთვის მქონდა გადადებული. მოკლედ, ამაზე არ ვილაპარაკოთ. იმას მოგახსენებდით, რომ ლეილამ დაიწყო მოწევა, თან ბევრს ეწეოდა. ცოტათი ალკოჰოლსაც მიეპარა და კი ვუჩიჩინებდი ნამდვილად, რომ მოგკლავს ეს სიგარეტი-თქო, მაგრამ დამიჯერა? ფილტვის კიბოთი მოკვდა, ყველაფერი ლოგიკურია, ლოგიკური და ტრაგიკული, სამწუხაროდ, არადა, ჩემთვის რომ დაეჯერებინა... ეჰ.

მე დედანაქაჩო, ოთხ შვილს რაღას აჩენინებდი ახალგაზრდა ქალს, თუ ამდენი ჭკუა გქონდა? აუ, ისე, წარმომიდგენია ლეილა რა ბედნიერი იქნებოდა სიკვდილის წინ, როცა გაანალიზებდა, რომ გადარჩენის ერთი პროცენტი შანსიც არ აქვს და უეჭველად, იმენნა უეჭველად დაშორდებოდა ამ ნაგავს სამუდამოდ. იმენნა გაუსწორდებოდა სიკვდილი ტიპშას. და შვილები? შვილებზე ვკითხე ამის მერე იასნად და ასისტენტს გახედა, რომელმაც ნერვულად მითხრა, შემდეგი კითხვა დასვიო. როგორ ვერ მოვნდი, რომ შვილებთან კარგი ურთიერთობა არ ექნებოდა ამ ამაზრზენ არსებას. ვის რად უნდოდა ან ამის ფული და ან ამის მემკვიდრეობა? მეც რომ ასეთი მამა მყოლოდა, ეგრევე მოვხევდი სახლიდან, იმენნა ეგრევე, დაუფიქრებლად.

- ბევრი ახალგაზრდა გაგიზრდიათ და დაგიყენებიათ გზაზე, ბატონო გურამ. თუ შეიძლება მოგვიყევით ამის შესახებაც.

- ამაზე უმჯობესია თავად იმ ახალგაზრდებმა ისაუბრონ, მაგრამ რა გაეწყობა, რახან მკითხეთ... იცით, კარგი ექიმი ფასდება ორი რამით - განკურნებული პაციენტებითა და აღზრდილი ახალგაზრდა ექიმებით. ცოდნის გადაცემის გარეშე ექიმის ცხოვრება აბსურდია. ეს იგივეა, რაც გქონდეს სიმდიდრე, გყავდეს უამრავი შვილი და არავის თეთრს არ აძლევდე. განა რაში გჭირდება სიმდიდრე თუ არ გაეცი? არ მესმის ხოლმე ხშირად ასეთი ადამიანების. ჰოდა, იმას მოგახსენებდით, რომ ჩემი გაზრდილი ხალხიდან აუცილებლად უნდა გამოვარჩიო გურამი და მინდა მასზე ორი სიტყვა გითხრათ. - გურამის სახელიც შევცვალე იასნად. ვუსმინოთ. ახუიწელნი ისტორიას მოყვება ახლა „ახალგაზრდა" ექიმის შესახებ. - გურამი ქუჩიდან მოვიყვანე ჩემთან. მახსოვს, მაშინ ლეილა ახალი გარდაცვლილი იყო და სრულიად მარტო ვიყავი ამხელა სახლში, როცა სამსახურისკენ მიმავალ გზაზე ახალგაზრდა ბიჭი შევნიშნე ჭკვიანი თვალებით. ვიფიქრე, რომ ამ მაწანწალა ბავშვის სახით დიდი ტალანტი იკარგება-თქო და გამოვესაუბრე. აღმოჩნდა, რომ ობოლი ყოფილა, ობოლთა თავშესაფრიდან გამოქცეულა აუტანელი პირობების გამო და ახლა მეურვეს ეძებდა, ვინც მის აყვანას არ ითაკილებდა. რა გინდა გამოხვიდე-თქო, როცა შევეკითხე, მიპასუხა, სახლების მშენებელიო. მაშინ ვუთხარი - წამომყევი მე, გიპატრონებ, გაჭმევ, გასმევ და კარგ ექიმად დაგაყენებ-თქო. კარგი, იყოს, არც ექიმობაზე ვარ უარსო, მიპასუხა და გამომყვა. მას შემდეგ გურამი ჩემთან ერთად იზრდება. სახელიც მე დავარქვი. 15 წლის კი იყო

ეროვნული ბიბლიოთეკა



უკვე, როცა ვიპოვე, მაგრამ ჯუანშერი თუ რაღაც ერქვა და ამიტომ გადავწყვიტე ჩემი სახელი რქმეოდა, რაღაც საშინელმა აზარტმა შემიპყრო – მინდოდა მისგან ჩემი კოპია გამეკეთებინა ამ მოსაზრების საუკეთესო გაგებით. რაც ვიცოდი, მინდოდა ბოლო სტრიქონამდე მისთვის გადამეცა, ყველაფერი გამეზიარებინა რაც მქონდა. ასე ჩავაბარეთ სამედიცინო უნივერსიტეტში, ასე დავამთავრეთ უნივერსიტეტი და მოვეწყვეთ რეზიდენტურაში კარდიოლოგიის სპეციალობაზე, ასე დავამთავრეთ რეზიდენტურა და მას მერე ვმუშაობთ ერთად. გურამის მოვალეობაა პაციენტების რიგის კონტროლი, ვიზიტების დაგეგმვა, უკმაყოფილო პაციენტების, ასეთებიც გამოერევიან ხოლმე იშვიათად, დაშოშმინება, ხელფასების ჩარიცხვა თანამშრომლებისთვის, ახალი სამედიცინო სტატიების გამოგზავნა ჩემთვის და მოკლე მოხსენებების გაკეთება მათ შესახებ, წერილების შედგენა, რომლებიც უცხოელ პროფესორ კოლეგებს უნდა გავუგზავნოთ დღის ბოლოს და მათი პასუხების სასწრაფოდ თარგმნა და ჩემთვის მოწოდება. იცით რა, სხვა დრო იყო ჩემს დროს, მოგეხსენებათ, რუსულის გარდა არცერთი ენა არ ვიცოდით, უბრალოდ შეუძლებელი იყო რამე გესწავლა. გურამმა კი იმდენი ენა იცის! რომელი ენებია, გურამ? დავიწყოთ: რუსული, ინგლისური, გერმანული, ფრანგული, ესპანური, იტალიური. აზიურებიდან არის რამე? იაპონური. მორჩა? კორეულიც. მორჩა? კეთილი, ბატონო. არ ვიცი როდის მოასწრო ამდენი, მაგრამ ფაქტია, რომ მისი ენების ცოდნა ძალიან გვეხმარება უცხოელ კოლეგებთან ურთიერთობაში. ჩემი თარჯიმნის ფუნქციაც აქვს შეთავსებული კონფერენციების დროს. ჰოდა, იმას მოგახსენებდით, რომ გურამით ვამაყობ და მჯერა, რომ ჩვენი თაობის წასვლის შემდეგ ის და მისნაირები ღირსეულად გააგრძელებენ ჩვენს საქმიანობას.

ტიპი რა უსირცხვილო სირია, შეატყვეთ? მონა ყავს იმენნა, უპატრონო მონა, რომელსაც სახლის მოურავობიდან დაწყებული საავადმყოფოში საორგანიზაციო საკითხებით დამთავრებული ყველაფერი ევალება და ამით ამაყობს! დამალოს მაინც ამ ჩემისამ, შერცხვეს მაინც... არა! სახალხოდ ყვირის ამას და ჰგონია, რომ მაგარ საქმეს აკეთებს. ვინ იცის, იქნებ ჯობდა ამ უბედურ ჯუანშერს, ისე, ჯუანშერი მართლა რა სახელია, ვინ დაარქვა მანაწალობისთვის განწირულ ბავშვს ჯუანშერი, რა საინტერესოა, ჰოდა, იქნებ ჯობდა-თქო ამ უბედურ დღეზე გაჩენილს ქუჩაში ეწანწალა, ვიდრე ამის მონა ყოფილიყოთქო. იქნებ კი არა, უეჭველი სჯობდა, მე რომ ამარჩევინოს ვინმემ, იასნად წანწალს ავირჩევდი.

– როგორც ვიცი, თქვენ ძალიან მორწმუნეც ბრძანდებით. როგორ უთავსებთ ერთმანეთს მეცნიერებასა და რელიგიას?

– ოო, მართლა საინტერესო და დროული კითხვაა. იცით, მეცნიერება არის მუდმივად ამოცანების ამოხსნა და რაც უფრო ბევრ ამოცანას

ხსნი, მით უფრო მეტი გრჩება ამოსახსნელი. ყოველი ამოხსნილი ამოცანის შემდეგ ას ახალს ხედავ და, ცხადია, ეს პროცესი უსასრულოა, ყველაფრის ამოხსნა ჩვენს ძალებს აღემატება. ამით იმის თქმა მსურს, რომ რელიგია და მეცნიერება ერთმანეთს კი არ ეწინააღმდეგებიან, როგორც ეს უმეტესობას ჰგონია რამდენიმე მკრეხელი ფსევდომეცნიერის საჯარო განცხადების გამო, არამედ გვერდიგვერდ მიდიან და ცდილობენ კაცობრიობის კითხვებზე პასუხების გაცემას. ეს დამოუკიდებლად არცერთ მათგანს შეუძლია.

ყველაფერზე ვილაპარაკეთ, ცვეტში ყველაფერზე - ცხოველებიდან დაწყებული, გეების უფლებებით დამთავრებული. ნუ, ამ ბოლოზე არ ვილაპარაკია იმიტომ, რომ ეს კითხვა გამომატოვებინა ასისტენტმა გურამმა, მაგრამ დანარჩენზე მართლა ვილაპარაკეთ. ზოგჯერ მეგონა, რომ რაღაც ბოტი მებაზრებოდა, რომელშიც პროგრამული პასუხები წინასწარ შეეყვანათ - უშეცდომოდ, იდეალურად. მისი სიტყვები იყო დამაჯერებელი, მზერა - ღრმა და ჩაფიქრებული, აზრები - ნეხვობა. ზუსტად ამიტომ ვწერ ამ ყველაფერს. ნაწერში გამოჩნდება რა სირიც იყო ტიპი, მაგრამ თვალებში რომ ჩაგეხედათ და მოგესმინათ, იფიქრებდით, მართლა ჭკვიანი კაცია, რას ერჩიო. ჰიპნოზს აკეთებდა მგონი. გამოცდილმა ექიმებმა იციან ასე მანიპულირება, მაგრამ ამას იდეალურობამდე ჰქონდა ეს ხელობა დახვეწილი. იმდენად დამაჯერებლად მელაპარაკა, რომ ჩაწერის შემდეგ გადავწყვიტე პატარა მოკვლევის გაკეთება და ფაქტების გადამოწმება ვინმესთან. თბილისი პატარა ქალაქია, ყველამ ყველაფერი იცის და მეც მივდექი, მოვდექი და ყველაფერი მალევე გავარკვიე - ეს ტიპი, ასისტენტი გურამი, ოფიციალურ მონად ჰყავს გაფორმებული. სხვების თანდასწრებით არც მის დამცირებას ერიდება, არც წარსულის წამოძახებას, ხელით შეხებასაც კი. ამუშავებს 24 საათი. შუაღამისას თუ ვინმე იაპონელი პროფესორი წერილს მოიწერება, გურამის ვალდებულებაა სასწრაფოდ თარგმნოს და დილით ნათარგმნი და ამობეჭდილი დაახვედროს მაგიდაზე. აბა, რამე გაეპაროს! ერთხელ გამორჩა მსგავსი წერილი და ერთი თვე გურამის კაბინეტში იატაკზე ეძინა, სახლში არ უშვებდა! ავი ენები იმასაც ამბობენ, რომ ჟიმაობენ კიდეც გურამი და გურამიო, მაგრამ ეს უკვე აღარ ვიცი. ჰომოფობია, რამე... აქ ვინმეს გაშავება როცა უნდათ, ამას აბაზრებენ ეგრევე და რავი, აბა, თავს ვერ დავდებ ამიტომ. დანარჩენი კი იმენნა ფაიზალი ფაქტებია. ცოლი იმენნა ამან შეიწირაო. ლამაზი და ლაღი ქალი იყო და დედა უტირა, სახლში გამოკეტა, შვილები დააყრევინა ეგრევე და კაროჩე, გარეკა ქალმა დეპრესიისგან და კიბო რომ სჭირდა, იმენნა უხაროდაო. სიკვდილის წინ კი მართლა ამბობდა, ბედნიერი ვარო. შვილებს უთხრა თურმე, ამისგან კაპიკი არ გიხდოდეთ, დროზე წადით აქედანო და მთელი თავისი წილი ქონება გადაუნაწილებია ოთხ შვილზე, რომლებსაც დედის დაკრძალვის შემდეგ მოუცოცხავთ გერმანიაში და დღემდე იქ ყოფილან ისე, რომ მამის სახელის გაგონებაც არ სურთ. მგონი გვარიც გადაიკეთესო, არ ვიცი რამდენად მართალია, მაგრამ არ გამიკვირდებოდა. თანამშრომლებთანაც იასნად დესპოტი ნაბიჭვარიაო, ისე ყრის ხალხს სამსახურიდან, ზედმეტად არც განმარტავს მიზეზებსო. ერთ დღეს ახალგაზრდა ექიმი გოგო გააგდო და მიაძახა მაგხელა ძუძუებით ექიმობაზე პრეტენზია ტყუილად ნუ გექნება, ყავის მოდულებას დასჯერდიო. არადა, ჭკვიანი გოგო ყოფილა ძუძუების მიუხედავად, როგორც თანამშრომლები ამბობდნენ. ჰო, კიდევ ის, რომ სტუდენტები გურამის ორ ლექციას ზედიზედ არასდროს ესწრებოდნენ, იმიტომ, რომ პირველზე ისე ჟიმავდა ტვინს თავისი ბიოგრაფიით, მეორეზე შესვლა აღარავის უნდოდა მერე. გურამიც დიდად არ დარდობდა ამაზე, რადგან ასისტენტი გურამი ჰყავდა და მეტი ახალგაზრდა რაში სჭირდებოდა, აბა? ჰო, და კიდევ, უმთავრესი - სტუდენტობისას ერთი პრემია მიუღია, ძალიან საინტერესო პრემია, ერთადერთი პრემია, რომელსაც მალავს და კედელზე არ აქვს გამოჭიმული. არ გაინტერესებთ რატომ? პრემიას თურმე ნუ იტყვით და, ერქვა „ახალგაზრდა საბჭოთა ათეისტ მედიკოსთა სამეცნიერო საზოგადოების პრემია". უფრო სასაცილო კი რა ყოფილა იცით? ამის მოსაპოვებლად უჩალიჩია ტიპს, იმენნა შეუზანზარებია ყველაფერი და ჩაწყობით აუღია ამ გაგანია მორწმუნე კაცს ათეისტ მედიკოსთა სამეცნიერო საზოგადოების პრემია. აბა, ამას ხმამაღლა როგორ იტყოდა ახლა?

ინტერვიუს მერე სახლისკენ მოვდივართ მე და სანდრო. დამუნჯებულები ვართ. ვეწევით უხმოდ. ის მობილურში იქექება.

- მგონი მაგარი რამე გავაძრე, ე. შეხედე, თურმე რას ჰგავდა ის დედამოტყნული, ჰაჰა.

- აბა?

- უსმინე: „ჰიპოკრატეს სახე - აგონიის დროს სახის განსაკუთრებული გამომეტყველება. დამახასიათებელია წაწვეტებული ცხვირი და ნიკაპი, ჩავარდნილი თვალები, გაციებული ყურები, ფერმკრთალი სახე მოლურჯო ფერით, ზოგჯერ კი ცივი ოფლი". მოგწონს?

- აუ, მართლა, სანდრო, იმენნა ეგაა!

- ჰო, ჰიპოკრატეს აღუწერია პირველად და მაგიტომ დაურქმევიათ.

- მეთქი, ვის მახსენეეებს...

- ბაბუაშენს სიკვდილის წინ, არა? ჰაჰა.

- ცვეტში.

ასე შევურჩიეთ სახელი სტუდიას. მგონი ნორმალურია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ოთარ ჭირკვალიშვილი

# ბეკეტი

## (ასოციაციური, ასოციალური რომანი)

იყოს ეს მოთხრობა სურვილებზე და მოტივებზე. არ ვიცი რა არის შთაგონება. საბლიდან შთაგონებული გამოვედი. ზეცას წყლიანი თვალებით ავყურებდი და ვფიქრობდი სიკვდილისმაგვარ რაღაცაზე, ალბათ ფსალმუნებზე, დავითის პოეზიაზე, რომ მღეროდა დილაობით. რა ბედნიერია ადამიანი დილით, რა ადვილად შეუძლია იფიქროს სიკდილზე, აბა, გაბედე შებინდებისას, მთლიანად დაგეკარგება თემა. ამ სამყაროში, ყოველივე უადგილოს, მათ შორის უადგილო სიკეთეს თავის ლოგიკა აქვს. ნახეთ, რა იგავი შევთხზე: ოდესღაც მთვარეზე ხე დავრგე, ხე იზრდებოდა, მშვენიერდებოდა, ჟანგბადს გამოყოფდა, ნახშიროჟანგს შთანთქავდა, მაგრამ როცა ზრდა დაასრულა, მისმა ფესვებმა მთვარე დაბზარა, - მორალი: ხე მხოლოდ დედამიწაზე უნდა დარგო! ვიზრდებით, გვიყვარდება მოყვასი, მათთან ურთიერთობა, მაგრამ ისიც უნდა ვაღიაროთ, რომ ასე 40 წლის შემდეგ ცხოვრება ცდილობს გადაგვაჩვიოს ადამიანებს, მიგვაჩვიოს მარტოობას, რათა სიკვდილი არ იყოს მეტისმეტად ტრაგიკული. ბოლოს და ბოლოს, რაც მეტი ცნობისმოყვარე ადამიანი შეიკრიბება შენი ბოლო ამოსუნთქვის სანახავად, მით მეტად შეგეცოდება თავი და შეიძლება მთავარ მომენტში იუმორის გრძნობამ გიმტყუნოს, სიკვდილს მეტისმეტად სერიოზულად შეხედო. რად გინდა ასეთი ლაპარაკის მოსმენა: ეჰ, საწყალს როგორ ჰყვარებია სიცოცხლე (ეს ევფემიზმია და ნიშნავს: ეჰ, საწყალი რა მშიშარა ყოფილა) და როგორ არ დასცალდა ცხოვრებით დამტკბარიყო (ესეც ევფემიზმია და ნიშნავს: რა არასაინტერესოდ იცხოვრა). თან, ამით რა მაგალითს მისცემ ადამიანებს, გინდა რომ მათაც გული აუჩუყდეთ სიკვდილის წინ? კარგია მარტოობა,



ეროვნული

ოღონდ, ასე ვთქვათ, ნორმის ფარგლებში, მთლად მარტოც არ უნდა იყო, ხალხს შეეცოდები. იცხოვრე ადამიანურად, მოეშვი მეტაფიზიკას და ტვინის ჭყლეტას. სურვილი. სურვილის ნარმოება, ეს ჟადოსმაგვარი პანდემიაა, გადამდებია. როდესღაც, სადღაც, ერთი ადამიანი, შეიძლება ცოტა უსაქმურიც, წამოიწყებს სურვილს, შემდეგ კი მთელი კაცობრიობა აჰყვება. ახლა მე სახლიდან გამოვედი და მსურს! რა მსურს? რა და, მსურს ისეთი სურვილი დამებადოს, რომ ჩემი სახლიდან დაიწყოს კაცობრიობის თანამედროვე ისტორია. მარტივია. ნახეთ, მე უბრალოდ კი არ მსურს, არამედ სურვილისამებრ მსურს. რა უფრო მთავარია, სურვილი თუ ის, რაც მსურს? კლასიფიკაციაში მთავარი დატვირთვა მაინც უტოპიურ, ფიქციურ სურვილებზე მოდის. სიზმრები. სიზმრები რომ არა, სურვილები გაგვგუდავდა. ეს ჩემი თემის საკვანძო საკითხია. ახლა, ამ დილით (დილაა ვითომ?), არ დაგიმალავ, მზეს ვერ ვხედავ, რალაც უცნაურად მუქი ფერის დღეა. გამოვედი სახლიდან. სურვილი ჩავიფიქრე და თითქმის მივხვდი კიდეც რა ჩავიფიქრე და უცებ სიზმარი, აუხდენელი სურვილების გადამამუშავებელი ქარხანა, არადა, აუხდენელი სულაც არ არის. თუ არ გჯერა, მაშინ კონტრკითხვა: რა გარწმუნებს, რომ აუხდენელია? კი, ზუსტად ეგ მინდოდა გაგეფიქრებინა, სიტყვა „არარეალური". რალაცნაირი ძალა აქვს ამ მყარ საგნებს, მოდი ცთომილნი ვუწოდოთ, ტვინში ლურსმებივითაა ჩასობილი. არასდროს დაფიქრებულხარ, ტვინიც ერთი უბრალო, თუმცა არცთუ მცირე ზომის ლურსმანია, თავში ჩარჭობილი? არა, არა, თავში არა, ალბათ უფრო შეგრძნებებში. სიზმარში გაბრაზებულზე მუშტი დაგიკრავს რაიმე მყარი საგნის, ვთქვათ მაგიდის, ზედაპირზე? გატყდა? არა, ვერ გატეხავდი, თუ ეს წინასწარვე არ გქონდა ჩაფიქრებული, მაგრამ დავუშვათ არ გქონდა ჩაფიქრებული და მაინც გატყდა? აქ შენც გამტყუნდი და მეც. შენ იმაში, რომ გამოიყენე სიტყვა „არარეალური", მე კი... ღმერთო ჩემო, რაში ვარ მტყუანი, ტყუილი ხომ სურვილია? ან პირიქით. ორივე შემთხვევაში ერთდროულად მტყუანიც ვარ და მართალიც. მომწონს! როგორც იქნა იმ დაწყევლილი ოთხი კანონიდან ერთის გაუქმება მაინც შევძელი. მიმიხვდი ეშმაკობას? სიტყვების: „სურვილი", „უტოპია", „სიზმარი", „რეალური", მერე გამოვიყენე სიტყვა „კანონი". თითქოს ლოგიკურს ჰგავს ეს ყველაფერი. სახლიდან გამოვედი და თეთრი ხელებით ღრუბელივით სინათლეს შევეხე, ეს შესაძლოა ის ღრუბელია, ერთდროს ეგვიპტელებს გზას რომ ულობავდა, ღრუბლისგან საშუალო ზომის გუნდა გავაკეთე და შავი შარვლის წინა ჯიბეში ჩავიდე, შევინახე, მხოლოდ მარცხენა ხელის ჩაყოფისას მახსენდება ხოლმე. ეს ჩემი ერთი კანონია. ლიტერატურაში, კერძოდ პოეზიაში, დავამკვიდრე. კანონი და პოეზია ერთმანეთიდან გამომდინარეობს. აბა, შენ რა, სისხლის სამართლის კოდექსი გგონია კანონი, თუ ადამიანის უფლებების საყოველთაო დეკლარაცია? პრუსტს შეეძლო მინიმუმ 6 კანონის ჩამოთვლა, რომელიც ვერლენმა ფრანგულ პოეზიაში დაამკვიდრა. იმ ექვსიდან ერთი, სავარაუდოდ, ასე იკითხება: არ ვიცი რა არის სიზმარი, რადგან ყოველ სიზმარს მართლაც აქვს იმის პოტენციალი, რომ იყოს სიზმარი. მეორე კანონი კი ასეთია: არ ვიცი რა არის ცხადი, რადგან ეაკულაცია ყველა მდგომარეობაშია შესაძლებელი, სიკვდილის დროსაც კი. ამ კანონს თან ერთვის რამდენიმე ნივთიერი მტკიცებულება, პოეტის დღის და ღამის საცვლები. მე თუ მკითხავ, ამაზე სრულყოფილი კანონები არავის დაუწერია, დამიჯერე ასეა. ჰოდა, სახლიდან გამოვედი და ჩემს სათამაშო ბურთთან ერთად გზას მივიკვლევ. არც არაფრის მეშინია, შარვალში სინათლე კარგად ინახება, აქ ერთგვარი ენერგიის შეკავების კანონი მუშაობს. ახლა კიდევ, ვახსენე სიტყვა „სათამაშო". ნეტა შემთხვევით მომდის ეს ტექსტის კონტექსტისთვის საჭირო სიტყვები, თუ შეგნებულად ვაკეთებ ამას? წარმოიდგინე, ფიქრის მიმართულება მთლიანად ჩემს ხელშია კონცენტრირებული. თუ ვიტყვი შეგნებულად ვაკეთებ, იტყვიან, ვააა, რა ჭკვიანია, თუ ვიტყვი შემთხვევით გამომდის-მეთქი, იფიქრებენ, ვააა, რა თავმდაბალია. როგორც ჭეშმარიტი ქრისტიანი გულწრფელად ვწუხვარ, რომ ვინმეში ერთდროულად ამ ორი თვისების არსებობა პრაქტიკულად შეუძლებელია. რომელი ავირჩიო? რახან თამაშია, თამაში იყოს. ვთქვათ, გითხარი ასეთი ურთულესი გამოცანა: „დილას დადის ოთხ ფეხზე, შუადღისას ორზე, და საღამოს სამზე", რა არის? და გამოიცანი. შინაგანად ზუსტად იცი რომ იცი. რომელს აირჩევ ზემოთ დასახელებული ორი თვისებიდან? თუ იტყვი, ვერა, ვერ გამოვიცანი, იქნები თავმდაბალი. კის თუ იტყვი, დედამიწაზე ერთადერთი იქნები, ვინც ამ გამოცანის გამოცნობა შეძლო. ხედავ? არის მესამე გზაც, არაფერი თქვა და ორივე იქნები, ოღონდ ჩუმად, ჩუუუ, მაგრამ ვაი, რომ ჭკუას გაჩუმება არ შეუძლია, და არ დაგიმალავ, ბევრი ჩვენნაირი გაუყვნებიათ თებეს გზას!.. დიახ, ვიტყვით ჩვენ: სწორედაც შეგნებულად ვწერთ ჩვენს ცხოვრებაში ყველა მნიშვნელოვან სიტყვას, ეს არც შემთხვევითობის ბრალია და არც ღმერთის. ოი, ეს რა წამომცდა, მაპატიე. ახლა ჯიბიდან სინათლეს ამოვიღებ, მაინც გადავამოწმოთ, აგერ უკვე შებინდდა, დეკემბერია. კი, კი, აქ ყველაფერი რიგზეა, მეტი ამ ერთ ღამეში არც დამჭირდება. ამდენი ხანია სახლიდან გამოვედი და ფანჯრებს მაინც ვხედავ. ნეტა თუ შევძლებ ერთხელ მაინც ცხოვრებაში, სახლს ისეთ დისტანციაზე დავშორდე, რომ ვერ დავინახო? დღეა თუ ღამეა, მთლიანს თუ ვერა, მის რომელიმე ნაწილს ყოველთვის ვხედავ, არადა, წელან: „ცხადიო", „რეალობაო", „სიზმარიო" და რა ვიცი კიდევ, რა არ ჩამოვწერე... მიზეზზე საერთოდ არ მიყვარს ლაპარაკი, ტვინი ისე გავხედნე, მხოლოდ კონკრეტულ, ამ მომენტისთვის აუცილებლად მომხდარი ხდომილების ფიქსაცია შეუძლია. აბსოლუტურად გამორიცხულია „იყო" და „იქნება", მხოლოდ „არის", მორჩა და გათავდა. ჰო, კიდევ ერთი სიტყვა, ღმერთო გამახსენე... არა, ვერაფრით გავიხსენებ, მგონი, ის საერთოდ აღარ არის. გაუჩინარდა. დამტოვა. ახლა, ისევ ვიღებ კალამს და ვწერ, ვწერ, ველოდები აზრს, აზრის დაბადებას, აზრი მოვიდა, ეს ინტენციააა, ოღონდ ეს ხდება ახლა, ამაზე ცოცხალი პროცესი რაღა გინდა? არ ვიცი რა იყო, ვერაფერს ვიხ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სენებ, არ ვიცი რა იქნება, რადგან არაფერი გამომდინარეობს ამ მომენტიდან, არსებობს ერთ წერტილში დაუსრულებელი მოძრაობა. სურვილიც, თუ გინდა არ დაგლალოს, ნუ იქნება მომავლისკენ მიმართული. არ გინდა ასრულება, იყოს თვითონ. გრძნობ სიხარულს? წარსულის და მომავლის დიდი სიხარული ვერ შეედრება ამნაირ უმნიშვნელო სიხარულს. მეხსიერებაში დიდხანს შენახული შთაბეჭდილება იცრიცება... მოკლედ, არ ვიცი ამ ყველაფერს რატომ ვწერ... აი, თურმე რატომ ვნერდი, მივხვდი, გამახსენდა სიტყვა „იმიტომ", ეს სიტყვა მოვაშთე, გავანადგურე ჩემში, ნელან რომ ვერ ვიხსენებდი. რა გულისამრევია „იმიტომ". არა, არა, ახლავე კვლავ უნდა განვდევნო და ეს იქნება საბოლოო, მორჩა, უკვე დამავიწყდა, ტექსტს აღარ მივუბრუნდები. აბა, ვემზადები: ჰოპლა. მორჩა. გადავახტი! როგორც ჩანს, ეს ნუთია, სოფლის შარაზე ავიარე ჩაფიქრებულმა. ჩემმა ხანშიშესულმა (ასე ხ5 ლამდე იქნება), ბრგე, წელში გამართულმა, ლამაზი აგებულების ძალიანთეთრთმიანმა (გარეგნობით, თითქმის ბუნდოვანებაში გადასულმა) მეგობარმა მომაძახა, ჰეი, შენ!.. (განდობილივით, საიდუმლო სახელით მომმართა, პაროლივითაა. მნიშვნელოვანი მომენტია!) გამარჯობა არ უნდა მითხრა?! რა ვქნა ახლა, მივიდე? დავიძარი, უნდა მივიდე, იქნებ რამე მომიყვეს. მივედი. ბევრად ახალგაზრდა ვარ მასზე, მაგრამ ვმეგობრობთ. ლოყაზე ვაკოცე, მივუჯექი. თავად წამოდგა. მომიბრუნდა. თავისივე გამოთლილ, გამომწვარ, გალაქულ გველისთავიან ჯოხს დაეყრდნო. მუქი, შავი მზის სათვალე უკეთია და მიყვება (ოჰ, როგორ ცოცხლად ვწერ, თუ აღვწერ ყველაფერს!): ორი დღის წინ სახლიდან გამოვედი, შუადღე იყო, თქვენსა მინდოდა ამოსვლა და ვერ მოვახერხე, პირველი ნაბიჯი გადავდგი თუ არა ჩემი ჭიშკრიდან, ავდექი და უკან შევბრუნდი. ახლა მე უნდა ვკითხო რატომ. ვკითხე. იმიტომ (ეს სიტყვა რას უნდა ნიშნავდეს?) ჩემო უმცროსო მეგობარო, რომ ერთ რამეს მივხვდი. რას? რას და ჩვენ ისეთი ზარმაცი ხალხი ვართ, თოვლში ერთი კაცი რომ გაკვალავს გზას ყველა მის გაკვალულში ვაბიჯებთ, არცერთი სანტიმეტრით წინ ან უკან და ასე, ათასმა კაცმა რომ გაიაროს იმ გზაზე ვერ შეატყობ, იფიქრებ ერთ კაცს გაუვლიაო. (ახლა ვიცი რაც უნდა ვუთხრა: მერე შენც გაგეკვალა შენი გზა, ან იმავე ნაფეხურებით ამოსულიყავი-მეთქი, მაგრამ არ ვეტყვი, აზრი არ აქვს.). მაინც რაზე ფიქრობდი, რომ ვერ შემნიშნე? იქნებ შეგამჩნიე და გაპარვა მინდოდა, როგორ მიცანი? როგორ და თოვლზე ბილიკი გაგყავდა, რომელიც მხოლოდ შენია, ფეხის ხმა უტყუარია... გაეცინა. (ვინმე იკითხავს: ჯერ ხომ ძალიან არ ჩამობნელებულა, ვითომ რატომ ვერ უნდა ეცნე, ბრმა ხომ არ არის? ჰო, სწორედაც ბრმაა, ბრმა! თეთრი თმა აქვს. მუქი სათვალე უკეთია. გველისთავიან ჯოხს დაჰყვება. შეუმჩნევლად დასრიალებს გზებზე. ორი დღის წინ, დილით, დიდი თოვლის გამო ჩემამდე ვერ ამოაღწია. სახელით მომმართა. ასეა, პატარა ბელეტრისტიკული ფანდია ეს „სიბრმავე" და ტექსტში ყველაფერს ცვლის). აგრძელებს: მერე, დღეს დილით რა შემემთხვა, რომ იცოდე, აბანოს ვაკეთებდი, ავზი წყალს აღარ აცხელებდა, მაღალი ძაბვა გადის და... დენმა დამარტყა. ვაიმე, ვთქვი მე. ჰოდა, შენგან ერთი რამ მაინტერესებს, მთელი დღეა სანახშოზე, ამ ადგილას, გელოდები. რა გაინტერესებს? რა და, ახლა მე ცოცხალი ვარ? რა ვუპასუხო? ალბათ შეკითხვა უნდა დავუბრუნო, სხვა გზა არ არის. და რატომ ფიქრობ, რომ ახლა შენ შეიძლება ცოცხალი არა ხარ? უკვე 39 წელია ბრმა ვარ და ახლა მე შენ გხედავ, გესმის, გხედავ! გ ა ვ ი ქ ც ე?! არა, რომ გავიქცე, ვიცი, ვიფიქრებ თუ არა სამშვიდობოს ვარ-მეთქი, ზუსტად იქ გამომეცხადება და ჩვენს მეგობრობასაც საბოლოოდ დაესმება წერტილი. ვეუბნები: აბა, თუ მხედავ აღმიწერე ჩემი თავი. კარგი, - მოურიდებლად, სწრაფი მოძრაობით მოიხსნა სათვალე. ცხოვრებაში პირველად ვხედავ ბრმას სათვალის გარეშე. თვალები დაშრეტილი აქვს, მარცხენა თითქმის ბოლომდე მოჭუტული, ოპერაციის ხაზი და თეთრი ნადები ეტყობა, მეორეში, ოდნავ გახელილში, შუშის თვალი მოუჩანს. თითქოს მიყურებს. ჩამაშტერდა. განაგრძო. - შენ გაქვს მზესავით ყვითელი კანის ფერი. გაფითრებული ხარ. თმები ცეცხლისფერი. ცხვირი ოდნავ კეხიანი. ტუჩები თხელი. ნიკაპი ჩაჭრილი. თვალები გამჭვირვალე კომბოსტოსფურცლისფერი. შარვალი შავი გაცვია, რომლის ერთი ჯიბიდანაც უცნაური სინათლე მოდის... და გააგრძელა ტანსაცმლის აღწერა, თუმცა მე აღარ ვუსმენ. მოკლედ, პოეტურად კი აღწერს ჩემს გარეგნობას, მაგრამ შარვლის ჯიბიდან წამოსული სინათლის სხივის გარდა თითქმის არაფერი ემთხვევა. თითქმის ყველაფერში შეცდა. რა ვუპასუხო? იქნებ მართლა მკვდარია? მაგრამ თუ ასეა, აქ ჩემი და საერთოდ სიცოცხლის რაობის და ნამდვილობის საკითხიც დგება. არადა, ის მელაპარაკება, მე ვიწერ... რა ჯანდაბაა? მოკლედ, რაც იქნება იქნება, ვპასუხობ: არ ვიცი ცოცხალი ხარ თუ მკვდარი და არც ის, ხედავ თუ ვერა, წავედი. წამოვედი. დავტოვე თავის გველზე ჩამოყრდნობილი, გაშეშებული. ავდექი და უბრალოდ წამოვედი, მორჩა და გათავდა, არ შემიძლია მისტიკა, მეტაფიზიკა და საერთოდ, საერთოდ არაფერ შუაშია ეს ორი რამ ამ ყველაფერთან. დიახ, წამოვედი. სახლიდან გამოვედი და ვგრძნობ, ისევ სახლში მივდივარ. რა გზას დავადგე, როგორ არ წავიდე სახლში?! სანახშოს მოპირდაპირე მხარეს მარჯვნივ გადავუხვევ, ხიდს გადავივლი და სასაფლაოზე ავალ, სანამ ბოლომდე ჩამობნელებულა. უკან ვიხედები, კიდევ ჯოხზეა ჩამოყრდნობილი, არ ინძრევა. მოვიხედე და მარილის სვეტად იქცა, ზოგჯერ პირიქითაც ხდება რაღაცები. ძალიან პირობითია ეს ყველაფერი. ბრმას ველაპარაკე, მას არანაირი კრიტერიუმი არ გააჩნია, რომ მიხვდეს მკვდარია თუ ცოცხალი. შეიძლება მკვდარიც არის. ახლა სასაფლაოზე ვარ, რაღაც ძალიან ხელოვნური მეჩვენება აქ სიკვდილის ატმოსფერო. თოვლში ამოსული ყვავილები თავისას ცდილობენ (ეს ბუნებაა), საფლავის ქვები თავისას (ეს მეცნიერებაა), ორივე კი მიგვანიშნებს, რომ აქ სიკვდილია. ამ მინიშნებას რაღაცნაირი მტკიცებითი ფორმა აქვს. არადა, სიკვდილი ყველაზე ნაკლებად არის აქ. მეტისმეტად ხელოვნური სივრცეა. სიკვდილს ასეთ უტრირებულ, მდაბიო სივრცეში არაფერი ესაქმება. უფრო დახვეწილი, სადა

აქსესუარები უყვარს. ამ საკითხში აშკარად ევროპაცენტრისტი ვარ. არ მომწონს სიკვდილი გაგებული აღმოსავლურად, დასავლური მირჩევნია. და აი, ამოვყევი აღმართს და მოვადექი იმ ადგილს, სადაც თეორიულად ვიცი, რომ დაახლოებით ორი მეტრის სიღრმეში ისაა განთავსებული, ვისი ძვლებიც არაერთხელ გამითბია. რაღაც გაურკვეველი განცდა მეუფლება ხოლმე, მინდა ეს ადგილი ამოვთხარო, ნამდვილი არქეოლოგიური ჟინით ვარ შეპყრობილი. სასაფლაოს ეს ადგილი, ფერდობი, სადაც ასე ლამაზადაა შეფენილი დომინოს პრინციპით, ჭადრაკულად განლაგებული საფლავის ქვები, ყოველთვის ალერგიას მაძლევს. არ ვიცი, შეიძლება ფიქრი მაძლევს ალერგიას, ახლაც საშინლად მეფხანება ყვერები, იქნებ ჯიბეში თბილად მოკალათებული სინათლის ბურთის ბრალიცაა ეს ყველაფერი. ყვერების ფხანა არასდროს ამტეხია, უნდა დავბრუნდე, ველარ ვუძლებ, უნდა დავბრუნდე, დავეშვები ახლა ამ ფერდობიდან, ვიწრო ბილიკით, საფლავსა და საფლავს შორის. არ ვიცი როგორ ვწერ, როგორ ვინიშნავ ამ ყველაფერს, აგერ უკვე დაღამდა და აღარაფერი ჩანს, თუმცა ამ კალამს უნიკალური უნარი აქვს, დაადებ თუ არა მის წვერს ფურცლის ზედაპირს, მთელი ფურცელი ნათდება. სხვას რასაც გინდა დაადე, აზრი არ აქვს, აუცილებლად ფურცელი უნდა იყოს. ის სავარაუდო ადგილი კი, სადაც ბოლო წინადადება ჩავინიშნე, უნდა დავიმახსოვრო, თუ ვერა, ან უკვე დაწერილს გადავაწერ ახალ ტექსტს, ან თანმიმდევრობა დამეკარგება ვრცელი ინტერვალების გამო, ან სრულიად ახალი ფურცლიდან მომიწევს ტექსტის გაგრძელება, კაცმა რომ თქვას, რა პრობლემაა, თუნდაც ესე იყოს. მოკლედ, დავეშვი. ვერაფერს ვხედავ. ფიფქები, ზოგჯერ კი ხიდან მოწყვეტილი თოვლის მასა, ხელებზე, კისერზე და სახეზე მაცვივა, ისეთი შეგრძნება მაქვს, რომ მკვდრებს აქედან ჩემი გაშვება არ სურთ, სველ ხელებს მისვამენ სახეზე, კისერზე, თავზე და ა. შ. თითქოს სულში გადამივიდა სისველე. წესით, უნდა მეშინოდეს. შემეშინდებოდა კიდეც ასე არანორმალურად რომ არ მეფხანებოდეს ყვერები. ჯიბეში ხელი ჩავიყავი, სინათლის გუნდა ამოვიღე, რაღაც უცნაურად უხდება თოვლს, სიბნელეს და სასაფლაოს. რამდენიმე აჩრდილს თვალიც კი მოვკარი, - ეპეი, სად გარბიხართ! ზოგჯერ როგორ აცანცარდებიან ხოლმე, სწორიცაა, აჩრდილს სერიოზულობა არ უხდება. ხედავ, რაც სინათლის გუნდა შარვლის ჯიბიდან ამოვიღე, ალერგიამ ცოტა გამიარა, მგონი ადგილთან და ფიქრთან ერთად ამის ბრალიც ყოფილა... ახლა ამ გუნდას სასაფლაოს ბილიკზე დავაგორებ და უკან მშვიდად გავყვები, მართლა არაფერი ჩანს... ერთადერთი, რაც მომეთხოვება, ცოტა ნაბიჯს უნდა ავუჩქარო, ძალიან არ დავშორდე სინათლეს, იდეალურად კი მინათებს, გზას და საკუთარ ფეხებს მშვენივრად ვხედავ, დანარჩენს ეშველება. შევყოვნდი. უნდა გავჩერდე, ეს რაღაც ახალი საფლავეა, გზის ამ ნაწილში არასდროს ყოფილა. დავიხარე, სინათლის გუნდა ავიღე, საფლავის ქვასთან ახლოს მივიტანე და სახეს დავაკვირდი. მიცვალებულს მუქი მზის სათვალე უკეთია... კი, ის არის, ის ბრმა, ჩემი მეგობარი, წელან რომ მეკითხებოდა ცოცხალი ვართ, ქვას მხოლოდ დაბადების წელი აწერია, გარდაცვალების არა. მკვდარია ვითომ? წარმოდგენა არა მაქვს. ისევ დავაგორე ბილიკზე სინათლის გუნდა, მოვყვები ნელა და ვფიქრობ. დამშორდა. რაღაც უცნაურად სწრაფად მშორდება. უსასრულოდ დამშორდა, ველარ ვეწევი, რაც უფრო ვუახლოვდები, თითქოს უფრო მშორდება, მიგორავს, მიცურავს უსასრულობაში, ველარ ვეწევი, აი, დავინახე, უკვე სასაფლაოს ხიდთანაა. უნდა გავიქცე. გავრბივარ. რამდენჯერმე წავიქეცი, მგონი ხელები გადავიყვლიფე, ცოტათი სახეც დავისისხლიანე. აი, უკვე ხიდს ვუახლოვდები. სინათლის ეს ბურთი კი ჩაგორდა... ღმერთო ჩემო, სინათლე მდინარეში ჩავარდა. მდინარეში ვერ შევალ, მდინარეში შესვლა არასდროს გამომდიოდა. სასწაულია, მთელი მდინარე გაანათა, გამჭვირვალეა წყლის წვეთივით. წარმოგიდგენია, კალაპოტიდან სოფლის ბოლომდე მდინარის თითოეულ ტალღას, მის ფსკერზე დაცვენილ ყველა კენჭს ვხედავ, შემდეგ გადასერა მდინარე და ხიდის მეორე მხარეს გაჩერდა, მდინარე კი ისევ დაბნელდა. წარმოდგენა არა მაქვს ეს ყველაფერი შემთხვევით მოხდა თუ რამე მნიშვნელობა აქვს, არ მიყვარს ალეგორიები, სიმბოლოები, ქარაგმები, მოკლედ, ძირს ყოველგვარი ბუნდოვანება!.. გადავიარე ხიდი, ავიღე ბურთულა, საკმაოდ დაპატარავებულიყო, ალბათ მდინარეში ბევრი ენერგია დაკარგა, და ჯიბეში ჩავიდე. გამოვედი სასაფლაოდან და რას ვხედავ, პავლე (ის ბრმა) ისევ ისე დგას გაუნძრევლად ჯოხზე დაყრდნობილი, ოღონდ თავი ჩემკენ აქვს შემობრუნებული. არ ვიცი როგორ (ღამეა!), მაგრამ ცხადად ვხედავ ამ ყველაფერს. მგონი ცოტა შეირხა და უცნაურად გაიღიმა კიდეც. ისევ მეძახის, რაღაც უნდა გითხრაო. მივედი. რას იწერო, მეკითხება. აი, თუნდაც რომ მკითხე რას იწერო, ეგეც ჩავიწერე-მეთქი. რა იცი რომ ვიწერ-მეთქი. ქაღალდის შრიალის ბგერებს კარგად ვგრძნობო, თუმცა, მე ფურცელი შენს ხელში არ დამინახავს და ალბათ თავს ვიტყუებ, ვერ ვიხედებიო. ისეო, 39 ზამთარი გავიდა რაც დავბრმავდი და ერთხელაც არ დამმართნია სურდო, ეს ოხერი სიბრმავე რამდენიმე დღე მაინც რო დამვიწყებოდა და თავი ჩვეულებრივ ადამიანად მეგრძნოო. არასდროდ ავად აღარ გავმხდარვარ, თითქოს ვიღაცას განუზრახავს, რომ მხოლოდ ბრმა ვიყო, მორჩა და გათავდაო. ისე, ერთხელო, ასე ხუთი წლის წინ, სახლში ფეჩთან ვიჯექი და ცეცხლის სიმხურვალე პირდაპირ სახეში სასიამოვნოდ მეცემოდაო, ვიეტნამიდან ჩამოტანილი, სიგარეტის ფურცელში შეკეთებული მარიხუანა მეგდო კარადის უჯრაში, ერთმა ჩემმა სოფლელმა მომცაო. უჯრა გამოვწიე, მარიხუანა ამოვიღე, მოვუკიდე და რამდენიმე ნაფაზი დავარტყი, ღრმად ვისუნთქავდი, მაგრამ განსაკუთრებულს ვერაფერს ვგრძნობდიო. მერე ისევ ფეჩს მიეუჯექი, რაც დამრჩა ცეცხლში შევაგდეო. ფეჩს შევუკეთე, ცეცხლის სიმხურვალე მატულობდა, მატულობდა, სახე მეწვოდა, თავში, თვალებში რაღაც მანვებოდა, ჯერ ფეჩის კარი დავინახე, მერე იქედან გამოვარდნილი ცეცხლის ენები, მერე მთლიანი ფეჩი, ვხედავდი, ეს ყველაფერი ზღაპრული იყო, ნამდვილი ზღაპარი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

არ ვიცი რამდენ ხანს გაგრძელდა, როგორც ჩანს, ჩამეძინა, დილით (ალბათ დილა იყო), საშინელმა ტკივილმა გამომაღვიძა, სახე მეწვოდა, ავდექი, ზეთი შევიზილე (მერე გაირკვა, პირველი ხარისხის დამწვრობა მიმიღია), ტკივილი ოდნავ რომ მიყუჩდა, მერელა დავფიქრდი და აღმოვაჩინე, რომ ისევ ბრმა ვიყავი. ახლა მარიხუანას მოწევის შემდეგ გამოხედვას, დენის დარტყმის შემდეგ გამოხედვასთან ვადარებ და ვხვდები, ამ ორს შორის დიდი განსხვავებაა. მაშინ ზღაპარი იყო, თუმცა მაშინ არ მოვმკვდარვარ, ახლა ცოცხალი ვარ თუ მკვდარი საერთოდ ვერ ვხვდები. რა ფერები იყო მაშინ, ბევრი, ბევრი, მუქი, ლამაზი, ეს კი ძალიან მკრთალი, ულიმლამო ფერებია, შენც ფერდაკარგული მეჩვენებიო. კიდევ იყო ერთხელ, შუაღამისას პური მომინდა, პურის ქვაბში ხელი ჩავყავი და გველმა მიკბინა, მე ასენჩავთვალე, რომ გველი იყო, ნამდვილად გველიო. მაშინაც გამოვიხედე, ოღონდ სულ სხვანაირადო, ამიტომ გამოვთალე ეს ჯოხი, რაღაცნაირად გველი ღმერთად მექცაო. გადამარჩინეს, მაგრამ ის ნაკბენი რომ არ დამავიწყდეს, აი, ეს ჯოხი სულ თან დამაქვსო. მაინც მჯერა, რომ მაშინ ვხედავდი, ახლაც ვხედავ, სხვადასხვანაირად, მაგრამ მაინცო, ცოცხალიც ვარ ალბათ, მაგრამ ამ ბოლო დროს სასაფლაოსთან ახლოს, სულ ამ ადგილებში მიწევს დგომა, არ ვიცი, ეს რატომ ხდებაო … … … მოკლედ, მისი ხმა ნელ-ნელა მიილია, ძალა გამოეცალა, ბუტბუტში გადავიდა, ბგერებს ველარ ვარჩევ. მგონი ისევ გაშეშდა, მარტო ტუჩებსღა ამოძრავებს. ჯიბეში ხელი ჩავიყავი, სინათლის ბურთს დავხედე, შევამოწმე, მართლა ძალიან დაპატარავებულა, მეყოფა კი მთელი ღამე? ყვერები თითქმის აღარ მეფხანება. გახარებული წამოვდექი სკამიდან, სახლისკენ სვლა განვაგრძე. პავლე ისევ ისე იდგა, გაშეშებული, ბუტბუტებდა. არ მინდა სახლში, როგორ არ მივიდე, რა მიმართულებით გავიქცე? ამ დილას გამოვედი, ამდენი ვიარე და ისევ მის შორიახლოს ვარ. ახლა კვლავ მისკენ მივემართები. წესით, უნდა არსებობდეს სხვა გზაც. და აი, ახლა მე ვემზადები ერთი პატარა ნაბიჯის გადასადგმელად, რომელიც, სავარაუდოდ, კაცობრიობისთვის უდიდესი ნახტომი იქნება. გადავდგი. ფეხი ჩამრჩა თოვლში, დავიხარე, თასმა შემხსნია, რაღაცას გამოსდებია და ნაბიჯს ველარ ვადგამ. რას წამოედო, სადა აქვს ფესვი ამ თოვლში ამოსულ ყვავილს? ხელი ჩავავლე და მოვქაჩე. ვერ ამოვწყვიტე ფესვებს. კიდევ მოვქაჩე, კიდევ, ორივე ხელი ჩავავლე, მოვქაჩე, თოვლში გადავარდი, მის სიღრმეში ჩავიმარხე. თასმაში ჩაიხლართა, ვერ გამოვხსენი. იყოს ასე. წამოვდექი. ტანსაცმელი გავფერთხე. ყვავილიანი ფეხსაცმლით მივარღვევ თოვლს, ბილიკი გამყავს. მოიცა, ბურთი ამოვიღო, ალარაფერი ჩანს. ხელებზე დავიხედე, გაოგნებული ვარ, სულ გადამყვლეფია. სისხლიანი მაქვს ყველა თითი. ხელის მტევნები, ერთთავად სისხლიანი. ტკივილს საერთოდ ვერ ვგრძნობ. ძალიან გახურებული მაქვს კიდურები. ყინვა სითბოში გადამივიდა. ლოლოებია სისხლში, თუ სისხლი ლოლოებში, თუ სისხლის ლოლოები? ყვავილნარევია ჩემი ხელები. გადაყვლეფილ ხელებს კანში ყვავილის სურნელოვანი მტვერი შერევია, გაუმწვანებია, სისხლს ფერი შეუცვლია და მუქ ბორდოსფერში გადასულა, ტკივილი მოუნელებია და ვერცხლისფერი ელვარება შეუძენია. ლოყებზე მიმიდია ცხელი ხელის გულები და ველარ მომიშორებია, მერე გამომიქაჩია მთელი ძალით და ღაწვებზეც გადამცლია კანი. ერთთავად გავსისხლიანებულვარ, სხეულზე ყველა ცარიელი ადგილი დაფარულა, ზოგი სისხლით, ზოგი ტანსაცმლით, ზოგიც სინათლით. მთელი სხეული სისხლისა და ყვავილის სუნით გაჟღენთილი, თოვლს შეუნიღბავს, თოვლი სხეულის კამუფლიაჟია, სიბნელეში, მტერს ვემალები თოვლის საბანში გახვეული. თოვლის სული თეთრია და ფაქიზი, როგორც მალარმეს ლირიკა და რას ვხედავ, მას შეერწყა ჩემი სოფლის გორაკზე „შავი კლდის" ნამსხვრევებით აგებული სახლის ფანჯრიდან მომავალი დანთებული სანთლის შუქი. მივედი. ფანჯარაზე მსუბუქად დავაკაკუნე. დავაკაკუნე და გამიღეს. გამიღეს და თავიც გამოყვეს. თავი გამოყო თავშალწაკრულმა ქალბატონმა, თეთრი, ავადმყოფური სახით, მადლით მოსილი, მიყურებდა და თვალებით მეკითხებოდა, რა გნებავთ? ვერ შევატყვე შეცბუნება, არადა, დამინახა. ალბათ სანთლის ალმა დააბრმავა, ან რელიგიურმა ექსტაზმა, მე კი ვუყურებ, კარგად ვაკვირდები, ვხედავ მის მოხრილ სხეულს, დარაბებზე ჩამოწყობილ გაყვითლებულ ხელებს, თავშლიდან გადმოცვენილ ცეცხლისფერ კულულებს და თვალებს, რომელიც ჩამქრალია, მაგრამ ისეთი, სიკვდილის დროს სიამოვნებით რომ დაიხუჭება, მასში გამქრალია წინააღმდეგობა და არის მოლოდინი დადასტურებული და ბეჭედდასმული. მისი თვალები ანგელოზის ბეჭედია, აპოკალიფსში როა, მგონი მეშვიდე… ქალბატონო, სანთელი რატომ გინთიათ ფანჯარაში? აბა, ირგვლივ მიმოიხედეთო, მითხრა. მიმოვიხედე და რას ვხედავ, თითქმის ყველა სარკმელი განათებულია… მხრები ავიჩეჩე. კი, მაგრამ, დაგავიწყდათ, დღეს ხომ შობ… და ამ დროს სოფლის სასაფლაოს პატარა ეკლესიიდან, რომელიც „წმინდა გიორგის" სახელს ატარებს, გაისმა პტარა ზარის წკრიალა ხმა. ნეტა ვინ ავიდა იქ? ნუთუ ასე ამერია დრო? არა, ქალბატონო, გამორიცხულია, დღეს რომ შობა იყოს… და მივაშტერდი ძუძუებზე, რომლებიც რაღაც მისტიკურ ნისლში გახვეულიყო, ჩავთვალე რომ ეს მისი რელიგიურობის ნიშანი იყო, მაგრამ ცოტაც და რაღაც უცნაური სუნიც მეცა, ეს კი აშკარად არ არის საკმევლის სუნი, უფრო ახლად აშიშხინებული ხორცის ნაჭერია. ქალბატონო, მგონი თქვენ ცეცხლი გიკიდიათ ძუძუებზე. მან დაიხედა და კივილი მორთო. ერთი შევნიშნე, ოთახში ვიღაცები ტაშტებით დარბოდნენ. წამოვედი. მაინც რა არის ეს წმინდა დღესასწაულები. რელიგია. შობის სანთლიდან ძუძუებზე ცეცხლი წაეკიდა. ნუთუ ვერ ხვდებით მცირედ მორწმუნენო, ეს არის „წმინდა გარდამოსვლა" იერუსალიმში. მცირე მასშტაბით სასწაულის გამეორება, მაგრამ იერუსალიმის წმინდა ცეცხლისგან განსხვავებით შობის სანთლიდან გადმოსული ცეცხლი წვავს, როგორც ხორცს, ისე სულს… გამოვბრუნდი. ვაკვირდები სახლების ფანჯრებს. თითოეული მათგანი მართლაც რომ ალექსანდრიის შუქურას ჰგავს. ყველა ანათებს, მინათებს სავალ

ერ…ნული

გზას, ისე რომ დამავიწყდა კიდეც ჩემი შარვლის ჯიბეში განთავსებული ნათლის ღრუბელი, ლამპარი ჩემი ბილიკებისა. მივყვები სინათლის გზებს და ვგრძნობ, სახლს ვუახლოვდები, მგონი დავინახე კიდეც. მთელ სოფელში მხოლოდ ისაა ჩაბნელებული. არანაირი სინათლის სხივი, სრული წყვდიადი. რა მარტივია სინათლეში სიბნელის დანახვა. ორი საწყისი, ორი პარალელური წრფე, რომელიც სადღაც უსასრულობაში გადაიკვეთება და ყველა პოეტი თავისებურ დასკვნებს გააკეთებს. ბევრი მისტიკოსი დუმილს მიიჩნევს რელიგიის მთავარ მიღწევად, ე.ი. მართლა მარიამ ღვთისმშობელია ქრისტიანებისთვის ყველაზე დიდი მაგალითი. თუმცა ეს საეჭვო თეზისია, ის უფრო მაშინ დუმდა, ვიდრე ქრისტიანი გახდებოდა. ნეტა იოსებმა მოასწრო გაქრისტიანება? მარიამმა ქალებს მისცა სიჩუმის მაგალითი, მაგრამ ამ მაგალითმა ძალიან ცუდად იმუშავა ისტორიაში. ჰაჰაჰაჰა. სიცილი. გაცინება მხოლოდ ადამიანზეა შესაძლებელი. ქუდზე არასდროს გაგეცინება, თუ ის ადამიანს არ ახურავსო, ჩაწერილი მაქვს, ის ბრმა მეუბნებოდა. ბრმებს ნაკლებად გვაქვს იუმორის გრძნობა, იუმორი თვალის თვისებაა. ისინი კი მოძრაობას აკვირდებიან, ბგერის აღქმის გარეშე, ვთქვათ, ცეკვას მუსიკის გარეშე, მომღერალს სიმღერის გარეშე, არადა, სწორედ მათ არ შეუძლიათ სიცილი, ვისაც ყველაზე მეტად ეცინებათ. ჰო, ყრუ-მუნჯებს გულისხმობდა. მგონი ესეც სასაცილოა. დაგვცინიან, მაგრამ ვერ იცინიან, ჩვენ კი დავცინით, რადგან, დაგვცინიან და ვერ იცინიან. ისინი მხოლოდ ჩვენ დაგვცინიან, ჩვენ კი მათაც და ჩვენს თავსაც. რთულია. სამყაროს არარეალურობა მანცვიფრებს, თითქოს ვისწავლე კიდეც ჩემი თავის დადანაშაულება ყველაფერში, რათა საჯელის სიმძიმე რაღაცნაირად გავამართლო, ვგულისხმობ სახლში არდაბრუნების შეუძლებლობას, მაგრამ, მგონი მაინც არსებობს ისტორიულად ჩამოყალიბებული მყარი ადამიანური იმპულსები, რაც დავივიწყე, სანაგვეზე გადავყარე, ისიც კი დავივიწყე, რომ დავივიწყე, მაგრამ აგერ თურმე ამომიტივტივდა, მაიძულა რაღაცის შეუძლებლობის შეუძლებლობამ და რაღაცის შესაძლებლობის შესაძლებლობამ, რომ მეღიარებინა უძლურება, გამკლავება სასჯელთან, რომელსაც კრიტერიუმი არ გააჩნია. სასაფლაოს ფერდობი ჩამოეირბინე, მდინარის ხიდიც გადავკვეთე, სანთლის მკრთალი შუქით განათებულ ფანჯრებსაც ჩავუარე, ერთგან მიეაკაკუნე კიდეც, ახლა ვფიქრობ, ისევ ფერდობზე რატომ ვგრძნობ თავს, ვეშვები, მივსდევ სინათლის გუნდას, ვეშვები, მოვქრი, იმ ბრმის სხეულთან შერწყმული და გათავისუფლებული, მეც დავბრმავდი პატარაობისას, ამის შემდეგ სულ სინათლის მსუბუქი გუნდა დამატარებს, ჯერ არაფერს დავეჯახებივარ, არც არასდროს წამომიკრავს ფეხი ქვისთვის, თითქოს ის ლამპარია ჩემი ფეხებისთვის, მეც დავატარებ, ტვინი მაქვს განათებული, ვხედავ! მაგრამ ახლა ვხვდები, დროის გასვლასთან ერთად ეს გუნდა დნება, პატარავდება, სამყარო ცდილობს ბოლომდე დამაბრმაოს და წყვდიადში ჩამძიროს, გუნდა პატარავდება, სახლში ვბრუნდები, ნუთუ ყველაფერი ლაგდება და თავის საწყისს უბრუნდება?

სიცილი მეხსიერებას აღვიძებს - სასაცილო ჰიპოთეზაა! ჰაჰა, თითქმის ყველაფერი მახსენდება, ყველაფერი... ვეღარ ვაკავებ მეხსიერებას, პრეისტორიული ფესვები მექაჩება, არადა, ფესვებს თითქოს მოწყვეტილი ვარ, ფეხსაცმლის თასმაში ჩაწნული, მინიდან ამოგლეჯილი წმინდა ყვავილივით. ფეხებით მივათრევ მეხსიერებას და გადაღლეტილი ხელებითა და დასისხლიანებული სახით ვცდილობ აქცენტების დაბალანსებას. რა დიდებულია, ფესვებს მოწყვეტილი ადამიანი! ფილოსოფიური დასკვნაც კი გავაკეთე: თანამედროვე Homo sapiens-ი სამყაროს ნუმერაციული თუ არა, ნუმეროლოგიური ერთეულია ტრანსცენდენტურისა და იმანენტურის გარეშე, ადამიანი თავისთავად, ზედაპირული, აქ და ახლა. სინამდვილეს სიღრმე არა აქვს, მოირჩა. მეხსიერება თითქმის დამიბრუნდა და ისეთი შეგრძნება მაქვს რომ: - აი, მოვდივარ მე, უხილავი ადამიანი. იქნებ დიად მეხსიერებას ვემსახურები...? არ ვიცი ეს ამაღლებული რელიგიურ-პოეტური ტონი როგორ დავარეგულირო, უარი უნდა ვთქვა ზოგიერთ სიტყვაზე, მაგალითად ისეთზე, როგორიცაა - „დიადი"... დიადი არავინაა, უფრო მეტიც, ჩემი აზრით, ადამიანი იმდენად დაუცველია, რომ შეუძლებელია ღმერთი არ არსებობდეს! ეს მე-8 არგუმენტია, რომელიც ადრე მოვიფიქრე, მოგეხსენებათ, მე-6 კანტმა, ხოლო მე-7 ბორხესმა მოიფიქრა, ორნითოლოგიური არგუმენტი... და დაისვენა ღმერთმა მე-7 დღეს და ევოლუციამ დაასრულა მისი დაწყებული საქმე... ჰოდა, რას ვყვებოდი, კვლავ ჩავიარე სანახშოსთან და პავლე ისევ ისე დგას, გველშემოხვეული ჯოხი აღარ უჭირავს და ბუტბუტებს, ამჯერად მგონი საერთოდ ვერ შემამჩნია. გავჩერდი. სუნთქვის შესაკავებლად თოვლის თავზე წავიყარე. დავჯექი და გაფაციცებით ვუსმენ, ვცდილობ სიტყვები გავარჩიო... არა, რას ბუტბუტებს ასე გაშეშებული მაინც? ან ხელები სადა აქვს, ხელებს ვერ ვხედავ? თურმე სულ ახლახან ვინმე მაძებარს ამოუვლია, მ მ მ მ მო, მო, მო... (ღმერთო გაახსენე!) ჰო, მოსე მქვიაო უთქვამს, მოიცა, ჩუუუუ, კი, კი, მოსე, ძაღლთან ერთად ყოფილა და უკითხავს, ის ხომ არ გინახავსო, ალბათ მე მგულისხმობდა, აბა, „ის" ამ არე-მარეში მარტო მე ვარ, სახელები ყველას აქვს. ამას უთქვამს, როგორ ვნახავდი, ბრმა ვარო. კარგიო და ძაღლისთვის უბრძანებია, ბოლივარ, ეძებე! ძაღლსაც ჯერ პავლეს ირგვლივ შემოურბენია რამდენიმე წრე, დაუყნოსია, უკანა თათებზე დამდგარა, წინები სხეულზე გველივით შემოუხვევია, მისთვის ხელები აულოკავს, ამას ხელებში შეგრძნება დაუკარგავს, თითქოს აღარც მაქვს ხელებიო, ჩაულაპარაკია, თითქოს გველისთავიანი ჯოხი აღარც მიჭირავსო, მოსეს უთქვამს, ამით გაუვალი თოვლის გაყოფა შემიძლია, დაგიბრუნებ აუცილებლად, შენ მაინც სულ აქ დგახარ და კვერთხი რაში გჭირდებაო... ძაღლისთვის დაუძახებია, ბოლივარ (თუ ბანგა?), გამომყევიო, და სასწრაფოდ ზევით, ტყისკენ გაუგრძელებიათ სვლა! ნეტა ვინ არის და რა უნდა? ან გზაში როგორ ამცდა, აქ სულ ერთი შარაა და მეც ზემოდან მოვდივარ... სასაფლაოსკენ ხომ არ აუხვია, შარჯვნივ, ვიწრო ბილიკით... გაუგებარია. მერე, ჩემამ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დე, ვიღაცას ჩამოუვლია, თოვლის ხრაშუნის და ლაწა-ლუწის ხმამ შემაშფოთაო, - ბუტბუტებდა პავლე, - გასაოცარი ის არის, რომ ველოსიპედით ყოფილა, უკითხავს, „ის" ხომ არ გინახავსო? ამას უთქვამს, როგორ ვნახავდი, ბრმა ვარო და წასვლა რომ დაუპირებია ამას უკითხავს, კი მაგრამ, ველოსიპედით ამხელა თოვლში როგორ დადიხარო? ადრე ვისწავლე ამით თოვლში სიარული, ერთხელ ალპებში მთიდანაც კი დავეშვი, ზეცაზე თოკით ვარ გამობმულიო. ამას გაჰკვირვებია და სანამ გამოფხიზლებულა, ის უკვე იქ აღარ ყოფილა, თურმე ჩემ გარდა კიდევ არსებობს ვიღაც „ის", როგორც ჩანს, სახელი არც მას აქვს... ახლა თოვლში ნაკვალევს ვათვალიერებ და მართალია პავლე, ერთ ადგილას ვიწროდ გაჭრილი ზოლი შევნიშნე, მეორეგან კი საცერივითაა დაჩვრეტილი თოვლის საფარი, თუმცა მოძრაობის მიმართულებები ვერ განვსაზღვრე, როგორც ჩანს, იცის მოსე-გამომძიებელმა მსხვერპლს როგორ აურიოს კვალი, ველოსიპედის მიმართულება კი ვერასდროს განსაზღვრავ, რადგან მას თავის თავის საპირისპიროდაც შეუძლია მოძრაობა... საშინელებაა სრული სიმეტრია... გესმის, გეძებენო! - პაელემ. ეჰ, არადა, როგორ მეგონა, რომ ვერ შემამჩნია... გასაგებია-მეთქი, ჩავიბუტბუტე, თეთრი კამუფლიაჟი მოვიშორე, ცოტა სისხლის ლაქებიც მივაყოლე და გზა განვაგრძე. ვფიქრობ: ერთი ზევით წასულა, მეორე ქვევით, მე კიდეე შუაში ვარ მოქცეული და ქვეეით ვეშვები... ქვიშის საათი ამოაბრუნეს... ქვიშა... ძალიან ჩამობნელდა, თითქოს უზარმაზარ წყვდიადში შევდივარ. მოიცა, აი ისიც, შარვლის წინა მარცხენა ჯიბიდან ამოვაძვრინე და დავაგორე, ნახე რა ნელა და ელეგანტურად მოძრაობს, ნებისმიერი სიბნელის გაფანტვა შეუძლია, მაინც რა ხარისხი აქვს სემიტურ ნათელს, წმინდა და აბსოლუტური, ათასწლეულების გასვლასაც კი უძლებს, აგერ სულ პატარა ნაწილი მინათებს და ლამისაა კაშკაშმა დამაბრმაოს, თან რეგენერაციის საოცარი უნარი აქვს... შევედი წყვდიადში, თუ წმინდა ნათელში, თუ როგორც არის და აქ სულაც არ არის დუმილი, რაღაც ხმები მესმის ზურგიდან, შორიდან, უკნიდან წამოსული, ქაოტური, ძალიან სუსტი და გაურკვეველი, შიშინისმაგვარი. მხოლოდ ერთზე ვფიქრობ, ეს ნათელი ინდივიდუალურია, მარტო მე მინათებს თუ სხვაც დაინახავდა ჩემთან ერთად გვირაბის ბოლოს? მივდივარ ახლა აქ, სადაც ამდენი სინათლეა და ამდენი - სიბნელე და ათასი თეოლოგიური აზრი მომდის თავში... აი, მოვდივარ მე, უხილავი ადამიანი. გაშეშებული. ეკლესიაში მდგარი ხის წმინდანივით, მარტოდმარტო. შემოპარული სიკაშკაშეში, უსათვალოდ. ბევრი ამბობს, რომ შიშმა შექმნა ღმერთები, არადა, მგონი ღმერთებმა შექმნეს შიში, ზოგმა ადამიანმა დაკარგა ის და თქვეს: შიშმა შექმნა ღმერთები. ჰაჰა, საინტერესო პარადოქსია. მართალია სიცილი სულაც არ გახლავთ თეოლოგიური კატეგორია, მაგრამ უამისოდ თეოლოგია არ გამოდის. გამოცანა: სიმონ კვირნელი ფიზიკურად დაუძლურებულ იესოს ჯვრის ზიდვაში დაეხმარა, ამით რომაელებს სასჯელის აღსრულება გაუადვილა, - სწორად მოიქცა? ეს რა ავადმყოფობა მჭირს, მხოლოდ ასოციაციებით ვაზროვნებ, ერთი წინადადების დალაგებაც კი არ შემიძლია ლოგიკურად. მაშ ასე: ახლა ყველაფერს ვხედავ, ოღონდ მხოლოდ წინ, უკან მოხედვა არ შემიძლია (ლოტის ცოლი კი არა ვარ), არადა ის შორეული ხმები მიახლოვდება, ზოგი ბგერის გარჩევა თითქოს შევძელი კიდეც: სსსსსიიი. ბბბააბბოოო. ქქქქქსს. ნნნგგგგ. ბგბგბგნ. ჰოდა, ამ ბგერების ფონზე რატომღაც მომინდა ასოციაციურად კვლავ სიკვდილ-სიცოცხლის ბანალურ... კი არა, ბინალურობაზე დაეფიქრებულიყავი. მოვახდინოთ ასეთი დაშვება: პავლე მკვდარია. მე გახლავართ ექს-გარდაცვლილი... ახლა წინიდან შემომესმა ხმები, დაახლოებით ასეთი: მგდმგდმგდმგდმგდვვვ... ხომ არ შევიშალე? ძნელია ასეთ უაზრო ხმაურში ჭეშმარიტებაზე ფიქრი. სინათლის ბურთი გაჩერდა. დავიხედე. აგერ შავი ჯვარი გდია თოვლზე, ბაწარგაყრილი. გავწყვიტე, გამოვაძრე, ბაწარი მოვისროლე. ეტყობა ჩემს საძებრად წამოსულ ერთ-ერთ სტუმარს დაეკარგა. მო, მო, მორ, მოს. მოს დაკარგვია. (საინტერსოა, კისრიდან როგორ მოსძვრა?) ავიღე და გზა განვაგრძე წმინდა წყვდიადში; ავიღე ჩემი ჯვარი, ვერაფერიც ვერ უარვყავი, უარსაყოფი არაფერია და, აი, მოვდივარ მე, იდუმალი ადამიანი, მუჭში ჩავიმარხე... მოვდივარ!.. გაჭირვებით მივიკვლევ თოვლში გზას იმისაკენ, რასაც საკუთარ დამარცხებას ვუწოდებდი, დამარცხებულად თავის წარმოდგენა რომ შემძლებოდა. იქნებ მას მერე... წარმოვიდგინე კიდეც, ანდა ვერც წარმოვიდგინე - ამას დრო სჭირდება. მაგრამ შინისკენ მიმავალ გზაზე მე, სიავეთა, ბოროტ ადამიანთა და უსუსური ხორცის მსხვერპლს, ამის წარმოდგენა არ შემიძლია. ჩემი მუჭიდან სისხლი მოწვეთავს და ფეხსაცმლის თასმაში ჩაწნულ, მიწიდან ამოგლეჯილ ყვავილს ეპკურება. ავიღე ჯვარი და მოვდივარ ექს გარდაცვლილი. პავლე მკვდარია. მეც მკვდარი ვარ. - აღმდგარი კაენი, საექსორიოდ გამეტებული. ქსილონ... ქს, ქს, ძალლი, - აღწევს ხმა... ძელები გადაჯვარედინებული, შეხვედრის ადგილი X! გადაკვეთის წერტილი. მე მის საფლავზე. სექსი. ის საფლავში. თავთან ჯვარი. ზოგადად, ჯერის მიმართ სკეპტიკურად ვარ განწყობილი, - ვისაც სურს გამომყვეს, უარყოს საკუთარი თავი, აიღოს ს ხ ვ ი ს ი ჯვარი და გამომყვეს. უარყოფის ლოგიკური თანმიმდევრობა ასეთია: კისერზე სხვისი ჯვარი ეკიდა, მეგობრის ნაჩუქარი. ჯვარმა მკერდზე ხალი გაუჭრა, კიბო გაუჩნდა და მოკვდა. და აგერ, მის საფლავზეც ჯვარი! არ ჩამიწერია: მისი საფლავიდან ამოვგლიჯე, დავლეწე და ნაფოტები თოვლში მიმოვფანტე. ჯვარზე მოკვდა ის, ჯვარზე რომ არ მომკვდარიყო ეს, ყელზე არ ჩამოიკიდებდა და ხალიც არ გაეჭრებოდა და, და, და, და, და... ჯვარმა მოკლა ისიც და ესეც, ამიტომ შეუძლებელია ის ჯვარზე მომკვდარიყო! ახლა ამას გადავაგდებ! ხელი გავშალე და გავიქნიე, მაგრამ ვერ გადავაგდე, სისხლი კვლავ მოწვეთავს ხელისგულიდან, დავიხედე და ჯვარი აღარ ჩანს, მგონი ხელისგულმა შეიწოვა და სამუდამოდ დამკვიდრდა იქ, მის წიაღში, ამას ველარასდროს მოვიშორებ, შევცდი, არ უნდა ამეღო, ასე მაგრად არ უნდა მომექცია მუჭში, მხოლოდ სინათლეც საკმარისი იქნებოდა, ახლა კი რა

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოვიდა, წმინდა ნყვდიადის უცნაურ გვირაბში მივაბიჯებ ჯვართან შესისხლხორცებული, - ერთ სული და ერთ ხორც, როგორც ჯვრისწერისას... აგერ კიდევ სინათლის ბურთიც... მოკლედ, ჩემი მსვლელობა, როგორც ერთმა მკვდარმა მეგობარმა მითხრა, გოლგოთაზე უსასრულო ასვლას ემსგავსება, თანაც ჯვარცმის ყოველგვარი იმედის გარეშე. მერე რა, რომ მე ვამბობ ამას და არა სიმონ კვირნელი, ხშირ-ხშირი შესვენებების ჟამს. კვლავ მესმის ბგერები: სსსსსიიიბბბააბბოოოქქქქქსსნნნგგგგ... ახლა უფრო ახლოდან, მკვეთრად და ხანგრძლივად... ამ თეოლოგიურ ჯურღმულში, სადაც ახლა ვარ („ჯვარისყანა" ჰქვია ამ გვირაბს), შეუძლებელია რამე აზრიან თემებზე არ დაფიქრდეს ადამიანი, უდროობოში ყოველთვის მეტია იმის შანსი, რამე ჭკუიანური თქვა, ასე მაგალითად, საინტერესოა: როდესაც სინდისი მქენჯნის, რატომ მინდება დაბანა? რატომ აქვს წყალს რიტუალური მნიშვნელობა და სულზეც როგორ ვრცელდება? - რატომ დაკარგა ადამიანის მოკვლამ აზრი, იმის გამო, რომ მას პირდაპის ეშმაკის გულში აქვს ფესვები გადგმული? - ვინ მოათავსა ადამიანში გადარჩენის ინსტინქტი: უმოქმედების უნარი, ეს ხომ საშინელებაა! და მაინც, რატომ შემიძლია ყოველთვის კედლიდან გადმოსვლა? - რატომ მიყვარს ეს სამყარო, რომელსაც სიღრმეში ვერაფრით გამოვდე ვნების კაუჭი, ამიტომაც ვარ ასე მოსაწყენად ერთფეროვანი და მართალი, სიტყვების კონსტრუქციებს კი მაინც მუსიკალურად ვაგებ? - რატომ ვარ ყოველთვის ყველაფერში მართალი, რაც უკვე ყელში ამომივიდა?! (ღმერთო ჩემო, მასწავლე როგორ ვიყო დამნაშავე, იქნებ როგორმე შევძლო შეცდომების დაშვება... წმინდა ვარ ქვიშასავით, დასჯილი!). - როგორ შეუძლია ზოგს თავისი გრძნობების გამოფენა, სარეცხის თოკზე გამოკიდებული საცვლებივით? - რას ნიშნავს ის, რომ ჭიპზე დავიჭერ ხოლმე მარჯვენა ხელის შუათითს და გათიშული ვსრეს გამეტებით, შემდეგ ტუჩებს მოვნკურავ, ენას მათ შუა განვათავსებ და ვნებით ვატრიალებ პირის აპარატს, თითქოს სოსკას ვწოვდე, სინქრონულად ვაყოლებ ტუჩების მოძრაობას ჭიპის სრესას, რასაც „ჭიპისწოვას" ვეძახი? ადამს თუ ჰქონდა ჭიპი და „ჭიპისმოწოვის" მოთხოვნილება? - ძირითადად ეს საკითხები მაინტერესებს. ჩემს ადგილზე, ამ გვირაბში, ასეთ სულიერ სიმაღლეზე, რომელიმე მკვეხარა რეალისტი ასე ილაპარაკებდა: შევაღწიე ჭეშმარიტების იდუმალებაში, ვიღაცამ კი ჩემს დუმილში შემოაღწია, ყველა ჩემს აზრს ხედავს... და ა. შ. ეჰ, როგორ მიყვარს უაზრო ადამიანები, დიდ საიდუმლოს არიან ნაზიარები. დუმილში, როგორც მოგეხსენებათ, ძირითადად საგნები და ნევროზებია განტოტვილი, სოფლის თუ ქალაქის კარიბჭესთან მჯდომი ყველა ე. წ. ბრძენი საშინელი ფსიქოზით იტანჯება. მე ვეუბნები ფილოსოფოსებს, სასწრაფოდ მოიშორეთ ჭკვიანური გამომეტყველება, დაგვაცადეთ, არ ვებრძოლოთ ჩვენს თავს, დამიჯერეთ, ზედაპირულობას გარკვეული ქარიზმა აქვს და ქარიზმასაც მშვენიერი ზედაპირი აქვს! ახლა რომ ვფიქრობ, მგონი აშკარად შემიძლია შორიდან ბგერების გარჩევა, მგდ. მგდ. გმ. გმ. გმ... სინათლის ბურთმაც სვლას უმატა, თითქმის ისეთივე სისწრაფით მიგორავს, როგორც წეღან სასაფლაოს ფერდობიდან დაეშვა, გავექიდო? ახლა უკნიდანაც მესმის, ვარჩევ ბგერებს: ბნგ. ბოლ. ქს. ქს. დჭ. დჭ.აგშ. აგშ. ნაბიჯი ავაჩქარე, სწრაფად ვაგრძელებ სვლას წინ და აი, წინიდან უკვე აშკარად მესმის: მოგდევენ! გამოიქეცი! მოგდევენ! მოგდევენ! გამოიქეცი! გელოდები! გამოიქეცი! ვერ ვხვდები რა ხდება, ნებისმიერი სხვა ჩემს ადგილას თოვლზე გაწვებოდა და მყარად გადაწყვეტდა, აღარც წამომდგარიყო ფეხზე. მაგრამ, მე სხვა ჩამოსხმისა გახლავართ... გავრბივარ! უკნიდანაც უკვე აშკარად მესმის ქს მაგას, ბანგა (თუ ბოლივარ?!), ქსა, შეიპყარი, არ გაუშვა! გავრბივარ, მთელი ძალით მივდევ სინათლის ბურთს, რომელიც უკვე ბჟუტავს, ალბათ იმიტომ, რომ მდევარი დააბრკოლოს, გზა დაუბნელოს. ნუთუ ვინმემ ამ გვირაბში შემოაღწია? მოსე ხომ არ... კი, მოსემაძებარია. კვერთხი მომხვდა ბეჭებში, ნამდვილად კვერთხი იყო, ვიცანი. ინერციის ძალამ გამისროლა, ახლა უფრო სწრაფად გავრბივარ, სინათლის ბურთმა ოდნავ გაანათა, ღმერთო ჩემო, ეს რა არის, ჭიპზე ძაღლი მყავს ჩამოკიდებული, ძაღლიანად გავრბივარ, როგორ მოვიშორო, რა გავაკეთო? გამწარებულმა რაღაცნაირად ჯვრიანი მუჭი ჩავთხარე ხახაში! დაეცა და დაიკლაკნა, მერე აღარ ვიცი, უკან აღარც მიმიხედავს, მდევარს გამოვექეცი, მოსე ძაღლს ხომ ვერ მიატოვებდა განსაცდელში, მაგრამ ახლა რომ ვაკვირდები, მუცლიდან თქრიალით მომდის სისხლი, გამომაჭამა? სინათლის ბურთმა მკვეთრად გაანათა, გვირაბის ბოლო დავინახე, ეს ველოსიპედიანი... ჰო, ალბათ ისაა, პავლემ ვისზეც მითხრა, ეს მეძახოდა, მოგდევენ, გამოიქეციო? ამასაც მო, მო, მო ჰქვია? მო. მოახტი დროზე ველოსიპედს გავიქცეთო. მოვახტი და გავიქეცით. გვირაბი „ჯვარისყანა" გავიარეთ და თავქვე დავეშვით. მგონი დავუსხლტით! არა, მაინც ვინ არის ეს მაძებარი და რა უნდა ჩემგან? ან მე ვინ ვარ? მომ იმ მდინარესთან, სასაფლაოსთან სინათლის ბურთი რომ ჩამივარდა, გააჩერა ველოსიპედი, ეს ერთადერთი მდინარეა ამ სოფელში, რომელიც ზამთარში არ იყინება, სისხლი მოიბანე, დაგელოდებიო, მითხრა. დავიხარე, იქვე ჩემს ფეხებთან სინათლის ბურთი ბჟუტავდა, საგრძნობლად დაპატარავებულიყო, ავიღე, მუცელთან მივიტანე, სისხლი თითქმის აღარ მომდის, მაგრამ, ღმერთო ჩემო, ჭიპი აღარ მაქვს! ბანგამ (თუ ბოლივარმა) ჭიპი გამომაჭამა. მოს გაეცინა: რა კბილები აქვს ასეთი, ეს ხომ ტექნიკურად შეუძლებელია? იკითხა. ვუყურებ. მერე ისევ მუცელზე დავიხედე და მობანვა გავაგრძელე, შედედებული სისხლისაგან ჭრილობა თითქმის მთლიანად გავისუფთავე. შემდეგ მომ დაგლეჯილი ჯემპრი შემომახია. შემობრუნდიო, მთხოვა. შემოვბრუნდი. ზურგზე გველის კვალი გატყვიაო. მივხვდი, ეს პავლეს კვერთხის მოხაზულობა მქონნდა ზურგზე აღბეჭდილი... შემდეგ, ხელჩანთიდან რაღაც თხელი ნაჭერი ამოაძვრინა, ჭიპზე ლეიკოპლასტივით გადამაკრა და მითხრა, ამიერიდან შენ ხარ იორდანეში განბანილი უკანასკნელი ადამი, რომელსაც ჭიპი აღარ აქვს! აი, მოვდივარ მე, უხილავი ადამიანი... - გავიფიქრე. ჩანთიდან ჯემპრი ამოიღო, თავზე გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამაცვა, ჯემპრს სქლადდაწნული ბევრჯერდახვეული თოკი ამოაყოლა და მითხრა, იქნებ სჯობდა ორივეს წელზე შემოგვერტყა ამ გრძელი თოკის ბოლოები და ასე გადაბმულებს გვევლო? რა უნდა მეთქვა, მუცელი წინ გაებზიკე, მომ თოკის ერთი ბოლო შემომახვია, მყარად შეკრა, მეორე ბოლო თავად შემოირტყა და რამდენჯერმე გადანასკვა, მითხრა, ახლა კი ყოველთვის ერთად ვიქნებით და ვიხეტიალებთ, სანამ სახლს მივაგნებთო, ეს არ მომეწონა, მაგრამ რაღა უნდა მექნა, თოკით ვყავდი მიბმული, როგორც ბავშვია ჭიპლარით დედაზე... დიდი-დიდი 20 მეტრით გავქცეულიყავი, თავისუფლების ილუზია შორს ვერ წამიყვანდა, თოკის განყვეტის შეუძლებლობის ძალა დამაგდებდა და ჭიპიც უარესად მეტკინებოდა. დავმორჩილდი, ველოსიპედის უკანა სკამზე დავჯექი, მო წინ მოთავსდა, ხელები მუცელზე მჭიდროდ შემოვხვიე და სანამ დავიძვრებოდით, ერთ ხელისგულში სიცარიელე ვიგრძენი, ალბათ ბოლოვარს (თუ ბანგას), როდესაც ხელი ამოვგლიჯე ხახიდან, ჯვარი მუცელში ჩავუტოვე, ამიტომ ვგრძნობ ხელისგულზე სიცარიელეს... იმან იკითხოს თორემ, მე კი გავთავისუფლდი. დავიძარით. წერა განვაგრძე (წერა მაშინაც შესაძლებელია, როცა ხელები დაკავებული გაქვს!). ეს ფრაზაც ჩავიწერე და ვაგრძელებ: ახლა, როცა ზურგზე მივეკარი მოს, სხეულზე ნაცნობი სუნი ასდის, მოლივით ხავერდოვანია მისი ტანსაცმელი, თავი ზურგზე მაქვს მიდებული და ოდნავ დახრილი, ხელები მის მუცელზე მილაგია და სავსე მთვარის მოყვანილობის სიმეტრიულ, მკვრივ დუნდულებზე ვაკვირდები, ველოსიპედის სკამი მთლიანად შთაუნთქავს... პროპორციებმა ამაღელვა. ეს ველოსიპედიც რაღაც ზღაპრულად მისრიალებს თოვლის გლუვ ზედაპირზე, სად ისწავლა ასე ტარება, კენჭებითა და ქვებით სავსე სოფლის შარაზე, თოვლში, გამოგონილი სამყაროს ტოტალურ ილუზიაში მივცურავთ, ვეშვებით ნაზად, ლბილად, თოვლის ხრაშუნის ხმა სიმძაფრეს მატებს თოკებით გადაბმული სხეულების ერთიანობას. თოვლზე გავლებული ზოლი, ბედისწერის შუაგულში გავლებულ ხაზს ემსგავსება, რომელსაც საშლელით შლიან. ეს სპონტანური ხაზებია, მთავარია ერთხელ გაივლოს... საშლელი, რაღაცის წაშლისას, თავის თავსაც შლის. აღარაფერი მტკივა. ტკივილი სადღაც გაუჩინარდა, აღარ არის. ჭიპი, ძლიერი ეროგენული ზონა, გამქრალია, ცენტრი წაშლილია. მითოსურია ეს სიახლოვე, - ზამთრის სუსხითა და ღამის წყვდიადით გამთბარი (აკი, მოგორავს კიდეც ჩვენთან ერთად სინათლის ბურთიც, ოდნავღა ბჟუტავს. მომ რამდენჯერმე დაუდევრად ველოსიპედით გადაუარა კიდეც). ირგვლივ ყველაფერი თეთრია. და აი, ვიგრძენი ის, რაც, ასე მგონია, რომ არასდროს მქონია ცხოვრებაში. უცნაურია. ცალი ხელი მოს მუცლიდან ავაცალე, მოვისინჯე, კი, მართალია, გამაგრებულია. მოს კვლავ შემოვხვიე ხელი. ერექცია. სიცოცხლის იმპულსი. მოლივით ხავერდოვან სხეულზე სუნი ასდის. რისი სუნია? მეხსიერების ფარგლებს გარეთ გამიყვანა. აქამდე მეხსიერება დაკარგული მქონდა, ახლა მის მიღმა ვარ გასული. ყველაფერს აწმყოში ვხედავ. ახლა წერტილშია თავმოყრილი ის, რაც იყო, რაც არის და რაც იქნება. მივხვდი! უდაბნოსფერი, მშრალი რიცხვების სუნი ასდის მოს მოლივით ხავერდოვან ტანისამოსს. უფრო სწორად, ციფრების კი არა, ერთი ტელეფონის ნომრის სუნი, რომელიც არის ქ მ ე დ ე ბ ა და მ ე ხ ს ი ე რ ე ბ ა: გათხოვდა. უკვე ისედაც აღარ მიყვარდა და მაინც ვურეკავდი. ქმარმა მიპასუხა, მღანძღა და მაგინა, გაანებე ჩემს ცოლს თავიო. ვეუბნები: განებებული მაქვს, რა ხანია აღარ მიყვარს, ის კი არა, ხეირიანად აღარც მახსოვს, უბრალოდ ტელეფონის ნომერს ვერ ვივიწყებ-მეთქი. ეგ როგორო? როგორ და ეს ნომერი ყველა ფურცლიდან და ტელეფონიდანაც ამოვშალე, ამოშლისთანავე ვინმეს რომ ეკითხა, რა ნომერი ამოშალეო, ვერ ვუპასუხებდი, მაგრამ მერე სიზმარში ვნახე ეგ ნომერი, იმის შემდეგ ვცდილობ გონებიდან წაშლას, მაგრამ არაფერი გამოდის-მეთქი. ციფრები როგორ ნახე სიზმარშიო? ციფრები არ მინახავს, რაღაცნაირად მთლიანი ნომერი ვნახე და გაღვიძებისას რიცხვებიც მშვენივრად მახსოვდა-მეთქი. მოიცა, დავუშვათ ნომერი გახსოვს, ეგ იმას ხომ არ ნიშნავს, რომ უნდა დაურეკოო?! ეჰ, ვერ გამიგე-მეთქი, ნომერი თუ გახსოვს, აუცილებლად დარეკავ! ექიმთან ვაპირებ მისვლას, იქნებ არსებობდეს დავიწყების რაიმე საშუალება? - ქმარი ჰუმანური ადამიანი აღმოჩნდა, - კარგი, ექიმებში სიარულს და ფულის ყრას, ვეტყვი ჩემს ცოლს და ნომერს გამოვცვლითო, ოღონდ იცოდე, მერეც თუ დაურეკავ, ასე და ასეო! გმადლობ-მეთქი. - თან გამეცინა, მერე როგორღა უნდა დამერეკა. ასე ერთ კვირაში ისევ გადავრეკე, იმავე ნომერზე. ისევ ქმარმა აიღო: ძმურადო, მეუბნება, მიდი ექიმთან, ჩემმა ცოლმა მითხრა, მაგ ნომრის გარეშე ცხოვრება არ შემიძლია, თავს მოვიკლავო!.. იმკურნალე და სანამ განიკურნები, დაახლოებით ორი თვე გაძლევ ამ ნომერზე დარეკვის უფლებას, ოღონდ ზედმეტი არაფერი უთხრა, თორემ ასე და ასეო! კარგი, გმადლობ-მეთქი. ის იყო და ის, მე იქ აღარ დამირეკავს, ნომერიც დამავიწყდა ისე, რომ ექიმთან მისვლა აღარც დამჭირვებია. ის კი არა, ქმარმა აქეთ გადმომირეკა, რატომ დაგვივიწყეო? შემეშვი-მეთქი! რა ხდებაო? რა და წინა ლაპარაკის დროს, ორი თვე დარეკვის ნება რომ დამრთე, გულისრევის შეგრძნება დამეუფლა, სასწრაფოდ სახლში გავიქეცი, შხაპი უნდა მიმეღო, ჰოდა, აბაზანაში ბანაობისას უნებლიე ერექცია დამემართა, შენი ცოლი ტელეფონის ნომერთან ერთად თესლს გამოვაყოლე და წყალმა წაიღო, შეუმჩნევლად კი გაუჩინარდა ტრაპში-მეთქი... ეს ვთქვი და: მაგას ვის ეუბნები, შენი დე... და გავუთიშე, ტელეფონი იქვე, მდინარეში გადავაგდე, მორჩა და გათავდა, ერთხელ და სამუდამოდ გავთავისუფლდი. განვიკურნე. ფსიქოლოგებო, რას ნიშნავს ეს ყველაფერი? რა კავშირშია ქმედება და მეხსიერება? ახლაც როგორი სიამოვნება განვიცადე, რომ იცოდეთ, დროისა და სივრცის მიღმური. აგერ თესლმა გამოჟონა ჯიბიდან, შარვალზე ლაქას ვხედავ და კრახმალის სუნიც მეცა, სუნი, რომელიც მოს, მოლივით მწვანე და ხავერდოვანი სხეულის სუნს შეერწყა. ნეტა თუ მიხვდა რა დამემართა? ცოტა კი შეიშმუშნა. არამგონია. გულუბ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზაზა კვერცხიშვილი

# გიორგი შატბერაშვილის "ზაფხულის ღამის ქრონიკა"



გიორგი შატბერაშვილს უცნაური მწერლური ბედი ხვდა წილად. საერთო აღიარებით, ის არის XX საუკუნის ერთ-ერთი საუკეთესო ქართველი პროზაიკოსი, მაგრამ ეს აღიარება მთლიანად ერთადერთ მოთხრობას, "მკვდრის მზეს", ეფუძნება და სხვა ნაწარმოებები, შეიძლება ითქვას, არაფერს არც აკლებენ, არც მატებენ მას, თითქოს საერთოდ არც არსებობდნენ.

გ. შატბერაშვილს თვით ყველაზე გულმხურვალე თაყვანისმცემლებიც კი არ თვლიან არათუ დიდ, არამედ თუნდაც კარგ პოეტად, უფრო "საშუალო პოეტის" რანგს იმეტებენ ხოლმე მისთვის (და ყველამ იცის, არ არსებობს პოეზიასთან მიმართებაში "საშუალოზე" ულიმღამო, უინტერესო შეფასება). მაგრამ თვით მისი პოეტური ნიჭისადმი სრულიად გულგრილი მკითხველებიც კი აღიარებენ, რომ "ზაფხულის ღამის ქრონიკა" სულ სხვაა: იგი წინა საუკუნის 60-იანი წლების ერთ-ერთი გამორჩეული ლიტერატურული ფაქტია. მიუხედავად ამისა, "ქრონიკა" თითქმის არანაირ ზეგავლენას არ ახდენს მისი ავტორის პოეტურ რეპუტაციაზე.

გ. შატბერაშვილს, მგონი, არავის მიიჩნევს ენათმეცნიერად, მაგრამ მისი "თვალადური ქართულის ჭაშნიკს" უყოყმანოდ ასახელებენ, ყველაზე მნიშვნელოვან თუ არა, ყოველ შემთხვევაში, ყველაზე მიმზიდველ, ყველაზე საინტერესო ლექსიკოლოგიურ ნაშრომად.

ამგვარად, მწერალმა სხვადასხვა ჟანრსა თუ დარგში თითო უკვე კლასიკად ქცეული ნაწარმოები შექმნა და ყველაფერი ეს სიცოცხლის მიწურულს გააკეთა. ვნახოთ თარიღები: "მკვდრის მზე" - 1959 წ., "ზაფხულის ღამის ქრონიკა" -1962 წ., "თვალადური ქართულის ჭაშნიკი" - 1963 წ. გიორგი შატბერაშვილი გარდაიცვალა 1965 წელს 55 წლის ასაკში.

* * *

"ზაფხულის ღამის ქრონიკა"... კიდევ ერთხელ ვკითხულობ ამ უცნაურ ნაწარმოებს და ვიცნობიერებ, რატომ ვერ ალაზევა მან ავტორი, თუნდაც, "კარგი პოეტის" რანგამდე. საქმე ის არის, რომ ამ კარგ პოემაში არ არის კარგი... "პოეზია", ანუ მასში არ არის ყველაფერი ის, რაც პოეზიის არა უბრალოდ სამკაულად, არამედ ლამის თვისებად თუ შემადგენელ ნაწილად ითვლება: ვირტუოზული ოსტატობა

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოვლენილი რითმების თიზვისა და რიტმის სფეროში, ან ბგერწერის მელოდიურობაში, თვალისმომჭრელი ფერადოვნების ან უჩვეულობის გამო დასამახსოვრებელი მეტაფორები, შედარებები, ეპითეტები და ა. შ. - მოკლედ, ყველაფერი ის, რაც ლექსის სიტყვას ყოფითი მეტყველებისგან განასხვავებს.

"ზაფხულის ღამის ქრონიკა" მსგავსი არაფრით გამოირჩევა. მასში არ არის სტრიქონები, რომლებიც თავს დაგახსომებდა. მეტიც, ვფიქრობ, შედარებით სუსტია სწორედ ის ადგილები, სადაც "პოეტური ხედვის" ელემენტები რამდენადმე მაინც შესამჩნევია.

არადა, საუკეთესო ქართველი პოეტებისათვის დამახასიათებელი არის სწორედ ტექნიკური ოსტატობა, სპეკალივით მოელვარე პოეტური სამშვენისები. მართალია, შეიძლება დავასახელოთ გამონაკლისებიც - მნიშვნელოვანი პოეტები, რომლებიც პოეტური ტექნიკისა და ორნამენტების ვირტუოზულობით არ გვაოცებენ, - მაგრამ ამ შემთხვევაში პოეტური უჩვეულობა (ზეაწეულობა, აზრობრივ-ემოციური სიღრმე...) სალექსო გამოთქმის სხვა თავისებურებებით მიიღწევა. ყოველ შემთხვევაში, არ მაგონდება პოეტი, რომლის სტრიქონები თავს არ გახსომებდეს, ანუ მათში არ მჟღავნდებოდეს ენერგია, რაღაცის წყალობით დაგახსომონ თავი.

აი, "ზაფხულის ღამის ქრონიკაში" კი, როგორც ვთქვი, დასახსომებელ, ანუ წმინდა პოეტური ღირსებებით გამორჩეულ სტრიქონებს თითქმის ვერ წააწყდები. "ნოვატორული ხედვის პრეტენზიით" აქაიქ გაჩენილი ზოგი უჩვეულო მხატვრული სახე კი (ვთქვათ: *"დასავლეთის მეწამულ ფერებს / შურით გასცქერის აღმოსავლეთი შემოღამების შავ სათვალეში"* - შატბერაშვილი 1970: 262) ყურადღებას მხოლოდ მცირე ხნით იპყრობსა და ორგანული არც ავტორისთვის არის და არც პოემის სამყაროსთვის.

"ქრონიკის" ლექსის ტექნიკური მხარე იმის მიუხედავადაც კი არ აღძრავს ინტერესს, რომ ავტორმა თვით ნაწარმოების ტექსტშივე საგანგებოდ გაამახვილა ყურადღება მის ფორმაზე (*"გზადაგზა ხშირად ვლალატობ რითმას, / ვწერ ისე, როგორც ფიქრი მკარნახობს..."*, ან: *"ნუ მკითხავთ, რატომ გავუწყვეტ რითმას, / დავთმე დროებით თუ სამუდამოდ..."* იქვე, 266), რაც არ არის მაინცდამაინც ხშირი შემთხვევა ქართულ პოეზიაში. მიუხედავად ამისა, სად რითმიანია ლექსი და სად ურითმო, არც ამის შედეგად იქცევს მკითხველის ყურადღებას. ლექსი, საბოლოო ჯამში, ისეთია, როგორისაც სათქმელი მოითხოვს: შეუმჩნეველი როგორც რითმიანი, ისე ურითმო სახით და, რაც უცნაურია, - ერთიდან მეორეზე გადასვლის დროსაც.

ამგვარად, გასაკვირი არ უნდა იყოს, რომ ესოდენ "არაპოეტურმა" ნაწარმოებმა ავტორის პოეტურ რეპუტაციას თითქმის ვერაფერი შემატა.

"ზაფხულის ღამის ქრონიკას" სხვა ღირსება აქვს - ეს არის უაღრესად გულწრფელი ნაწარმოები, და შეიძლება მხოლოდ ვიმარჩიელოთ: სხვა პოეტურ ტრადიციაში, სადაც პოეტური ვირტუოზობის თანაბარი ფასი ექნებოდა გამოთქმის სიზუსტესა და სისადავეს, მოუხვეჭდა თუ არა იგი ავტორს დიდი პოეტის სახელს.

ვინ უწყის?!

* * *

რა ჟანრის პოემაა "ზაფხულის ღამის ქრონიკა"? ეს დასაწყისშივე ნათელი ხდება უკვე მიძღვნიდან - "*პატარა თამარ ჟღენტის ხსოვნას*" - და პირველივე მონაკვეთიდან, რომლის შინაარსობრივსა და ემოციურ საფუძველს ქმნის სიტყვები "ცრემლი" და "ძეგლი": *"შენ ჩემო ცრემლო, უკვდავეთა საფლავს / დასადინარო და დიდო ცრემლო, / იმვილე, შერთე შენს მღვრიე ტალღებს, / ეს ერთი ცრემლიც, ანკარა ცრემლი, / მცირე, უცნობი და უსახელო. / შენ ჩემო ლექსო, / ქვეყნად სიცოცხლე - / დიდხანს სიცოცხლე თუ გინერია, / ააგე ძეგლი ანკარა ცრემლის, / დაუნგრეველი, ამტანი ჟამის, / მცირე, უცნობი და უსახელო... / შენ, დიდო ძეგლო, უკვდავეთა ძეგლო, / შენ დაიფარე პატარა ძეგლი, / მცირე, უცნობი და უსახელო, / ერთი უცნობი გოგონას ძეგლი!"* (შატბერაშვილი 1970: 261).

მუსიკაში ამ ჟანრს რექვიემი შეესატყვისება, ქართულ ფოლკლორში - "ხმით ნატირალი", სკულპტურასა და არქიტექტურაში - საფლავის ძეგლი.

პოემის წაკითხვისას ცხადი ხდება: ეს არის "მოთქმით ტირილი" პოეტისთვის შორიდან ნაცნობი პატარა გოგონას - თამარ ჟღენტის - გარდაცვალების გამო, რომელშიც ჩართულია სამი ხმით ნატირალი - ჰემინგუეის, გალაკტიონისა და გურამ რჩეულიშვილის დაღუპვაზე, - აგრეთვე რამდენიმე ლირიკული გადახვევა. (თუკი ანალოგიას მივმართავთ, ეს იქნება, ალბათ უფრო, სასაფლაოზე აგებული მცირე სამლოცველო, რომელშიც არქიტექტორ-სკულპტორმა, გოგონას ძეგლთან ერთად, მისთვის საყვარელი სამი ახალგარდაცვლილი ხელოვანის ბარელიეფებიც გამოაქანდაკა).

სასაფლაოს, "მოთქმით დატირებასა" და საფლავის ძეგლებს მწერალი სხვაგანაც რამდენჯერმე შეეხო სწორედ პოემის შექმნის ახლო პერიოდში (იქნებ, მოახლოებული სიკვდილის გაუცნობიერებელი წინათგრძნობის გამოც): "მკვდრის მზის" კომპოზიციურ ხერხემალს ქმნის მოხუცი კაცის ცხოვრების ბოლო დღე - "დიდი, წუთისოფელივით გრძელი და ცხელი დღე", - როცა იგი სასაფლაოსკენ მიმავალი უხერხული ბილიკის გზად ქცევას გაასრულებს, რაშიც ჩაწნულია მთელი მისი ცხოვრების ამბავი (ამდენად, სასაფლაოსკენ გზის გაკვალვა ადამიანური ცხოვრების ერთგვარ სიმბოლოდაც არის მოაზრებული); ერთ მოთქმით ნატირალს მან მცირე სტატია მიუძღვნა, ხოლო საფლავის ქვებს - რამდენიმე შესანიშნავი პასაჟი პოემის ერთ-ერთი "პერსონაჟის" - გურამ რჩეულიშვილისადმი მიძღვნილ წერილში: *"მშობლიური კლდიდან მოკვეთილი უბრალო ლოდი სოფლის სასაფლაოზე ყველას ერთნაირად ადევს გულზე: გუთნის დედას თუ ღამის მეხრეს, მხედარსა თუ მეტივეს, კალატოზსა თუ დურგალს... მხედრის საფლავის ქვაზე ცხენზე მჯდარი ჩოხა-ახალუხიანი კაცია ამოკვეთილი, თავის ერთგული ხმლითა და ქამარ-ხანჯლით, გუთნისდედისა და გუთნისმთლელის ქვას სახნის-საკვეთი და ხელნები ამშვენებს, მეტივეს მკერდზე ორთაყვირები ასვენია, კალატოზს ქაფჩა უჭირავს და თითქოს ამბობს: შენდობა მიბრძანეთ, ისეთი ქაფჩა მქონდა, მარჯვენას მერჩივნაო. ან კიდევ: შენდობა მიბძანეთ, ისეთი ქაფჩა მქონდა, მარჯვენა ხელი მარცხენას არ მისცემდაო"* (შატბე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაშვილი 1975: 129).

აქვე არის რამდენიმე სიტყვა ბავშვთა საფლავების გამოც: ძველი ქართული სოფლის სასაფლაოზე, სადაც *"სიკვდილის გარდუვალ ძალას ყველა და ყველაფერი გაუსწორებია, თითქოს ერთი ადლით დაუზომავს და ერთი საჭრეთლით გამოუკვეთია ყველა საფლავის ქვა აქა-იქ მცირე ზომის ქვებიც მოჩანს, მაგრამ ეს ხომ უასაკოთა საფლავის ქვებია. ეს ოდითგანვე დადგენილ ზომიერებას არ არღვევს, პირიქით, აქაც ჭირისუფალთა თუ კეთილ ქვისმთლელთა სათნოება გამოსჭვივის: მცირეწლოვანთ დიდი ლოდი არ ემძიმოთო"* (იქვე, 128). [გავიხსენოთ: "ანკარა ცრემლის ძეგლი", რომელსაც პოემით ქმნის ავტორი, უნდა იყოს არა მხოლოდ "უცნობი და უსახელო", - რაც გასაგებია, გოგონას სახელი მომავალი მკითხველებიდან ცოტა ვინმეს თუ ექნებოდა გაგონილი, ჰემინგუეის, გალაკტიონისა და გურამ რჩეულიშვილის ჩვენში ყველასთვის ცნობილ სახელებთან შედარებით, რომლებსაც პოემა აგრეთვე უდგამს "დიდ ძეგლს", - გოგონას ძეგლი, ამასთან ერთად, "მცირეც" უნდა იყოს, იქნებ იმ მიზეზითაც, რომ "მცირეწლოვანს დიდი ლოდი არ ემძიმოს"... ყოველ შემთხვევაში, სტატია და პოემა გ. შატბერაშვილმა შემოქმედების ერთსა და იმავე ეტაპზე შექმნა.]

ერთი შეხედვით, უკვე პოემის ჟანრი და თემა ალვიძებს რომელიმე კონკრეტულ ეპოქასთან ნაკლებად დაკავშირებულ, დრო-სივრცის მიღმა მიმართულ განწყობილებასა და აზრებს. გავიხსენოთ, რა ფიქრებს აღუძრავდა მწერალს, ზემოთ ციტირებული სტატიის მიხედვით გურამ რჩეულიშვილის საფლავი: *"ამ მცირე ქვაზე ამოკვეთილი მზე, მთვარე და ვარსკვლავები განუსაზღვრელი სივრცის შთაბეჭდილებას ჰქმნის. აქ დღე და ღამე ერთია. არის მხოლოდ დრო და სივრცე, უკიდეგანო დროსა და სივრცეს შეჭიდებული ჭაბუკი. სურათი ვიწრო ჩარჩოებიდან გამოდის და მარადი დღე-ღამის სახედ იქცევა..."* (შატბერაშვილი 1975: 131).

მეორე მხრივ, მართალია, თითოეული ადამიანის სიკვდილი თავისი მეტაფიზიკური არსით დროისა და სივრცის გარეთ გასვლას, მარადიულ დღე-ღამეში შებიჯებას წარმოადგენს, მაგრამ როგორც ემპირიული მოვლენა, იგი სწორედ დროსთან არის უმჭიდროესად დაკავშირებული, ყოველთვის ზუსტად არის დათარიღებული.

პოემაც ზუსტი თარიღის აღნიშვნით იწყება: *"დგას ათას ცხრაას სამოცდაერთის / ცხელი ზაფხულის ჩუმი საღამო..."* (შატბერაშვილი 1970: 261); ხოლო ცოტა ქვემოთ, რაღაც მანძილის გავლის შემდეგ, ნათქვამია: *"სადღაც ქალაქის დიდ სამრეკლოზე / უკვე მეთორმეტე რეკავს საათი..."* (იქვე, 263). ამგვარად, ტექსტშივეა აღნიშნული: ეს არის ფიქრი და წუხილი 1961 წლის ზაფხულის ხვატიან ღამით.

და მიუხედავად იმისა, რომ პოემაში არსად არის წამოწეული წინა პლანზე ეპოქის აქტუალური ნიშნები: არ არის ნახსენები პოლიტიკური, სოციალური, კულტურული და ა. შ. მოვლენები (გარდა ერთადერთი პოლიტიკური გამონაკლისისა, რასაც ქვემოთ აღვნიშნავ), ყველაფერი მაინც სწორედ იმ ეპოქისთვის დამახასიათებელი სულისკვეთებით და საფიქრალით არის სავსე: ჰემინგუეის, გალაკტიონის, გურამ რჩეულიშვილის დაღუპვა ახალი ამბავივით, რასაც გააზრება, გამოგლოვება, შეგუება სჭირდება. ახალწაკითხულია ჯ. სტაინბეკის "მარგალიტი", შთაბეჭდილების ძალა ჯერ არ განელებულა: ზღვა *"კეთილია... მან ხომ მებადურს, / ღარიბ მებადურს მარგალიტი დიდი აჩუქა"* (იქვე, 280). კულტურულმა ოფიციოზმა ოდნავ მოუშვა ლიტერატურას სავალდებულო ოპტიმიზმის მარწუხები და ჩნდება ასეთი მიმართვა კრიტიკოსისადმი: *"ვიცი, სიკვდილი გამინებს ძლიერ, / ტაბუ დაადე სიკვდილის თემას, / სიძულვილს, მტრობას მეგობრის ღალატს, / ძლიერ სიყვარულს, ტვინის ანთებას..."* (იქვე, 265).

დროისეულია თვით ფორმაც შემოქმედებითი თავისუფლების, მათ შორის ფორმისმიერი თავისუფლებისკენ ლტოლვისა, რომელსაც აქ პიროვნული, უფრო მეტიც, სომატური (ორგანიზმის, სხეულის) თავისუფლების განცდის სახე აქვს მიღებული: *"და ისე, როგორც ცხელი აგვისტოს, / დიდი შუადღის მძვინვარე მზეში, / ვაჟკაცის მკერდი ველარ ისვენებს, / ბორგავს, პერანგში ველარ ეტევა, / ნატრობს სიგრილეს და გაშიშვლებას - / ლექსსაც მოსწყურდა თავისუფლება, / სიშიშვლე ძვლების, სიშიშვლე ხორცის, / ბორკილს ლეწავენ ლექსის მკლავები, / ხარბად სუნთქავენ ლექსის ფილტვები..."* (იქვე, 266-267).

და კიდევ, პოემა გაჟღენთილია ზაფხულის ხვატიანი, შფოთვითა და სიჩუმით სავსე ღამის განცდით, როცა ადამიანები, - ახლობლები და მტრები, შენს გვერდით მყოფნი და წარსულში დარჩენილები, - ერთდროულად ისე ახლოს და ისე შორს არიან, როგორც არასდროს: *"რეკავს საათი და ყველას სძინავს, / სძინავს შენს მტერსაც და მეგობარსაც, / სძინავთ სიზმრებში საყვარელ ბავშვებს, / ერთგულ მეუღლეს და ორგულ ქალებს, / დავიწყებულებს, დაუვიწყართაც, / ვინც მოსვენებას არ გაძლევს დღესაც, / ვინც დაივიწყე და აღარ გახსოვს, / ვინც დაივიწყე და მაინც გახსოვს..."* (იქვე, 263).

* * *

*"სიჩუმე არის ფიქრების დედა, / მოვა თუ არაილვიძებს ფიქრიც. / სამალავიდან გამოდის ფრთხილად / და ჩემს გარშემო სიარულს იწყებს"* (შატბერაშვილი 1970: 262).

რა ფიქრი ავსებს ჩუმ და ხვატიან ღამეში *"პოეტის ოთახს, / მძიმე ფიქრებით ავსებულ ოთახს, / მტვრიან წიგნებით სავსე მაგიდას, / ვნებით, ოცნებით გადამწვარ ჰაერს, / თამბაქოს კვამლით გაბოლილ ჰაერს"* (იქვე, 274)? ეს არის ფიქრი მარადი დღე-ღამის ზღურბლთან დგომაზე და მისი გადაკვეთის მოლოდინში მოზღვავებულ სათქმელზე: *"დადგება ჟამი, მე ვიტყვი ჩემი / მზის ამოსვლის და ჩასვლის სიმღერას, / ვიტყვი ერთბაშად, სულმოუთქმელად, / ჩემი შუადღის ყველა სიმღერას, / მაგრამ ეს შემდეგ... ჯერ არ დამდგარა / ჟამი ანდერძის და ალსარებისა"* (იქვე, 264).

ეს ჟამი ჯერ არ დამდგარა, რადგან მანამდე ერთი ტკივილიანი ვალია გადასახდელი: საჭიროა დაღუპული ბავშვის დატირება, გამოთხოვება საოცრებასთან, რომლის დანახვის ბედნიერება ბედმა სწორედ შენ გიწყალობა: *"ბევრი ვიფიქრე და დიდხანს ვწერდი, / გულისტკივილით და სევდით ვწერდი /*

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთი პატარა გოგონას ამბავს. / დიახ, მე ვწერდი, ვწერდი და ვხევდი, / გულისტკივილით და ბოლმით ვხევდი, / რადგან ჩემს ნაწერს, ფიქრებს და სიტყვას / არ ჰქონდა მადლი, არ ჰქონდა ეშხი, / არ ჰქონდა ძალა იმ მწარე წამლის - / სპეტაკ ქაღალდში გახვეულ წამლის, / რომელსაც უნდა ეხსნა გოგონა..." (იქვე, 264).

ახლოვდება პოემის მონაკვეთი, რომელშიც დაღუპულ გოგონასთან ერთადერთი უსიტყვო "გასაუბრების" ამბავია მოთხრობილი: "ეს ჩემი ლექსის ალსასრულია", წერს ავტორი ამ მონაკვეთის დაწყების წინ. ეს მართლაც მისი ლექსის და, საერთოდ, ყოველგვარი ლექსის, როგორც ფორმისმიერი ინტერესის აღმძვრელი მოცემულობის დასასრული და რაღაც უფრო ფასეულის, უფრო ნაღდის დასაწყისია: მთელი მონაკვეთი ისეთი ძალის ნუხილითა და ტკივილით არის დამუხტული, რომ ყოველგვარ ინტერესს კარგავ, როგორი ლექსია ეს, ან, საერთოდ, არის თუ არა ლექსი.

ვიდრე გოგოსთან უაღრესად ჩვეულებრივი, ყოფითი, და მაინც გასაოცარი, ლამის სიზმარეული ზმანების ზღვარზე მდგარი შეხვედრის ამბავს მოგვიყვებოდეს, ავტორი ინყებს სხვა, უფრო გვიანდელი, ასევე ერთდროულად ჩვეულებრივი და სიზმარეული ხილვის გახსენებით: მისთვის სრულიად უცნობი ქალის, იმ გოგოს დედის, უკვე შვილმკვდარი დედის მზერის გახსენებით, მის სარკმელს რომ მიშტერებოდა: "...და მოდიოდნენ / ჩემი ფანჯრისკენ მისი თვალები. / ჰო, ასე ჩანდა... მხოლოდ თვალები, / ბოკვერდაკარგულ ვეფხვის თვალები, / დიდრონი, მწყრალი, შეუბრალები / ახლოვდებოდნენ ვეფხის თვალები" (იქვე, 268). და ამ თვალებს ხედავს მერეც, როცა მათ მზერას ოთახის სიღრმეში დაემალება: "...ბნელი ქუჩიდან / ვიღაც უმზერდა ჩემ ფანჯრის რაფას. / ვინ იცის, იქნებ არც კი უმზერდა... / და ვთქვი, გუმანმა მიმტყუნა ალბათ. / მან რა იცოდა, თუ ვინმე წერდა / მისი პატარა გოგონას ამბავს! / მან რა იცოდა, თუ მაღალ სახლის / ფართოდ გაღებულ ფანჯრების მიღმა / იჯდა უცნობი მაღალი კაცი / და ყოველ ღამე შეუსვენებლად, / სულმოუთქმელად წერდა და წერდა / ადრე დაღუპულ გოგონას ამბავს. / მან არ იცოდა... მაგრამ მე ვგრძნობდი, / ის იდგა ქვემოთ, ის იდგა ჩუმად, / ის იდგა ბნელი სიჩუმის გვერდით / და სევდიანი მწყრალი თვალებით / მისჩერებოდა მაღალ ფანჯარას..." (იქვე, 268).

მონაკვეთის ამ დაძაბულ დასაწყისს მოსდევს მშვიდი და იდილიური სურათი ვარდისუბნისა: "ამ უბანს ერქვა ვარდისუბანი, / ახლაც განთქმული არის ვარდებით, / წითელ ვარდებით, თეთრი ვარდებით, / ლურჯი და თეთრი იასამნით..." (იქვე, 268). იასამნის რტო მალე გამოჩნდება მონაკვეთის (და იქნებ მთელი პოემის) ემოციურ კულმინაციაში, მანამდე კი "თბილისში ყველაზე ადრე / ამ ძველი უბნის ყოველ შენობას, / ულოცავს გუნდი პირველ მერცხალთა / იათფენობას და ვარდფენობას" (იქვე, 269).

შემდეგ გადმოცემულია განწყობა, რომლითაც დადიოდა პოეტი ამ მშვიდ უბანში, მერცხლებითა და ბულბულებით სავსე უბანში იასამნის ყვავილობის ჟამს: "არის წუთები, როდესაც გული / მოულოდნელად შეიგრძნობს ტკივილს... / მოულოდნელად წავიდებს სევდა, / აგტკივა ხორცი და გტეხავს ძვლები, / ირგვლივ ვერავის, ვერაფერს ხედავ, / გადის წუთი და გადის წლები. / და შეგძაგდება სიმღერაც, ლექსიც / რადგან ამქვეყნად არავის ესმის / შენი ძახილი..." (იქვე 269-270). აშკარაა, ეს არის სურვილი მარტოობის დაძლევისა, შენს არსებაში უმთავრესის შემგრძნობი და გამგები სულის პოვნისა, ვინც "მოვა და გეტყვის, / მე გავიგონე შენი ძახილი, / ძახილში ჩემი ტკივილი ვიგრძენ!" (იქვე, 270). (მარტოობისთვის განწირული სულის ამგვარ ღაღადისს - და რომელი სული არ არის მარტოობისთვის განწირული?! - ფრანსუა მორიაკი უწოდებდა "გვირაბში ცოცხლად დამარხული მემაღაროის ხმას") ანუ ეს არის ნყურვილი საოცრებისა, სასწაულისა. მართალია, პოემის მიხედვით ამ საოცრებასა თუ ბედნიერებას შეიძლება სრულიად უბრალო, ყოფითი ფორმაც ჰქონდეს: "როდესაც ვიღაც უცნობი კაცი / მოგესალმება ავსებულ ჭიქით, / გაგიღიმებს და უსიტყვოდ დაცლის" (იქვე, 270), მაგრამ შეიძლება კი, ასეთ განწყობას, ამგვარ წყურვილს შეესატყვისებოდეს და ბოლომდე აკმაყოფილებდეს პატივისცემის, თანადგომის, სიყვარულის გამოხატვის ნებისმიერი ფორმა, რომელიც ყოფითი ჩვეულებრიობის საზღვრებში რჩება!? თუ აქ მაინც აუცილებელია საოცრება (სასწაული, რომელიც, როგორც საღი აზრი გვკარნახობს, არ შეიძლება მოხდეს, და რომელიც, მთელი მისი შეუძლებლობის მიუხედავად, ხანდახან ხდება ხოლმე)?

"ამგვარი ფიქრით, ამგვარი ნატვრით / მე დავდიოდი მაისის მზეში, / ჩემი ფეხის ხმა ისმოდა მხოლოდ / პატარა ქუჩის დიდ სიჩუმეში. / ცხელოდა, იყო შუადღის ჟამი, / მე ჩავუარე პატარა ეზოს, / ხმა შემომესმა, შევჩერდი წამით, / დაუფიქრებლად და უმიზეზოდ. / გოგებაშვილის წყნარ შესახვევში, / ცისფრად შეღებილ მესერს გაღმა - / პატარა ქუჩის დიდ სიჩუმეში / ლექსს კითხულობდა ვიღაც ხმამაღლა. / სარკმელთან იჯდა ქერა გოგონა, / ორი ნაწნავი ეფინა მკერდზე..." (იქვე, 270-271).

თითქოს არაჩვეულებრივი არაფერი ხდება. ქუჩაზე კაციშვილი არ ჭაჭანებს. გარემო მზით და სიმშვიდით არის სავსე. სარკმელთან მჯდარი პატარა გოგო ხმამაღლა კითხულობს ლექსებს. მას ხის უკან მდგომი თვალებნაღვლიანი მაღალი კაცი უმზერს. თითქოს არაფერია უჩვეულო... და მაინც, კაცმა არ იცის რა მიზეზით, უკვე გაჩნდა საოცრების განცდა და ეს განცდა თანდათან ძლიერდება.

"ის კითხულობდა და კითხულობდა, / შეისვენებდა და განაგრძობდა, / აღფრთოვანებით ის კითხულობდა / და ლექსის გარდა ვერაფერს გრძნობდა. / ის იყო სადღაც... ის იყო მარტო. / შორს იყო ქუჩა, შორს იყო სახლი, / ის ვერ ამჩნევდა იასამნის რტოს, / მის ფანჯარაში ლურჯად გადახრილს. / ის ვერ ხედავდა, ვერ გრძნობდა ვერვის, / ისე ამბობდა თავის სიმღერას / და ვერ ამჩნევდა ხეს მოფარებულ / მისი ფიქრების უცნაურ მზვერავს" (იქვე, 271).

და აი, ერთი უცნაურობა: გოგოს რომ უყურებს, პოეტი მაისის მზეში თოვლიან მიდამოს ხედავს - გოგო თოვლით დაფარულ მინდორს მიუყვება: "ის მიდიოდა და მიდიოდა / და მიაპობდა თოვლსა და ნამქერს" (იქვე, 271). მართალია, თოვლიანი მინდვრის ხილვა პოემაში მაშინვე არის მოტივირებული ლექსით, რომელსაც გოგო კითხულობს და რომელიც ყველასთვის

ეროვნული

ბავშვობიდანვე კარგად არის ცნობილი, მაგრამ აქ რომ კიდევ სხვა, აშკარად უფრო ძლიერი ფაქტორიც მოქმედებს, ეს ცხადი ხდება, როგორც კი, უშუალოდ თოვლიან მინდორზე მიმავალი გოგოს ხილვის შემდეგ, პოეტის ცნობიერებაში შემოიჭრება... სიკვდილის ხატი: "და გამახსენდა უეცრად ღმერთი, / ცეცხლი რომ უზის თვალთა მმუქრებად - / ბოროტი ღმერთი, ატომის ღმერთი, / დღედაღამ წარღვნით რომ ემუქრება / ამ მწვანე ეზოს და ცისფერ მესერს, / ამ წყნარ ქუჩაში მიმავალ მგზავრებს, / ქერა გოგონას, მის ქართულ ლექსებს, / მის ია-ვარდებს და იასამნებს" (იქვე, 272). "ატომი" აქ ის სიტყვაა რომელიც მიიღო კაცთა მოდგმის მარადიულმა ძრწოლამ სიკვდილის, არყოფნის, გაქრობის წინაშე და ეს ფორმა ეპოქასთან მჭიდროდ არის დაკავშირებული (იმავე პერიოდში გადაღებულ ინგმარ ბერგმანის "ზიარებაში" ერთი ტრაგიკული პერსონაჟის ძრწოლა არსებობის წინაშე ხმიანდება როგორც ატომური ბომბის შიში).

საიდან ჩნდება სიკვდილის, ტოტალური გაქრობის წინათგრძნობა თუ შიში იმ დროს, როდესაც ბავშვი ლექსებს კითხულობს? აშკარად არის ამ ბავშვში რაღაც ისეთი, რაც მას ყოველდღიურობასთან ისევე შეუთავსებლად, ისევე უცხოდ და სიზმარეულად აქცევს, როგორც თოვლია მაისის მზეში.

ამიტომ ლოგიკური და გასაგებია, რომ ატომის გახსენებას მოჰყვება ვედრება "გონიერების, მშვენიერების, ბედნიერების მფარველი ღმერთისადმი" (ანუ, უბრალოდ რომ ვთქვათ, უზენაესისადმი) დაიფაროს ქართული სიტყვა, ანუ, რაც ამ კონტექსტში იგივეა, გოგონა და მისი სამყარო; ე. ი. სიკვდილის ხატების გაჩენას მოსდევს ლოცვა.

სიჩუმით სავსე უკაცურ ქუჩაზე წინ და უკან მიმოდის აღელვებული მაღალი კაცი და სიტყვისუთქმელად, მაგრამ გულმხურვალედ ლოცულობს. "და *წინ და უკან ვიდოდი დიდხანს / გავარვარებულ მაისის მზეში. / ისმოდა მხოლოდ ჩემი ფეხის ხმა / პატარა ქუჩის დიდ სიჩუმეში. / არ მიმიხედავს, ვგრძნობდი იდუმალ, / ვხედავდი ფიქრის იდუმალ თვალით, / ღია ფანჯრიდან მიმზერდნენ ჩუმად / დიდი თვალები პატარა ქალის...*" (იქვე, 272).

და ამ დროს მოხდა ნაოცნებარი: პოეტი მიხვდა, რომ ცოცხლად დამარხული მემაღაროის ხმა გაიგონეს, ნამდვილი სასწაული კი ის იყო, თუ **ვინ** გაიგონა მისი ძახილი: "*უცებ გაისმა ჭიშკრის ჭრიალი / პატარა ქუჩის დიდ სიჩუმეში... / ცისფერ მესერთან იდგა გოგონა, / იასამნის რტო ეჭირა ხელში. / და მის თაფლისფერ დიდრონ თვალებში, / მის მოალერსე კეთილ თვალებში, / ამ წუთით შემკრთალ ბავშვურ თვალებში / ჯერ ისევ კრთოდა სითბო და ეშხი / სარკმელში გულით ნათქვამი ლექსის. / ის წამოვიდა ყოყმანით, ნელა, / და ჩემს წინ თავი დახარა ოდნავ, / და ღიმილით, სიტყვის უთქმელად / იასამნის რტო გამომიწოდა. / უცებ გაბრუნდა, მე დავრჩი მარტო, / შევკრთი და სიტყვა ველარ დავძარი. / მინდოდა მეთქვა, რას ნიშნავს... რატომ? / ვისი ხარ, ვინ ხარ პატარა ქალო? / ენა დამება და სახტად დავრჩი / და მადლობის თქმაც ვერ მოვასწარი*" (იქვე, 272-273).

ბევრი დამატყვევებელი სილამაზეა დახატული ქართულ პოეზიაში, მრავალი მშვენიერი სახე... ეს პატარა გოგო ზანტებიანი ნაწნავებით ერთ-ერთი უმშვენიერესია: "*თუმც მისი სახის კარგად დანახვა - / დამახსოვრება ვერ მოვასწარი, / გულში მაინც შემრჩა და მახსოვს ახლაც / მქრქალად გაკრული წარბების ბწკარი. / და თეთრი ზოლი გაყოფილ თმების. / დაფიქრებული და მოღიმარი / გაოცებული დიდი თვალები. / თუმც მიზიდავდა თვალები თბილი, / მაინც აშუქებს დიდი ხნის აქეთ / ორი ელვარე ნაფოტა კბილი / ღიმილით ოდნავ გაპობილ ბაგეს. / უცებ გაბრუნდა, ვერ მოვასწარი, / მაგრამ ხსოვნაში ცოცხლდება ლანდი - / ბეჭებზე ორი ქერა ნაწნავი, / ორი ნაწნავი და ორი ბანტი, / სხვა ყველაფერი შეუბრალებლად / მიმოიფანტა ხსოვნის ბურანში, / რადგან თვალების, მხოლოდ თვალების / მოახლოვებას მე ვგრძნობდი მაშინ...*" (იქვე, 273).

მოვიდა მშვენიერება და მოიტანა განცდა ბედნიერებისა, შეჩერებული მშვენიერი წამისა: "*გოგებაშვილის წყნარ შესახვევში, / პატარა ქუჩის დიდ სიჩუმეში - / დაფიქრებული ვიდექი დიდხანს, / იასამნის რტო მეჭირა ხელში. / და მაღლდებოდა სული ზეცამდე. / მესმოდა რეკა იდუმალ ზართა...*" (იქვე, 273-274).

და ფინალი: "*მაგრამ ვაი, რომ ის აღარ არის... / უეცრად გაქრა პატარა ქალი...*" (იქვე, 274). მოკვდა გოგონა, გაქრა თოვლივით. მხოლოდ იასამნის რტო შერჩა პოეტის ოთახს და მასაც კი ძალუძს შვების მოტანა: "*და როცა ქარის ამოქროლება / იასამნის რტოს შეარხევს ოდნავ, / სიტყვასთან ბრძოლით დაქანცულ პოეტს / ესმის შრიალი იმ ერთი წუთის, / ბედნიერების იმ ერთი წუთის, / დაუვიწყარი და კარგი წუთის...*" (იქვე, 274).

[ვაპირებდი, სტატიის ეს მონაკვეთი და, საერთოდ, მთელი წერილი, სხვაგვარად დამეწერა: ნაკლები ყოფილიყო ციტირება (მე თვითონ არ მიყვარს ციტატებით ასე დახუნძლული სტატიები), მეტი ყოფილიყო ანალიზი... მოკლედ, დამეწერა ისე, როგორც იწერება ან უნდა იწერებოდეს ამ ტიპის სტატიები. ვაპირებდი, შემედარებინა გოგონას თვალების მოახლოება მონაკვეთის ბოლოს მისი დედის, შეილმკვდარი დედის თვალების მოახლოებასთან მონაკვეთის დასაწყისში და აღმენიშნა ამ ხერხის კომპოზიციური მნიშვნელობა; შევჩერებულიყავი იმაზე, რომ იასამანი ჯერ უბნის ყვავილოვანი გარემოს ნაწილად არის ნახსენები, შემდეგ მის რტოს ახლო პლანით ვხედავთ გოგონას ფანჯარასთან, შემდეგ ამ რტოს გოგონა ჩუქნის პოეტს, რაც პოემის ემოციური კულმინაციაა, და, ბოლოს, იასამნის გამხმარი რტო პოეტის ოთახშია... ვფიქრობდი, ვფიქრობდი ამაზე და სულ უფრო ნათლად ვიაზრებდი, რა უბადრუკობა იყო მთელი ჩემი ტვინის ჭყლეტა პოემის მარტივ და ტკივილიან სიმართლესთან შედარებით. მივხვდი ამას და ჩაფიქრებულ ანალიზზე ხელი ჩავიქნიე... დავწერე ისე, როგორც მეწერებოდა.]

* * *

ამას ზედიზედ მოსდევს ჰემინგუეის, გალაკტიონისა და გურამ რჩეულიშვილის დაღუპვისადმი მიძღვნილი მონაკვეთები. ეს მონაკვეთები არ არის არც თანაბარი ძალის, არც ერთგვაროვანი სტრუქტურის მქონე. ყველაზე სუსტია ჰემინგუეის თვითმკვლელობისადმი მიძღვნილი სტრიქონები: "*შორს აიდაჰოს მშვენიერ შტატში / მოულოდნელად გავარდა თოფი - / მაგრამ ვერ მოჰკლა ხალხის რჩეული*" (შატბერაშვი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი 1970: 277). ეს "ვერ მოჰკლა ხალხის რჩეული" განსაკუთრებით არადამაჯერებელია (ტრაფარეტული თუ არა, სულ მცირე, "ოფიციალური" სტილის გამო) ისეთ ნაწარმოებში, რომლის აგების მთავარ პრინციპად გულწრფელობა (მათ შორის სტილური გულწრფელობა, შეულამაზებლობა) ქცეულა.

საერთოდ, ჰემინგუეის სახე არა მხოლოდ ამ მონაკვეთის, ჩემი აზრით, მთელი პოემის ყველაზე სუსტი რგოლია. ნაწარმოები ერთიანად განცდისმიერ სიმართლეზეა აგებული, ჰემინგუეისადმი დამოკიდებულება კი გონებისმიერია. ეს გასაგებიცაა: მხოლოდ წიგნებით ნაცნობი ამერიკელი მწერლისადმი პოეტს, ცხადია, ისეთივე უშუალო დამოკიდებულება ვერ ექნებოდა, როგორიც ჰქონდა გალაკტიონისა და გურამ რჩეულიშვილისადმი, რომლებსაც პირადად იცნობდა და რომლებიც უყვარდა არა მხოლოდ როგორც მწერლები, არამედ აგრეთვე როგორც ადამიანები. ასე გონებისმიერი ჭვრეტით აგებული მხატვრული სახეები ხან შედარებით უკეთესია, ხან - უარესი, მთლიანობაში კი - ნაკლებემოციური და ნაკლებმართალი, ვიდრე პოემის სხვა ელემენტები (ჰემინგუეისთან არის დაკავშირებული პოემის ერთადერთი პოლიტიკური ელფერის მქონე გამონათქვამი: *"ვინც მოუხმობდა თავისუფლებას / და ამხნევებდა დაჩაგრულ ერებს, / ვინც სიკვდილის წინ ძმად გაეფიცა / პატარა კუბას და ფიდელ კასტროს..."* იქვე, 285.).

ამ მონაკვეთის ნაწილი ეძღვნება ტყვიას, რომელმაც ჰემინგუეი იმსხვერპლა (*"ტყვიასაც თურმე ტანჯავს მიზანი / სახელის შოვნის და უკვდავების..."* იქვე, 276). აქვეა ილიას მკვლელი ტყვიისადმი მიძღვნილი სტრიქონები (*"ამ ბნელმა ტყვიამ მე გამახსენა / ბოროტი ტყვია ილიას მკვლელი..."* იქვე, 276). როგორც ერთი, ისე მეორე პასაჟი პოემის ემოციურად ყველაზე ნაკლებდამაჯერებელი ადგილების რიცხვს ეკუთვნის.

მონაკვეთი მთავრდება სტრიქონებით: *"ის მოკვდა მთებში ბრძოლით დაღლილი / უკანასკნელი თეთრი ვეფხვივით"* (იქვე, 277). [ეს "უკანასკნელი თეთრი ვეფხვი" პოემაში აშკარად "კილიმანჯაროს თოვლიანი მთის" ცნობილი ეპიგრაფის გავლენით გაჩნდა: *"კილიმანჯარო მუდმივი თოვლით დაფარული 19 710 ფუტის სიმაღლის მთების მასივია. მასაის ტომი მის დასავლეთ მწვერვალს "ნგაი-ნგაიას" უწოდებს, რაც "ღმერთების სახლს" ნიშნავს. თითქმის მწვერვალთან ლეოპარდის გაყინული გვამია. ვერავის აუხსნია, რამ აიყვანა ლეოპარდი ასეთ სიმაღლეზე"*. (უნდა ვაღიარო ჩემი მიუხვედრელობა: მოთხრობა პირველად რომ წავიკითხე, ამაოდ ვუტრიალებდი კითხვას: "რა ესაქმება ლეოპარდს, ოღონდ არა კილიმანჯაროს მწვერვალზე, არამედ სწორედ ამ ეპიგრაფში?" მოკლედ, ეპიგრაფის დოკუმენტურ-ნატურალისტურმა ლეოპარდმა და მოთხრობის ფინალის მეტისმეტად რეალისტურმა თვითმფრინავ-სიკვდილმა მწვერვალზე ასული მწერალ-ლეოპარდის მარტივი სიმბოლო ლამის გამოუცნობ გამოცანად მიქცია.)]

ჰემინგუეისა და გალაკტიონის თვითმკვლელობებს პოემაში სიკვდილის წინა ღამით ნანახი სიზმრები აკავშირებს (თავად სიზმრის ხილვის ფაქტი, თორემ სიზმრები, ცხადია, სხვადასხვაა, თითოეული მათგანის ბედისწერის შესატყვისი). ჰემინგუეი *"წინა ღამით ხედავდა ლომებს / წითელფაფრიან უდაბნის ლომებს / და სანადიროდ ემზადებოდა. / ის სანადიროდ ემზადებოდა, / სიზმრად ხედავდა უდაბნოს ლომებს"* (იქვე, 275-276). გაიღვიძა მწერალმა და ის ტყვიამ მოკლა.

გალაკტიონმა *"წინა ღამით იხილა სიზმრად / მიუწვდომელი მთაწმინდის მთები / და ჩამოესმა კივილი ციდან, / მძლავრი შრიალი არწივის ფრთების. / იმ არწივივით გაფრენა ცისკენ / გულსაც სწყუროდა, სულსაც სწყუროდა, / სწყუროდა ძლიერ, დაუსაბამოდ / უკიდეგანოდ, უსასრულოდა"* (იქვე, 277). გაიღვიძა პოეტმა და *"სცადა ცისკენ გაფრენა, / ცაში სიკვდილი, თავის გაწირვა, / გალეგენდება და გაზღაპრება..."* (იქვე, 277).

სიკვდილის წინ სიზმრად ნანახი ლომი და არწივი, ამ ცნებებთან დაკავშირებული მეფური დიდებულება... მართალია, აქ შელამაზებულია ამ ორი ნიჭით სავსე და საყოველთაო სიყვარულით გარემოცული ხელოვანის პიროვნული ტრაგედია, რომელმაც მათ საკმაოდ ხანდაზმულ ასაკში აღებინა სიცოცხლეზე ხელი, როცა, როგორც წესი, თავს არ იკლავენ (პირიქით, თითოეულ დღეს ებღაუჭებიან), მაგრამ ვინ იცის, რა არის ხელოვანის შემოქმედებითი (და მაშასადამე, ჭეშმარიტი) არსის უკეთ გამომხატველი: ბიოგრაფიის ფაქტობრივი მონაცემები, მიზეზებისა და შედეგების დოკუმენტურად დადასტურებული ჯაჭვი, თუ ლეგენდა, რომელსაც ხელოვანი თავისი შემოქმედებითა და ცხოვრების (მათ შორის, ცხოვრების დასრულების) წესით ქმნის: *"პოეტისათვის კარგი სიკვდილი / უკანასკნელი კარგი ლექსია!"* (იქვე, 278). გალაკტიონი სიკვდილისთანავე იქცა ლეგენდად. და მრავალი თანამედროვის მიერ დადასტურებული სწორედ ეს განცდა არის მოცემული პოემაში: *"და როცა იგი დამსხვრეულ ფრთებით, / გატეხილ შუბლით ჩვენს წინ ესვენა - / მე გავიფიქრე, ის არის ცაში, / ის არც ყოფილა, ის მოგვეჩვენა"* (იქვე, 278).

ამას მოსდევს მზის საგალობელი: *"მზისკენ, დიდ მზისკენ, მხურვალე მზისკენ, / გავარვარებულ შუადღის მზისკენ - / ზამთრის ყინვების, სიცივის შემდეგ / ხელებგაწვდილი მივილტვით ყველა..."* (იქვე, 279). ლოგიკური აუცილებლობა გალაკტიონის თვითმკვლელობის შემდეგ (ვიდრე პოემა გურამ რჩეულიშვილის დაღუპვაზე გადავიდოდეს) მზის ამ საგალობლის გაჩენისა არ არსებობს და ეს არც არის ნაწარმოებში რაიმეგვარად მოტივირებული, წინა ან შემდგომ სათქმელთან მიბმული. არადა, ყველაფერი თავის ადგილზეა, მხატვრულად სავსებით დამაჯერებელია. აქედანაც ჩანს, პოემის წერისას ავტორმა ისეთ შემოქმედებით თავისუფლებას მიაღწია, როცა შეუძლია ამა თუ იმ პასაჟის აუცილებლობა ფორმალურად არც დაასაბუთოს - უაღრესად დაშორებული თემებიც კი ძალდაუტანებლად ერთიანდება ორგანულ მთლიანობად, რადგან ერთიანი განცდიდან არის ამოზრდილი. *"მზისკენ გაწვდილი თვალები გვტკივა, / მზისკენ გაწვდილი ხელები გვეწვის"* (იქვე, 260).

სამ სიკვდილს შორის გურამ რჩეულიშვილის დაღუპვისადმი მიძღვნილი სტრიქონები ყველაზე ძლიერია: *"ზღვის პირას ჭაბუკს ტალღამ დაჰკრა და გაარბუა, / მუხანათურად მიეპარა, კლდეს მიანარცხა... / ზღვა ბობოქრობდა, იგი მაინც წამოდგა ფეხზე. / სტკიოდა ძვლები, იგი მაინც წამოდგა ფეხზე. / სტკიოდა ხორცი, იგი მაინც ილიმებოდა... / ილიმებოდა, / მას*

ეროვნული ბიბლიოთეკა

*რცხვენოდა - ეთქვა მიშველეთ. / ეთქვა ხმამაღლა - / ვილუპები, მოდით, მიშველეთ! / ტალღა ითრევდა, ახრჩობდა და... ილიმებოდა. / ის უხერხულად და უმწეოდ ილიმებოდა, / ფეხებქვეშ ქვიშა გაურბოდა, ილუპებოდა. / ილუპებოდა, მაგრამ მაინც ილიმებოდა. / ნაპირზე იდგნენ მეგობრები და ხელს უქნევდნენ, / მათ სწამდათ მისი ვაჟკაცობა, ძალა ვეფხური, / კარგად ხედავდნენ მის უცნაურ განწირულ ღიმილს, / და მაინც მშვიდად მის გამოსვლას ელოდებოდნენ. / ის გრძნობდა - ბედი ღალატობდა... / ზღვა ბობოქრობდა. / და ვერ გაბედა, ვერ გაბედა, ვერ დაიძახა. / ვერ დაიძახა - ვილუპები, მოდით მიშველეთ! / ვერ დაიძახა... მეგობრები იდგნენ ნაპირზე. / ის იხრჩობოდა და უმწეოდ ილიმებოდა... / და იგი ისე დაილუპა, არ თქვა მიშველეთ. / არ თქვა - მიშველეთ... / ასეთია ბედი ამაყთა"* (იქვე, 280-281).

ზღვის ბოროტების (*"ზღვა ბოროტია, - მრისხანე და შეუპოვარი"* - იქვე, 280) ამ ძლიერ ხატებას აწონასწორებს ეპიზოდი მძვინვარე ზღვის კეთილშობილებისა (*"ამბობენ - / იგი კეთილია..."* - იქვე, 280): ავტორი მოგვითხრობს საკუთარ თავგადასავალს, როდესაც სასიკვდილო განსაცდელი მთელი ცხოვრების ერთ-ერთ უძვირფასეს გამოცდილებად ექცა. ზღვაში მზიან დღეს გასულ პოეტს მოულოდნელად დაატყდა თავს ქარიშხალი. ნაპირისკენ მიბრუნება სცადა, მაგრამ ძლიერ ღელვაში ნაპირი ვერსად დაინახა. და როცა უკვე ნარეკვეთა სასო და მიხვდა, რომ, ფაქტობრივად, დაღუპული იყო, *"ქვითინისნაცვლად სიმღერა დავძარ, / სიმღერა ვუთხარ ღრუბლიან ზეცას. / ზეცის გუგუნში და ზღვის გრგვინვაში / გულალმა მწოლი ვამბობდი ლექსებს"* (იქვე, 283). და მოხდა საოცრება - გაქრა შიში, მწუხარება და სულში ნეტარმა განცდამ დაისადგურა: *"და გაცოფებულ ტალღების ხმაურს, / წამებას სულის, წამებას ხორცის / მე შევყურებდი როგორც საწაულს / და როგორც ჩემი ოცნების ქორწილს"* (იქვე, 283).

* * *

სამი "ხმით ნატირალის" შემდეგ ნანარმოები კვლავ უბრუნდება პატარა გოგოს (*"მაგრამ სად არის, რად დავივიწყე / ჩემი პოემის პატარა გმირი?"* - შატბერაშვილი 1970: 284). გოგონა კვლავ იასამნის ტოტით ხელში ჩნდება, მაგრამ ახლა ავტორი უკვე თავის უშუალო გამოცდილებასა და ემოციას კი არ გადმოგვცემს, არამედ ცდილობს, რაღაც ზომით მსოფლიო მშვენიერებისა და სიკეთის სიმბოლოდ განფინოს გარდაცვლილი ბავშვის ღიმილი. ამის ფსიქოლოგიური მოტივი სავსებით გასაგებია და პატივსაცემი: ძნელია, მეტიც, შეუძლებელია შეურიგდე მშვენიერების სიკვდილს, გაქრობას. მაგრამ გოგონას სახე გარკვეულწილად კარგავს კონკრეტულობას და იმავე ზომით კარგავს ძალასაც. გოგონა, ვინც იასამნის ტოტი გამოუტანა პოეტს, ცოცხალი და დამაჯერებელი იყო. ამდენადვე დამაჯერებელი ვერ არის გოგონა, *"ვინც იასამნის ცისფერი ტოტით / ესალმებოდა ზეცაში მფრინავს / და უგზავნიდა უცხო მთა-გორებს, / შორეულ ქვეყნებს, უცხო ქალაქებს / საჩუქრად თავის მშვენიერ ღიმილს"* (იქვე, 284).

ფორმალურად თითქოს არაფერი იცვლება. პოემა იმავე სტილით მიედინება. მაგრამ, უკვე ვთქვი, რომ ფორმას მეორადი მნიშვნელობა აქვს ამ ნაწარმოებში, რომელიც განცდის სიმართლესა და გულწრფელობას ეფუძნება. აქ საჭიროა დავაზუსტო, რომ ვგულისხმობ განცდის გულწრფელობაში. ცხადია, პოეტი შეგნებულად არსად ამბობს სიყალბეს, ამას, სხვა რომ არაფერი, პოემის ტკივილიან სათქმელს არ აკადრებდა. მაგრამ ერთია, როცა გულწრფელად ამბობ იმას, რასაც განიცდი და სულ სხვაა, როცა, ამბობ იმას, რასაც გულწრფელად გსურს, განიცდიდე.

პოემის ბოლო მონაკვეთებს შეიძლება ეწოდოს: "არშემდგარი სიყვარული", "ავადმყოფობა" და "გარდაცვალება".

## "არშემდგარი სიყვარული"

გოგონა ავტორისთვის *"იმ უცნაური შეხვედრის დღიდან / იქცა იმედის იდუმალ სხივად, / პოეტის უთქმელ სიმღერად იქცა"* (იქვე, 284). გადიოდა დრო. პოეტი შორიდან ადევნებდა მას თვალს (*"შორი ღიმილით და შორი სალმით / მივაცილებდი ჩემი ფანჯრიდან / და კმაყოფილი ვიყავი ამით..."* - იქვე, 287). ერთ ზამთარს ვიღაც ფერმკრთალმა ბიჭმა თოვლის გუნდა ესროლა გოგონას. *"გოგონა შეკრთა და მოიხედა, / სხვა არაფერი, მან მოიხედა. / მან მოიხედა და გაიღიმა... / არა, მას ჰქონდა სახე გამწყრალი, / თვალები დიდი - განრისხებული. / მაგრამ თვალებში, კეთილ თვალებში, / მის განრისხებულ დიდრონ თვალებში / ფერმკრთალი ბიჭი ხედავდა ღიმილს, / პირველი თოვლის მშვენიერ ღიმილს"* (იქვე, 290). მშვენიერებასთან ამ წამიერ შეხვედრას ბიჭი ვეღარასოდეს დაივიწყებს. ხილვა გაბრაზებული გოგოს თვალებში გამკრთალი მომაჯადოებელი ღიმილისა ბოლომდე არასოდეს ამოიშლება ბიჭის მეხსიერებიდან და სამუდამოდ დარჩება მის სულში გაუყუჩარ ტკივილად. ეს მომდევნო ეპიზოდიდან ჩანს (როცა გაზაფხულზე საავადმყოფოს პალატაში მწოლ გოგოს სიკვდილი უახლოვდება): *"ეხეტებოდა ქუჩებში ბიჭი, / დაღონებული ფერმკრთალი ბიჭი... / მიაბიჯებდა და სწუხდა ძლიერ, / ის სწუხდა ძლიერ, დაუსაბამოდ, / სულის საზღვრამდის, იმ საზღვარს იქით... / მას აკლდა რაღაც უსაზღვროდ დიდი / და მიდიოდა ფეხის ბორძიკით"* (იქვე, 292-293).

"არშემდგარი სიყვარულის" ეპიზოდი იმდენად არის შთამბეჭდავი, რა ზომითაც ავტორი ახერხებს გოგონას ტოლ და მისი ღიმილით მონუსხულ ბიჭად გარდაისახოს. ამას იგი საგანგებო ხაზგასმის გარეშე, მარტოოდენ მინიშნებით აღწევს და ფერმკრთალ ბიჭს მხოლოდ ფრაზობრივი პარალელიზმის დონეზე იახლოვებს (პერსონაჟთან უფრო მეტად იდენტიფიცირება ამ შემთხვევაში სახიფათო იქნებოდა, რადგან სწორედ აქ არის პოეტურიდან უხამსობამდე ერთი ნაბიჯი): ბიჭის გამო იგი ამბობს: *"შენ არ იცოდი, გოგონავ კარგო, / შენი ღიმილის ეშხი და ძალა, / შენ არ იცოდი... თორემ იმ დილით / იმ ბიჭს ღიმილით არ შეხედავდი"* (იქვე, 290); თავის განცდას კი ასე გადმოგვცემს: *"შენ არ იცოდი, გოგონავ კარგო, / იმ მშვენიერი ღიმილის ძალა, / ჩემსკენ გამოწვდილ პატარა ხელის / და იასამნის ღიმილის ძალა"* (იქვე, 288).

*"...დადის და ფიქრობს მაღალი კაცი... / ალბათ, არ იცის მშვენიერებამ / საკუთარ თვალთა ეშხი და ძალა, / ალბათ ამიტომ თავის გარშემო / მრავალ ოცნებას, ნატვრას, იმედებს, / საჭვრეტად მოსულ გულებს და თვალებს / შეუბრალებელ ღიმილით მუსრავს"* (იქვე, 289).

ეროვნული ბიბლიოთეკა

## "ავადმყოფობა"

ჩამოდნა თოვლი. მოვიდა გაზაფხული. აჭრელდა მთაწმინდის კალთა. გოგონა საავადმყოფოშია. სიკვდილის მოახლოება გადმოცემულია როგორც ღიმილის ქრობა თვალებში და ბაგეზე: "ის იწვა ჩუმად და გათეთრებულ / ჭერს შესცქეროდნენ დიდი თვალები, / ჩაფიქრებული, ბედის ცვალებით / გაოცებული დიდი თვალები" (იქვე, 292). "ის გრძნობდა რაღაც დაუძლეველის / და გარდუვალის მოახლოებას, / რადგან ის რაღაც - ყოველდღიურად / შეუბრალებლად სპობდა მის ღიმილს" (იქვე, 292).

ამ მონაკვეთშიც ყველაზე არადამაჯერებელია განზოგადების, მწუხარების მთელ დედამიწაზე განფენის პრეტენზიით დაწერილი სტრიქონები: პილოტი მიქროდა თვითმფრინავით "და სწუხდა ძლიერ, / რადგან ღიმილი, კარგი ღიმილი / აღარ მიჰქონდა ძლიერი ფრთებით, / შორეულ მთების, უცხო ქვეყნების, / მწვანე მინდვრების და ქალაქების / მოწმენდილ ცაზე, ულრუბლო ცაზე" (იქვე, 294).

სამაგიეროდ, როცა ამავე მასშტაბის განზოგადება მოქცეულია პოეტის პირად ხილვა-ოცნებაში ავადმყოფი ბავშვის მხსნელი წამლის გამო, ყველაფერი ბევრად უფრო დამაჯერებელი ხდება: "ღია სარკმელთან იდგა პოეტი, / იდგა, ფიქრობდა და სწუხდა ძლიერ... / თუმცა იცოდა, რომ სადღაც, ვიღაც - / ათასგან, ბევრგან, ყველგან და ბევრი / ღამეთა ტეხვით, დღისით, დღედაღამ, / გამოღამებულ, დაღლილ თვალებით - / თავის შეწირვით, გზნებით და ვნებით, / თავდახრილი და ჩაფიქრებული / ეძებდა წამალს, იმ მწარე წამალს, / მომაკვდავ ბავშვის გადასარჩენად" (იქვე, 294-295).

## "გარდაცვალება"

შინაარსობრივად და სტრუქტურული მდებარეობის გამოც ეს მონაკვეთი პოემის მეორე კულმინაციად უნდა ქცეულიყო, მაგრამ აშკარად ვერ აღწევს გოგონასთან პირველი შეხვედრის ეპიზოდის ძალას.

საავადმყოფოს ბნელ კაბინეტში რეკს და რეკს ტელეფონი, რომელიც თითქოს მოუხმობს, აფხიზლებს ყველას, ვისაც გოგონა უყვარს და მისი შველა სურს: "გამოღამებულ დაღლილ თვალებით / წუთით წათვლემილ ფერწასულ ექიმს, / ფიქრებთან ბრძოლით დაქანცულ პოეტს, / თბილისის ცაზე გადაველილ მფრინავს, / ქვეყანას მძინარს და ძილში მღვიძარს..." (იქვე, 296). უკვე აღვნიშნე, რომ პოემა სწორედ იმ მონაკვეთებშია შედარებით სუსტი, სადაც არის ყოფითი ფაქტის მაქსიმალურად გაფართოების, მასშტაბურ სიმბოლოდ ქცევის ცდა. და ვერც ტელეფონის ზარი იძენს მთელი ქალაქის (ან მთელი ქვეყნიერების, ყოფნა-არყოფნის და ა. შ.) გასაგონად დარეკილი საგანგაშო ზარის მნიშვნელობას.

სიკვდილის ეპიზოდში ყველაზე შთამბეჭდავი ის სტრიქონებია, სადაც ამ ფაქტზე დედის ბუნებრივი და გასაგები ადამიანური რეაქციაა ასახული: "- მოკვდა... - თქვა ჩუმად მოწყალების დამ. / ჩუმად თქვა, გულში... / ჩუმად თქვა, მაინც გაიგო დედამ. / გაიგო, მაგრამ თქმა ვერ გაბედა" (იქვე, 296).

გოგონას დაკრძალვის ეპიზოდში ყველაზე შესამჩნევი ისევ მისი თვალები და ღიმილია (ე. ი. ის ელემენტები პატარა თამარის გარეგნული ხატისა, რომლებიც ყველაზე ძვირფასი იყო ავტორისთვის ცოცხალ ბავშვში, მაგრამ რომლებიც ყველაზე ნაკლებ შესამჩნევია მიცვალებულში): "ია-ვარდებში, იასამნებში, / თეთრ გვირილებში იწვა თვალები. / ბედის ცვალებით გაუხარელი / და დახუჭული დიდი თვალები. / ვარდებში იწვა მისი ღიმილი, / როგორც კვილით გამწყდარი სიმი. / ია-ვარდები, იასამნები / მიასვენებდნენ მშვენიერ ღიმილს. / ნაცნობ ქუჩაზე, დიდი სახლის წინ / მან გაიღიმა უკანასკნელად..." (იქვე, 299).

* * *

გიორგი შატბერაშვილისთვის, უეჭველია, ძალიან მნიშვნელოვანი იყო ამ ნაწარმოების დაწერა, ძვირფასი მიცვალებულების გამოგლოვება და, გაუცნობიერებლად, საკუთარი სიკვდილისათვის მზადება. მნიშვნელოვანი იყო, ემღერა სასწაულისათვის, რომ სიბერესმიღწეული მამაკაცის სულის ულრმეს გვირაბებში, ბიოგრაფიული სატკივრისა თუ ყოფითი რუტინის სქელი პლასტების ქვეშ დიდი ხნის წინ დამარხული, მაგრამ ჯერაც ცოცხალი ბავშვის ძახილი ვიღაცამ შეიძლება გაიგონოს (და ვის შეიძლება, სხვა ბავშვზე უკეთ ესმოდეს, თუ რა შიშისა და სასოწარკვეთის გამომხატველია სიბნელეში მარტო დატოვებული ბავშვის ყვირილი!), რომ შესაძლებელია სასწაული ამგვარი ურთიერთობისა: "ჩვენი შეხვედრა ცხოვრების გზაზე / ნათესავ სულთა შეხვედრას ჰგავდა, რაღაც ძლიერი და რაღაც ნაზი / ჩვენს შორის იდგა და გვიზიდავდა. / შემომხედავდა ბავშვური რიდით, / გზად მიმავალი თავის სწორებთან / და რაღაც, ძლიერ კარგი და დიდი, / ჩვენს შორის იდგა და გვაშორებდა" (იქვე, 287).

ქართულ სიტყვიერებაში არის დიდებული რექვიემები (მათ შორის რამდენიმე ნამდვილად გენიალურია: დიმიტრი ყიფიანის დალუპვისადმი მიძღვნილი აკაკის "განთიადი", ვაჟასეული გმოგლოვება "ალექსანდრე ყაზბეგს", ფშაური ნატირალი "მაჰკვდია ბეჩავო ერემო..."). "ზაფხულის ღამის ქრონიკა" ერთ-ერთი საუკეთესო რექვიემთაგანია.

* * *

ერთხელაც გავიხსენოთ, რას წერდა პოემის ავტორი გურამ რჩეულიშვილის საფლავის გამო: "ამ მცირე ქვაზე ამოკვეთილი მზე, მთვარე და ვარსკვლავები განუსაზღვრელი სივრცის შთაბეჭდილებას ჰქმნის. აქ დღე და ღამე ერთია. არის მხოლოდ დრო და სივრცე, უკიდეგანო დროსა და სივრცეს შეჭიდებული ჭაბუკი. სურათი ვიწრო ჩარჩოებიდან გამოდის და მარადი დღე-ღამის სახედ იქცევა..."

ეს ქვა ვაკის სასაფლაოზეა. თამარ ჟღენტი იქვე, ათიოდე ნაბიჯის მოშორებით არის დაკრძალული. ვეფხური ძალის ჭაბუკი და ქერანაწნავებიანი გოგონა მარადიულ დღე-ღამეში გვერდიგვერდ მიაბიჯებენ.

---

**დამოწმებანი**


შატბერაშვილი 1970: შატბერაშვილი გ. თხზულებანი ოთხ ტომად. ტ. I, პოეზია. თბილისი: გამომცემლობა "საბჭოთა საქართველო", 1970.

შატბერაშვილი 1975: შატბერაშვილი გ. თხზულებანი ოთხ ტომად. ტ. IV, წერილები, თვალადური ქართულის ჭაშნიკი. თბილისი: გამომცემლობა "საბჭოთა საქართველო", 1975.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## უმბერტო ეკო

# მათემატიკის უკუღმართი გამოყენების შესახებ

*იტალიურიდან თარგმნა დარეჯან კიკოლიაშვილმა*



ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული დეფინიციით, ნიშანი, ანუ სიმბოლო არის ობიექტი, რომელსაც შეთანადებული აქვს ნებისმიერი ბუნების სხვა ობიექტი, როგორც მისი მნიშვნელობა. ამ აზრით, არა მარტო სიტყვები, ნახატები, გრაფიკები, არამედ სამყაროს ნებისმიერი საგანი ან მოვლენა, გარკვეულ შემთხვევაში, შეიძლება იყოს, ან ჩვენ აღვიქვათ, როგორც ნიშანი. მაგალითად, დიდი, შავი ღრუბელი უეჭველ წვიმას მოასწავებს, ნიშნებია ავადმყოფობის სიმპტომები, კენჭები ან ლობიოს მარცვლებიც კი, ზღაპრის გმირი გზადაგზა რომ აპნევს გავლილი გზის მოსანიშნად.

და მაინც, არსებობს რაღაც ნიშნები, რომელიც მხოლოდ საკუთარ თავს აღნიშნავს, სხვას არაფერს. ეს მათემატიკური ნიშნებია. ისეთ მათემატიკურ ნიშნებს არ ვგულისხმობ, როგორიცაა რიცხვის სახელი, რომელიც ენობრივი ტერმინია და სხვადასხვა ენაში იცვლება, თუმცა მუდამ ერთსა და იმავე რიცხობრივ რაოდენობას აღნიშნავს. ვგულისხმობ თვით რაოდენობებს. სიტყვებით *Zwei, due, two, deux, dos* გამოხატული რაოდენობა ნიშნავს ამ რაოდენობას და სხვას არაფერს.

რიცხვი 10 ნიშნავს, ან გულისხმობს, ან გვაგონებს 5+5-ს, რიცხვი 25 ნიშნავს, ან გულისხმობს, ან გვაგონებს 5X5-ს, და როგორც იაკობსონმა თქვა, ის, რომ სეკვენციაში გარკვეული მელოდიური დინება ტონიკაში დაბრუნებას მიგვანიშნებს, ან მის მოლოდინს ქმნის, ესეც მნიშვნელობის ქონის ერთ-ერთი ფორმაა.

მაგრამ მათემატიკური რაოდენობების ეს გარეგნული სემანტიკა სინამდვილეში სინტაქსურია, რომელიც მხოლოდ მათ შინაგან კავშირებს გამოხატავს. ცნობილია, რომ ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში და გარკვეულ კულტურულ გარემოში არამათემატიკურ ამბებს ციფრებთან ვაკავშირებთ ხოლმე, საკმარისია გავიხსენოთ ყველაზე ბოლო და დრამატული მაგალითი – 9/11. რიცხვებში 9 და *11* თავისთავად არაფერია დრამატული, მაგრამ საქმე ის არის, რომ (გარკვეულ კონტექსტში) ერთი აღნიშნავს თვეს, მეორე - დღეს, და ეს კიდევ არ იქნებოდა საკმარისი, მაგრამ ის დღე და ის თვე (თუ იგულისხმება, რომ 2001 წელია) აღნიშნავს ტრაგიკულ მოვლენას - ტყუპ კოშკებზე თავდასხმას. მნიშვნელობის მიმნიჭებელი ურთიერთკავშირი განპირობებულია არა მათემატიკური ოდენობებისგან, არამედ მათემატიკის გარე ფაქტორებისგან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩემი მოხსენების სათაურში მათემატიკის უკულმართი გამოყენება ვახსენე და ეს მაშინ ხდება, როდესაც რიცხვებს ანიჭებენ მნიშვნელობას, რომელიც სცილდება ან მათ ნამდვილ რაობას, ან მათ ურთიერთმიმართებას სხვა რიცხვებთან. უკულმართი გამოყენება ხდება მაშინაც, როდესაც რიცხვებს მიეწერება მისტიკური მნიშვნელობები, ან რიცხვების გამოთვლის საფუძველზე დგინდება ანომალიურ ფენომენთა შორის რაღაც განსაკუთრებული კავშირები. ამ პრაქტიკას ან ფსევდომეცნიერებას, ზოგადად, ნუმეროლოგიად მოვიხსენებთ.

ნუმეროლოგიურ ფანტაზიად არ უნდა ჩავთვალოთ ინტუიცია წარსული დროის ზოგი ფილოსოფოსისა, რომელიც ნუმეროლოგიას კი არა, პოეტურ მათემატიკას მისდევდა, და სურდა, მითიური ფორმით გამოეხატა რწმენა, რომ სამყარო მათემატიკური ნიშნებით იყო დაწერილი. ამ იდეას ჩვენ, საერთოდ, გალილეის მივაწერთ, მაგრამ ის უკვე გვხვდება პითაგორასთან და მის სკოლაში. პითაგორასთვის ყველაფრის საწყისი - რიცხვია. პითაგორელებმა პირველებმა გამოიკვლიეს მუსიკალური ბგერების მარეგულირებელი მათემატიკური ურთიერთობები, პროპორციები, რომელსაც ეყრდნობა ინტერვალები, კავშირი სიმის სიგრძეს, ზარის სიდიდეს ან ჩაქუჩის წონას და ბგერის სიმაღლეს შორის.

თეონ სმირნელთან[1] ვკითხულობთ: "ლასოს ჰერმიონელმა[2] ერთი და იგივე სიდიდის და ფორმის ორი ავზიდან, ერთი სრულიად ცარიელი დატოვა, მეორე ნახევრად აავსო სითხით: როდესაც ორივეს შემოჰკრავდა, იღებდა ოქტავურ ინტერვალს. შემდეგ ერთს ისევ ცარიელს ტოვებდა, მეორე ავზს ავსებდა მხოლოდ მეოთხედზე, გაჟღერებისას იღებდა კვარტას, შემდეგ ავსებდა მესამედზე და იღებდა კვინტას, რადგან სიცარიელეთა მიმართება იყო ოქტავაში ორი ერთზე, კვინტაში - სამი ორზე და კვარტაში – ოთხი სამზე".



*tetraktys* – *ტეტრაკტისი* არის სიმბოლური ფიგურა, რომელზეც ფიცს დებდნენ პითაგორელები. მასში სრულყოფილი და სანიმუშო ფორმით იყო კონდენსირებული რიცხობრივის რედუქცია სივრცობრივზე, არითმეტიკულისა - გეომეტრიულზე. ეს სტრუქტურა პითაგორასთვის წარმოადგენდა ყველა შესაძლო რიცხვის გენერატორ უჯრედს: სამკუთხედის ყოველი გვერდი შედგება ოთხი წერტილისგან, ცენტრში კი მხოლოდ ერთი წერტილია – ერთეული, საიდანაც იბადება სხვა რიცხვები.

მართლაც, ამ ანგარიშიდან შეიძლებოდა დაწყებულიყო, და დაიწყო კიდეც, პირველი ნუმეროლოგიური სპეკულაციები, სადაც რიცხვი 4 იქცა ძლიერების, სამართლიანობის, სიმყარის სინონიმად, და ოთხრიცხვიანი სამი რიგისგან შედგენილი სამკუთხედი გაიაზრებოდა, როგორც სრულყოფილი ტოლობის სიმბოლო.

მაგრამ მთავარი იდეა მათემატიკურია და არა მისტიკური. სამკუთხედის შემადგენელი წერტილების ჯამი არის 10, პირველი 10 რიცხვით კი შესაძლებელია ყველა შესაძლო რიცხვის გამოსახვა. ამ სამკუთხედის ფუძე უსასრულოდ რომ გაგვეზარდა, ყოველ ნაბიჯზე მივიღებდით მას, რასაც წინა რიცხვის *მომდევნოს* ვუწოდებთ, და მივიღებდით რიცხობრივ პროგრესიებს, სადაც ლუწ რიცხვებს (ნუმეროლოგიური თვალსაზრისით უსასრულობის სიმბოლოს, რაკი შეუძლებელია მათში იმ წერტილის გამორჩევა, სადაც წერტილების რიგი ზუსტად ორ თანაბარ ნაწილად იყოფა) კენტი რიცხვები ცვლის (სასრულობის სიმბოლო, რაკი რიგში ყოველთვის არსებობს წერტილების თანაბარ რაოდენობაზე გამყოფი ცენტრალური წერტილი). მაგრამ ამ მათემატიკურ ჰარმონიებს გაუჩნდებათ შესატყვისი გეომეტრიული ჰარმონიებიც და თვალი გამუდმებით შეძლებს ამ წერტილების ერთმანეთთან დაკავშირებას სრულყოფილად ტოლგვერდა სამკუთხედების უსასრულო და გაბმულ მწკრივში.

რიცხვის არითმეტიკული კონცეპტიდან სხვადასხვა წერტილს შორის გეომეტრიულ-სივრცული კავშირის კონცეპტზე გადასვლის იდეა სწორედ პითაგორასეულია. და გეომეტრიული პროპორციის ნიშნით არის აღბეჭდილი მთელი ბერძნული ხელოვნება, სადაც ბატონობს პოლიკლეტეს კანონი. ამ კანონის მიხედვით, "სილამაზე არ მდგომარეობს ცალკეულ ელემენტებში, არამედ ნაწილთა ჰარმონიულ პროპორციებში, ერთი თითის ჰარმონიაში მეორესთან, ყველა თითისა – ხელთან, ხელისა – მაჯასთან, მაჯისა – წინამკლავთან, წინამკლავისა – მთელ მკლავთან, და ბოლოს, ყველა ნაწილისა ყველა სხვა ნაწილთან" – შეგვახსენებდა გალენუსი[3] (*Placita Hippocratis et Platonis* V, 3).

არა ნუმეროლოგიის, არამედ პოეტური მათემატიკის მაგალითია პლუტარქესთან ციტირებული თეორია (*ორაკულთა დაისი, XXII*):

"პეტრონუსი[4] გვეუბნება, რომ არსებობს 183 სამყარო, განლაგებული ტოლგვერდა სამკუთხედის ფორმით, ყოველ გვერდზე 60 სამყაროთი. სამი "ნაშთი" სამყარო მოთავსებულია სამკუთხედის სამ შესაბამის წვერში, მაგრამ ეხებიან გვერდებზე განლაგებულ სამყაროებს და ბრუნავენ ყოველგვარი დისჰარმონიის გარეშე, როგორც ქორალურ ცეკვაში".

წმინდად მითოლოგიური და პოეტური შეიძლება გვეჩვენოს პლატონის *ტიმეოსში* მოცემული დემიურგოსის მიერ სამყაროს შექმნის აღწერა, სადაც მთელი სამყარო წარმოიშვება ელემენტარული გეომეტრიული ფიგურების, ეგრეთ წოდებული პლატონური მყარი სხეულების კომბინაციებით.

---

1. თეონ სმირნელი – (70-135წ.) ბერძენი მათემატიკოსი და ფილოსოფოსი.
2. ლასოს ჰერმიონელი – ძვ.წ.VIIს პოეტი და მუსიკის თეორეტიკოსი, პირველმა შეისწავლა მუსიკალური ინტერვალები.
3. გალენუსი – IIს. რომაელი ექიმი და ფილოსოფოსი.
4. პეტრონუსი – ძვ.წ. VI-V ს. პითაგორელი ფილოსოფოსი

ეროვნული ბიბლიოთეკა




მაგრამ აქ საქმე ეხებოდა კოსმიური აპარატის მათემატიკური წარმოშობის ახსნის მცდელობას, და პლატონისეულ ჰარმონიულ სხეულებს, როგორც იდეალურ მოდელებს, ისევ შეისწავლის და ხოტბას შეასხამს ლეონარდო, პიერო დელა ფრანჩესკა ნაშრომში *De perspectiva pingendi*, ლუკა პაჩოლი *De Divina Proportione*-ში, დიურერი *ადამიანის სხეულის სიმეტრიაში* და კეპლერი *Mysterium Cosmographicum* –ში.

მაშ, როდის იწყება რიცხვთა სისტემური ნუმეროლოგიური წაკითხვა? იმედია, მაპატიებთ, რომ ძველ აზიურ ცივილიზაციებს ვერ დაეიმოწმებ, კომპეტენციის და დროის მიზეზით, მაგრამ თუ დასავლური და მეზობელი ებრაული ცივილიზაციით შემოვიფარგლებით, დავიწყებდი ნეტარი ავგუსტინეთი (*De doctrina christiana*). ნეტარი ავგუსტინე მიჰყვება ელინისტური პერიოდის ებრაულ ჰერმენევტიკაში და ეკლესიის მამებთან უკვე დამკვიდრებულ ტენდენციას – წმინდა წერილის ალეგორიულ ინტერპრეტაციას. აქ *allegoria in verbis*-ზე – ენობრივი საშუალებით გამოხატულ რიტორიკულ ფიგურებზე მეტად, რომელსაც საერო პოეზიაშიც ვხვდებით, მნიშვნელოვანია *allegoria in factis*, ანუ ბიბლიაში მოთხრობილი ფაქტები, ფაქტები, რომელიც თვით ღმერთმა განაგო რაღაცის დასამტკიცებლად. მაგრამ, როდის შეგვიძლია ვთქვათ, რომ ღვთაებრივი ავტორის მოტანილი ფაქტები გადატანითი მნიშვნელობით უნდა გავიგოთ?

ნეტარი ავგუსტინე გვეუბნება, რომ წმინდა წერილის ყოველი ფაქტი, რომელიც თითქოს ეწინააღმდეგება სარწმუნოებრივ ჭეშმარიტებებს ან კეთილზნეობის ნორმებს, გადატანითი მნიშვნელობით უნდა გულისხმავყოთ. მაგდალინელი ნელსაცხებლით ფეხებს ჰბანს ქრისტეს და საკუთარი თმებით უმშრალებს. შესაძლებელია ვიფიქროთ, რომ მაცხოვარი ნებდება ასეთ წარმართულ და ავხორც რიტუალს? ცხადია, არა. ესე იგი, ეს ამბავი სხვა რაღაცას გადმოგვცემს. ასევე უნდა ვიგულისხმოთ რაღაც ქვეტექსტი, როდესაც ბოლო არ უჩანს სულიერი თვალსაზრისით უმნიშვნელო საგნების ან მოვლენების აღწერას, მაგალითად, თხრობა დიდხანს ჩერდება აღწერაზე, მაგრამ არ ჩანს ამ დაჟინების მიზეზი, ან ერთი შეხედვით უაზროდ გვეჩვენება საკუთარი სახელების, ტექნიკური ტერმინების, ყვავილების, ქვების, სამოსლის, ცერემონიების, და (აი, მივადექით) *რიცხვების* მეტისმეტად დაჟინებული აღწერა. ასეთ შემთხვევებში უნდა დავუშვათ, რომ *aliud dicitur et aliud demonstratur*. "რიცხვთა დაფარული მნიშვნელობის უგულებელყოფა ან არასაკმარისი სერიოზულობით აღქმა ნიშნავს, ვერ ჩავწვდეთ წმინდა წერილში ფიგურალური ფორმის ქვეშ დაფარულ ცნებათა უსასრულობას. კეთილშობილი სული უარს ვერ იტყვის მოსეს, ელიას და ჩვენი მაცხოვრის 40-დღიანი მარხვის მნიშვნელობის და მიზეზის გაგებაზე. და ამ საიდუმლოს გასაღების პოვნა შესაძლებელია მხოლოდ ამ რიცხვზე დაფიქრებით". ხოლო *ღმერთის ქალაქში* ნეტარი ავგუსტინე ამბობს, რომ სამყარო 6 დღეში შეიქმნა, არა იმიტომ, რომ ღმერთს ეს დრო სჭირდებოდა იმისთვის, რასაც წამისყოფითაც შეძლებდა, არამედ იმიტომ, რომ 6 – პირველი რიცხვია, რომელიც მისი გამყოფი რიცხვების ჯამით მიიღება (1+2+3) და ამიტომ შესაქმის სრულყოფილებას გამოხატავს.

ესე იგი, ბიბლიური რიცხვები საშინლად სერიოზულად უნდა აღვიქვათ, და ღმერთმა ხომ იცის, რამდენად მრავლად გვხვდება წმინდა წერილში. გავიხსენოთ რა ხდება მთელს შუა საუკუნეების ჰერმენევტიკაში სოლომონის ტაძრის ზომებთან დაკავშირებით. ტაძრის დაწვრილებითი აღწერა გვაქვს ორგან, *მეფეთა წიგნში* (I,6) და ეზეკიელის გამოცხადებაში. პირველი ეზეკიელზე უფრო ზუსტია, დღეს ვიტყოდით, უფრო *friendly*, მაგრამ მაინც, ტაძრის, სტოას, სარკმლების მითითებული ზომების ჩამონათვალი რეტის დამსხმელია და მეტს აღარაფერს გეტყვით, დაგზოგავთ. უარესი ხდება ეზეკიელთან (40, 5-49 და 41, 1-26), ორი გვერდი მაინც, რიცხვებით თავბრუსხვევაა, რომლის მსგავსსაც იგრძნობ, თუ, სახაზავით ხელში, ეცდები მაკეტის მიხედვით ამ ტაძრის აგებას, მით უფრო, თუ შუა საუკუნეების ეგზეგეტი ხარ და ზომების კონვერტორი არ გაგაჩნია. მართლა არ იცი, თავი რომელ კედელს ახალო.

თვით ებრაული ტრადიცია დასაშვებად მიიჩნევდა, არქიტექტურული თვალსაზრისით, ადეკვატური წაკითხვის შეუძლებლობას. XII საუკუნეში რაბინი სოლომონ ბენ ისააკი აღიარებდა, რომ არავის არაფერი გაეგებოდა ჩრდილოეთის მხარეს დარბაზების განლაგებისა, ან სად იწყებოდა დასავლეთით, სადამდე მიდიოდა აღმოსავლეთით, სად იწყებოდა ინტერიერში და სადამდე მიდიოდა ექსტერიერში. თვით ეკლესიის მამებიც თავის დროზე მიიჩნევდნენ, რომ კარი კედელზე უფრო განიერი ჩანდა. მართლაც, ეზეკიელი აღწერდა სიზმარს თუ ჩვენებას, ფილმივით, სადაც ფორმები მოძრაობენ და ერთმანეთში გარდაიქმნებიან, და მისი წარმოსახვის უნარი, ისევე როგორც მთელი ებრაული ტრადიციისა, უფრო სმენითი იყო, ვიდრე მხედველობითი.

და მაინც, შუა საუკუნეების ალეგორისტებს უნდა დაენახათ ტაძარი, როგორსაც ეზეკიელი აღწერდა, რადგან თუ რომელიმე ლერწამი 6 წყრთა უნდა ყოფილიყო (და არა სამი ან შვიდი), ეს იმიტომ, რომ ღმერთმა ასე განაგო, რათა ჩვენ მისი ალეგორიული ახსნა შეგვძლებოდა. და აი, რიშარ დი სენ ვიქტორი[1] მთელი ძალისხმევით ცდილობს ხელახლა იანგარიშოს და აღადგინოს გეგმა და ჭრილები და როდესაც ორი ზომა ერთმანეთს არ ემთხვევა, გადაწყვეტს, რომ

1. Richard de Saint Victor – XII ს. წარმოშობით შოტლანდიელი თეოლოგი და ფილოსოფოსი, პარიზის სენ ვიქტორის მონასტრის პრიორი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთი ეხება მთლიან ნაგებობას, მეორე - მხოლოდ მის ერთ-ერთ ნაწილს.

სხვა განმმარტებლები, მაგალითად ჰუგო დე ფოლიეტო[1] (*De Claustro animae*) კომენტარში ამბობდა, რომ სოლომონმა ოცდაათი ათასი კაცი გამოიყვანა სამუშაოდ, რადგან ეს რიცხვი 3 და 10-ის კომბინაციაა, რიცხვი სამი კი სამების, სამი სახარებისეული სათნოების (ლოცვა, მარხვა, მოწყალება) და სამი ქველი საქმის – კითხვის, ფიქრის და ქადაგების სიმბოლოა.

მაგრამ ჰუგოს მიერ ტაძრისთვის მიძღვნილი გვერდები რა სახსენებელია ხერონიმო პრადოს და ხუან ბატისტა ვილალპანდოს[2] თხზულებასთან *Ezechielem Explanationem* (1596-1604), სადაც ათას ექვსას გვერდიან, მრავალპირად გადაკვეცილ ოთხმოცამდე ტაბულიან სამ ვეებერთელა ტომში ტაძრის სხვადასხვა რეკონსტრუქციულ ვარიანტს გვთავაზობენ და, ერთი მხრივ, ისეთ ტექნიკურ სიზუსტეს ავლენენ, რომ მათ ბაროკოს არქიტექტურა სამშენებლო მოდელებად გამოიყენებს, მაგრამ მეორე მხრივ, გვთავაზობენ მისტიკურ არქიტექტურას, განსაკუთრებით ვილალპანდოს მიერ დამუშავებულ ნაწილში, რომელიც უნდა დამორჩილებოდა რიცხვთა კანონებს, დაფუძნებულს ასტროლოგიურ გამოთვლებზე, კაბალას ელემენტებზე, პითაგორასეულ მუსიკალურ ინტერვალებზე და ასე შემდეგ.

ტაძრის ზომებზე თვით ნიუტონიც დაშვრა, რათა ქვეყნიერების აღსასრულის შესახებ მინიშნებისთვის მიეგნო.

და ბოლოს, ვნახოთ ჩვენთვის უფრო ახლობელი, აპოკალიფსის ბერძნული კულტურით გამსჭვალული ავტორის მიერ განმარტებული, ეზეკიელის ხილვა, რომელსაც ტაძრის სახე გადააქვს ციური იერუსალიმის სახეში:

"და აქუნდა ზღუდე დიდი და მაღალი, და ბჭენი ათორმეტნი და სახელები წერილი, რომელ არს სახელები ძეთა ისრაელისათაი, და ზღუდესა მას ქალაქისა აქუნდეს ათორმეტი საფუძველნი და მათ ზედა ათორმეტნი სახელნი მათ მოციქულთა კრავისათანი. და ქალაქი იყო მოთხვითა არს, და სიგანე მისი ეითარცა სივრცე, და განზომა ქალაქი იგი ლერწმითა მით ათორმეტსა ათასსა უტევანსა. ათორმეტი სიგრძე და სივრცე და სიმაღლე მისი სწორ არიან. და საფუძველნი ზღუდისანი ყოველთა ქვით პატიოსნითა შემკულნი, საფუძველი პირველი იასპი, მეორე საფირონი, მესამე ქალკიდონი, მეოთხე სამარაგდე, მეხუთე სარდონისონი, და მეექვსე სარდიონი, მეშვიდე ოქროქვაი, მერვე ბივრილი, მეცხრე ტოპაზი, მეათე ხრისოპასიონი, მეთერთმეტე იაკინთი, მეთორმეტე ამეთვისტო. და ათორმეტნი იგი ბჭენი იყვნეს ათორმეტნი მარგალიტნი, თითოეული ბჭე იყო ერთისა და ერთისა მარგალიტისაი. და უბანი ქალაქისაი მის ოქროი წმიდაი, და ჭიქაი ბრწყინვალე. და ქალაქი იგი ოქრო წმიდაი, მსგავსი ჭიქისა წმიდისა ნაშენები"[3].

მთელი შუა საუკუნეების ესთეტიკა, ჯერ ისევ პითაგორასეული მოდელის გავლენით, მიიჩნევდა, რომ უნივერსუმის მშვენიერება მდგომარეობდა პროპორციის შესაბამისად მის შექმნაში, და ნეტარმა ავგუსტინემ შემდეგი საუკუნეების სპეკულაციისთვის დაამკვიდრა ბიბლიური იდეა, რომ ღმერთმა ყოველი განაგო რიგით, წონით და საზომით, *ordo, pondus et mensura*.

თხზულებაში *Itinerarium mentis in Deum* (II, 7)[4] ბონავენტურა იტყვის, რომ "რიცხვი სამყაროს შემოქმედის გონებაში ძირითადი მოდელია". მაგრამ იმდროინდელი მათემატიკური კულტურის სისუსტის გამო, პროპორციას, საუკეთესო შემთხვევაში, ხედავდნენ მუსიკალური გაგებით, რადგან უკვე იცნობდნენ მუსიკაში არსებულ მათემატიკურ წესებს. მაგალითად, ჰონორიუს ავგუსტოდუნელი[5] წიგნში *Liber duodecim quaestionum* მთელ თავს მიუძღვნის იმის ახსნას, რომ კოსმოსი აგებულია ქნარის პრინციპით, რომელშიც სხვადასხვა ტიპის სიმები ჰარმონიაში ჟღერენ.

მეორე მხრივ, შუა საუკუნეებში ბევრს საუბრობს პროპორციებსა და ჰარმონიაზე, მაგრამ არ ქმნის არავითარ ალგორითმს მისი დეფინიციისთვის. საჭირო გახდება რენესანსის ეპოქის დადგომა, რათა ოქროს კვეთის და პერსპექტივის ტექნიკის შესწავლის გზით ეზიაროს ზუსტ მათემატიკურ მოდელებს. სხვა მხრივ, შუა საუკუნეების მათემატიკა წმინდად ნუმეროლოგიურია. ბოლო არ უჩანდა სპეკულაციებს ერთზე - სრულყოფილ რიცხვზე, ორზე - წყვილ რიცხვზე და (აქ პითაგორელები გაგახსენდებათ) არასრულყოფილზე და *immundus numerus*, რომელიც ზოგისთვის ქალურ ბუნებას გამოხატავდა და დანყვილების, ანუ ცოდვის იდეას კარნახობდა, მაგრამ ყოველი სიმბოლური სისტემისთვის დამახასიათებელი მოქნილობის წყალობით, შეეძლო გამოეხატა სხვა რამეც, მისი საწინააღმდეგო – შეეძლო გამოეხატა ნუგეში და წყალობა, რადგან იესომ ორი დღე დაჰყო სამარიტელებთან, წყვილად წარგზავნა მოწაფეები იუდეის მოსაქცევად, და ბოლოს, სამების მეორე წევრია მარადიულად; რიცხვი სამი გამოსახავს ერთობაში დაბრუნებას, რომელიც რიცხვმა ორმა დაარღვია, გვაგონებს წამყოს-აწმყოს-და-მყოფადს, სამების მახასიათებელია, კლასიკურ მითოლოგიაში არსებობდა სამი გრაცია, სამი ფურია, სამი მოირა, ბიბლიაში კიდობნის სამი სართული, აბრაამთან მივლინებული სამი ანგელოზი.

რიცხვი ოთხი ყოველთვის გაიაზრებოდა, როგორც სიმტკიცის და წონასწორობის რიცხვი. შუა საუკუნეების კულტურა ამოდიოდა პლატონური იდეიდან (სხვათა შორის, მის თანამედროვე ებრაულ მისტიკაშიც ვითარდებოდა ეს იდეა), რომლის მიხედვით კოსმოსი არის დიდი ადამიანი და ადამიანი – პატარა კოსმოსი. ამგვარად გაჩნდა ეგრეთ წოდებული *homo quadratus*-ის თეორია. განსჯის საგანი იყო ის, რომ ბუნება ოთხ ნაწილად იყოფა. ოთხია სამყაროს მხარე, ოთხია ელემენტი, ოთხია პირველადი თვისება, ოთხი – მთავარი ქარი, ოთხი – ფიზიკური აგებულება, ოთხი – სულიერი უნარი, ოთხი – ქვეყნის კუთხე, მთვარის ფაზა, წელიწადის დრო, ცეცხლის ტიმეოსისეული

---

1. Hugues de Fouilloy – XII საუკუნის ფრანგი თეოლოგი.
2. Jeronimo de Prado, Juan Bautista Villaplando –XVI საუკუნის იეზუიტი სწავლულები, მათემატიკოსები და არქიტექტორები.
3. იოანეს გამოცხადება 21, 12-21.
4. გონების გზა ღმერთისკენ
5. Honorius Augustodunensis – (1080-1154) გერმანელი მისტიკოსი ბერი, ფილოსოფოსი.







ტეტრაედრის რიცხვი, ოთხი ასოა სახელში ადამ, და ოთხი იქნება, ვიტრუვიუსის სწავლებით, ადამიანის ციფრი, რადგან ადამიანის სიგანე, გაშლილი მკლავებით, მისი სიმაღლის შესაბამისი იქნება და ამგვარად შექმნის იდეალური კვადრატის სიგანეს და სიმაღლეს.

ოთხი იქნება ზნეობრივი სრულყოფის რიცხვი, ისე, რომ ტეტრაგონს ეწოდება მორალურად მტკიცე კაცი. მაგრამ კვადრატული კაცი ამავე დროს იქნება პენტაგონალური კაციც, რადგან რიცხვი ხუთიც აღსავსეა საიდუმლო შესატყვისებით და პენტადა არის მისტიკური და ესთეტიკური სრულყოფილების სიმბოლო. ხუთი არის წრიული რიცხვი, რომელიც გამრავლებისას მუდამ საკუთარ თავს უბრუნდება (5X5=25X5=125X5=625 და ა.შ.). ხუთია საგანთა ესენცია, ელემენტარული ზონები, ცოცხალ არსებათა გვარები (ფრინველები, თევზები, მცენარეები, ცხოველები, ადამიანები); პენტადა არის ქმნადობის მატრიცა ღმერთისთვის და ის წმინდა წერილშიც გვხვდება (ხუთწიგნეული, უფლის ხუთი წყლული). მით უმეტეს, ის გვხვდება ადამიანში, რომლის ჩაწერა შესაძლებელია წრეში და მისი ცენტრი არის ჭიპი, ხოლო პერიმეტრი, რომელიც შედგება განაპირა წერტილების შემაერთებელი წრფეებისგან, იძლევა პენტაგონს, ხუთკუთხა ფიგურას.

წმინდა ჰილდეგარდას[1] მისტიკა (მისი კონცეპტით *anima symphonizans* შესახებ) ეფუძნება პროპორციების სიმბოლიკას, და თითქმის სრულყოფილ შესატყვისობას კოსმოსის და ადამიანის სხეულის პროპორციებს შორის. XII საუკუნეში ჰუგო დე სენ ვიკტორი ამტკიცებს, რომ ადამიანის სხეული და სული აირეკლავს ღვთაებრივი მშვენიერების სისრულეს, დაფუძნებულია რა სხეული – ლუწ, არასრულყოფილ და არამდგრად ციფრზე, სული – კენტ, დეტერმინირებულ და სრულყოფილ ციფრზე; და სულიერი ცხოვრება ეყრდნობა მათემატიკურ დიალექტიკას, რომელიც ეფუძნება ათეულის სრულყოფილებას.

და მაინც, საკმარისია შევადაროთ შუა საუკუნეების ხელოვანთა, მაგალითად ვილარ დე ჰონეკურის[2] სხეულის პროპორციები დიურერის ან ლეონარდოს პროპორციებს და ნათელი ხდება, რა მნიშვნელობა ჰქონდა ჰუმანიზმის და აღორძინების ეპოქის თეორეტიკოსთა მომწიფებულ მათემატიკურ აზროვნებას.

ქრისტიანული კულტურის განვითარების პარალელურად ებრაულ სამყაროში ვითარდება კაბალისტური მისტიციზმი, რომელიც რენესანსის ეპოქაში გავლენას მოახდენს ევროპის ჰუმანისტურ და რენესანსულ აზროვნებაზე.

კაბალისტურ ჰერმენევტიკაში სამია ხერხი, რომლითაც დაფარულია გამოცხადებები თორაში - წმინდა წიგნში: *Notarikon*, იგივე აკროსტიხის ტექნიკა, სადაც სიტყვების ან ტექსტის სტროფების მხოლოდ პირველ ასოებს იღებენ, მეორე არის *Temurah*, ანუ ანაგრამის ტექნიკა, მესამე სწორედ ისაა, რომელიც ჩვენ გვაინტერესებს - *Gematria*.

ებრაულ კულტურაში რიცხვებს ანბანის ასოებით გამოსახავდნენ. გემატრია სიტყვას ანიჭებს რაოდენობრივ მნიშვნელობას (რომელიც მიიღება ასოების რიცხობრივი შესატყვისების ჯამისგან) და ამრიგად ცვლის ერთ სიტყვას ტოლი რიცხობრივი მნიშვნელობის მქონე მეორე სიტყვით. რეალურად, იგივე ხდებოდა ბაბილონურ და ბერძნულ კულტურებშიც და ალბათ ამას უნდა მივაწეროთ გემატრიის მსგავსი პრაქტიკის გავრცელება გნოსტიკურ წრეებში და სიზმრის ამხსნელთა შორის ელინისტურ სამყაროში. მაგალითად, გნოსტიკოსები ერთმანეთს უთანაბრებდნენ საკრალურ სახელებს აბრაქსასს და მითრას, რაკი ერთნაირი რიცხობრივი სიდიდე გააჩნდათ. ებრაულ სამყაროში, და კაბალას გავრცელებაზე ადრე, გემატრია ზოგჯერ გამოიყენებოდა როგორც მნემონური ხერხი, თუმცა ჰერმენევტიკური მიზნებითაც გამოიყენებოდა: მაგალითად, 318 სახლისნული, რომელზეც მინიშნებულია დაბადებაში *(14,14)* ცვლის ელიაზარს, რაკი ამ სახელის რიცხვი სწორედ 318-ია, ან კიდევ სიტყვა *Geburah* – *წმინდა ცეცხლი* (ერთ-ერთი *სეფიროთი)* გვევლინება *Aryeh*-ის *(ლომი)* ექვივალენტად, რადგან ორივე გვაძლევს 216-ს.

მსგავსი ხერხი საშუალებას გვაძლევს ერთი ტერმინი მეორით შევცვალოთ, საჭიროების მიხედვით,

1. XIIს. გერმანელი მონაზონი, მისტიკოსი, მწერალი, მუსიკოსი.
2. XIIIს. ფრანგი არქიტექტორი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცხადია მაშინ, როდესაც გვეჩვენება, რომ შეცვლას რაიმე აზრი გააჩნია, და ყურადღებას არ მივაქცევთ, როდესაც ორ სიტყვას შორის კავშირში საინტერესო არაფერია. სწორედ ამიტომ, მრავალი კაბალისტი აფრთხილებდა თავის მიმდევრებს გემატრიის უკონტროლო გამოყენების საფრთხეზე, მაგრამ ეს ხერხი თითქოს საგანგებოდ იყო მოგონილი ყველაზე გაბედული ასოციაციების გასამართლებლად.

ექსცენტრიკული ნუმეროლოგიის კიდევ ერთი ფორმას გვთავაზობს პადრე ათანასიუს კირხერი ნაშრომში *Arithmologia sive de abditis numerorum misteriis*. კირხერი იყო XVII საუკუნის გამორჩეული და ენციკლოპედიური ერუდიციის ავტორი, იეზუიტი, რომელიც ყველაფერზე წერდა და ზუსტად გათვალა რამდენიმე საკითხი (მიკროსკოპის გამოყენებით დაადგინა ჭირის გამომწვევი მიკროორგანიზმები, ექსპერიმენტულ დაკვირვებებს აწარმოებდა ვულკანებზე, პირველი მიხვდა ჩინური იდეოგრამების ხატოვან ბუნებას, - ლამის კინოხელოვნების წინასახეს), სამაგიეროდ, ტოტალურად შეცდა ეგვიპტური იეროგლიფების ინტერპრეტაციაში, თუმცა თავი მოუყარა და გამოაქვეყნა უამრავი ექსპონატი, რომელთა ზუსტი გაშიფრვა შამპოლიონმა სწორედ მისი წყალობით შეძლო. კირხერს გზა დაეკარგა კაბალისტურ სპეკულაციებში, შეეშინდა გალილეის მიმდევარი არ გამხდარიყო, და მიეკედლა ტიჰო ბრაგეს[1] *მესამე ძალას*, გონებამახვილურს, მაგრამ ცრუს. რაც შეეხება მათემატიკას, ცხადია, მის ნაკლებობას არ განიცდიდა, და ნაშრომში *Ars Magna Sciendi*, სერიოზული გამოკვლევა მიუძღვნა *ars combinatoria*-ს, თუმცა კი რაიმონდო ლულის სპეკულაციების გამოყენებით. ხოლო არითმოლოგიაში, ამოდის რა პითაგორას იმ პრინციპიდან, რომ რიცხვი უნივერსუმის რაციონალური ესენციაა, საკუთარი თეზისის დასამტკიცებლად იყენებს ილეთებს, რომლებიც კროსვორდების კრებულს უფრო ჰგავს, ვიდრე სერიოზულ მათემატიკურ კვლევას. იგი მისდევს ქრისტიანულ გემატრიას და ასაბუთებს, რომ ანტიქრისტეს ყველა ბერძნულად დაწერილი სახელი, თუ ასოებს მათი რიცხობრივი მნიშვნელობებით შევცვლით, გარდაუვალად 666-ს იძლევა - აპოკალიფსური მხეცის რიცხვს.

ასეა თუ ისე, თუ რიცხვის მისტიკის სპეკულაციები გავლილი საუკუნეების გულუბრყვილობის დამამტკიცებელი საბუთი გვგონია, დავფიქრდეთ იმაზეც, რომ ბოლო საუკუნეებში სხვადასხვა ოკულტურ სერობებზე ნუმეროლოგია, ანუ როგორც მოგვიანებით დაარქვეს, არითმოსოფია, კიდევ უფრო განვითარდა და რიცხვთა დაფარული მნიშვნელობის შესწავლა დაიწყეს, რისი გამოთვლის მოთმინება შუა საუკუნეებს არ ეყო.

XIX საუკუნეში პროფესორი ბუტე, ბავარიის მეფის მრჩეველი, ადგენს, რომ ადამიანის ცხოვრების გარდატეხის პერიოდები დაყოფილია რიცხვით 9, რის გამოც კაცის არსებობის ფუნდამენტური ეტაპებია 18, 27, 36, 45, 54, 63 წელი. შემდეგ, სავარაუდოდ, იმ ეპოქაში, კვდებოდნენ, და დიდად სამწუხაროა, რომ ამ და სხვა, ჩემთვის ცნობილმა ნუმეროლოგებმა კლიმაქტერულად ვერ გამოთვალეს ყველასთვის კარგად ცნობილი, ბედნიერი ქორწინებების "მეშვიდე წლის" კრიზისის ჟამი.

დაახლოებით განმანათლებელთა ენციკლოპედიების თანამედროვე, კლოდ ლუი დე სენ მარტენი[2] ტრაქტატში *Des nombres* ახასიათებს რიცხვებს 2 და 5, როგორც ბოროტების რიცხვებს, *1, 10, 8, 7* და 4 როგორც ჭეშმარიტი სულიერების რიცხვებს, და *3*, 6 და 9 როგორც მატერიის სამ რიცხვს. სენ მარტენის კომპლექსურ მტკიცებულებებს ერთვის პარამეცნიერული დაკვირვებები, მაგალითად ასეთი: "პეპლებს, მკვდრეთით აღმდგარ არსებებს, აქვთ 4 ფრთა და 6 ფეხი", მაგრამ აქ მხოლოდ ერთ მაგალითზე შევჩერდეთ. ებრაული კაბალიდან მომდინარე ტრადიციის საფუძველზე, იგი ხშირად იყენებდა რომელიმე რიცხვის თეოსოფიურ ჯამს. რაკი თავისთავად უსასრულო, ყოველი მთელი რიცხვისთვის მისტიკური მნიშვნელობის მინიჭება შეუძლებელი იყო, მაგალითად რიცხვში *534* შეჯამდებოდა სამივე ციფრი და მიიღებოდა 3 (5+3+4=12; 1+2=3), რის შემდეგ არკვევდნენ რიცხვი 3-ის მისტიკურ მნიშვნელობებს.

განვიხილოთ სენ მარტენის ერთი მაგალითი: ავიღოთ რომელიმე რიცხვი, მაგალითად 3, ავიყვანოთ კვადრატში, მივიღებთ 9, შევაჯამოთ 9 თეოსოფიურად (1+2+3+4+5+6+7+8+9), მივიღებთ 45. ავიყვანოთ 45 კვადრატში, მივიღებთ 2025. ახლა შევაჯამოთ ყველა ის რიცხვი კუბში, რომლებიც ცხრას შეადგენენ (1 + 2 + 3 + 4 + 5 + 6 + 7 + 8 + 9). ჯამი ისევ 2025 იქნება.

მშვენიერია. ამას შეიძლება ვუწოდოთ მათემატიკა და არა ნუმეროლოგია. მაგრამ ვნახოთ სენ მარტენის კომენტარი: "რიცხვებში უამრავი ამგვარ ფორმულის პოვნა შეიძლება, მაგრამ სარგებელი დიდი არაფერია, რადგან არ ვიცით, რაში გამოვიყენოთ". მართლაც ზეამაღლებული და მისტიკური არ არის? ძალიან ყოჩაღია სათითაოდ აღებული რიცხვების სემანტიკის შექმნაში, მაგრამ როგორც ნუმეროლოგმა, არ იცის, მათემატიკური სინტაქსი რაში გამოიყენოს.

არითმოსოფიების მაძიებელი ბევრ მაგალითს იპოვის, თუ XIX საუკუნის ოკულტურ ნაშრომებს გადახედავს, მაგრამ დიდი ვერაფერი სახალისოა. შემოვიფარგლები მხოლოდ ერთი ცნობილი ოკულტისტით, პაპიუსი[3], რომლისთვისაც ყოველი რიცხვი ერთის ემანაციაა (რაც, კაცმა რომ თქვას, ბანალურია), და გარდა ამისა, სულიდან, რომელიც გამოხატულია ერთის ნათლით, მატერიაზე ნელი დაშვება ხდება მიმატების დროს, სწრაფი დაშვება – გამრავლების დროს, ასტრალურში დაშვება – კვადრატულ ხარისხში აყვანისას, და მატერიალურში დაშვება – კუბურ ხარისხში აყვანისას. ხოლო მატერია სულამდე ნაბიჯ-ნაბიჯ მაღლდება გამოკლების, გაყოფის, კვადრატული და კუბური ამოფესვის საშუალებით. დაზუსტებული არ არის, რა გნოსტიკური გამოცდილების საშუალებას იძლევა როზარიო ფედერიკოს ლოგარითმული ტაბულების გამოყენება.

XIX საუკუნიდან მოყოლებული, ნუმეროლოგიის ერთ-ერთ მწვერვალი ხდება პირამიდოლოგია. თუ ნებისმიერ წიგნის მაღაზიაში ნიუ ეიჯის თაროებს გადაქექავთ, ან ინტერნეტს გადახედავთ, ნახავთ, რამ-

1. Tycho Brahe – XVI საუკუნის დანიელი ასტრონომი და ალქიმიკოსი
2. Louis Claud de Saint Martin – XVIII საუკუნის ფრანგი ფილოსოფოსი.
3. ჟერარ ანკოსის, ფრანგი ეზოთერისტის და ექიმის ფსევდონიმი (1865-1916წ).

ეროვნული ბიბლიოთეკა

დენი პირამიდოლოგია დღესაც. მოკლედ, მას შემდეგ რაც ნაპოლეონის ექსპედიციებმა პირამიდები მეცნიერთათვის უფრო ხელმისაწვდომი გახადა, დაიწყო მთელი რიგი აზომვები და რეკონსტრუქციები, განსაკუთრებით ხეოფსის პირამიდისა, რომლის სამეფო კამერაში ფარაონის არავითარი მუმია (არც განძი) არ აღმოჩენილა.

იმის გათვალისწინების მაგივრად, რომ მუსულმანთა გამოჩენის შემდეგ პირამიდები ძარცვის სამიზნედ იქცა, – რაც უფრო გონივრული იქნებოდა – ივარაუდეს, რომ ხეოფსის პირამიდა სულაც არ უნდა ყოფილიყო (ან არ იყო მხოლოდ) სამარხი, არამედ მათემატიკური და ასტრონომიული დიდი ლაბორატორია, რომლის ზომებითაც მომავალ თაობებს უნდა გადასცემოდა ძველი მშენებლების ცოდნა, შემდეგ დაკარგული. ცოდნა, რომელიც შესაძლოა ეგვიპტელებს არც ჰქონოდათ, რამდენადაც, ზოგი პირამიდოლოგის აზრით, პირველი მშენებლები დროში და სივრცეში ბევრად უფრო შორიდან მოდიოდნენ, და შესაძლოა სხვა პლანეტიდანაც.

დღეს ჩვენ ვიცით, რომ ხეოფსის პირამიდის გვერდის ზომაა დაახლოებით 230მ. (ოდნავი სხვაობით სხვადასხვა გვერდებს შორის, რაც გამოწვეულია ქვის ეროზიით და იმით, რომ აკლია მოპირკეთების გლუვი ფილები, რომლებიც მუსლიმებმა მეჩეთებისთვის გაზიდეს). სიმაღლეა 146 მეტრი. აშკარად, პირამიდა ოთხი მხარის შესაბამისად ჩანს ორიენტირებული (გრადუსის 1/10-ზე ნაკლები სიზუსტით) და შესასვლელის ერთ-ერთი დერეფნიდან უნდა დაენახათ ის, რაც მისი მშენებლობის დროს პოლარული ვარსკვლავი იყო. ამან სრულებით არ უნდა გაგვაკვირვოს, რადგან ძველები ცას ყურადღებით აკვირდებოდნენ და, სტოუნჰენჯიდან ქრისტიანულ კათედრალებამდე, ორიენტაციის საკითხს დიდ ყურადღებას აქცევდნენ.

და მაინც, პრობლემა იყო დაედგინათ, ზომის რა ერთეულებს იყენებდნენ ეგვიპტელები, რადგან გარკვეული სიგრძის მეტრების ან სანტიმეტრების დღევანდელ ერთეულებზე გადაყვანისას 666 კიდევაც რომ მიგვეღო, მეტისმეტად გაზვიადებული იქნებოდა გვეფიქრა, რომ ძველ ეგვიპტელებს მხეცის აპოკალიფსური რიცხვის გამოსახვა სურდათ: ძველებურ ნყრთაში გამოხატული იგივე სიგრძე ეგვიპტელებისთვის საერთოდ არაფერს არ მიანიშნებდა.

XIX საუკუნის დასაწყისში ვინმე ჯონ ტეილორმა, რომელსაც პირამიდები თვალითაც არ ენახა და სხვის ნახაზებს იყენებდა, აღმოაჩინა, რომ პირამიდის პერიმეტრი გაყოფილი გაორმაგებულ სიმაღლეზე (ან ფუძის სიგრძე გაყოფილი სიმაღლეზე და შედეგი გამრავლებული ორზე) იძლეოდა a რიცხვის[1] ძალიან მსგავს სიდიდეს. ამ აღმოჩენის საშუალებით ტეილორმა გამოიანგარიშა, რომ პირამიდის სიმაღლესა და პერიმეტრს შორის შეფარდება დედამიწის პოლარულ რადიუსსა და მის გარშემოწერილობას შორის შეფარდების მსგავსია. ტეილორის აღმოჩენებმა დიდი გავლენა მოახდინა, 1865 წელს, ერთ შოტლანდიელ ასტრონომზე, ჩარლზ პიაცი სმიტზე, რომელიც ტეილორს მიუძღვნის წიგნს *Ourinheritance in the great pyramid.* სმიტმა გამოთვალა, კაცმა არ იცის რის საფუძველზე, რომ ეგვიპტური წმინდა წყრთა (დაახლოებით 63 სმ.) შედგებოდა 25 „პირამიდული დუიმისგან", და ეს პირამიდული დუიმი, სასწაულებრივად, შეესაბამებოდა ინგლისურ დუიმს. წიგნში იგი მთელს თავს უძღვნის რესპუბლიკური და ანტიქრისტიანული ფრანგული დეციმალური სისტემის ხელოვნურობის კრიტიკას და ხოტბას ასხამს ინგლისური სისტემის ღვთაებრივ კანონებთან შესაბამის ბუნებრიობას.

პერიმეტრი, საბოლოო ჯამში, შეესაბამებოდა 36.506 პირამიდულ დუიმს. ამ რიცხვის 10.000-ზე გამრავლებით და, ღმერთმა იცის რატომ, დეციმალური მძიმის ჩამატებით, მიიღება მზის წელიწადის დღეთა ზუსტი რიცხვი (365,06). პიაცის ერთმა მიმდევარმა, ფლინდერს პიტრიმ (თუმცა შემდეგ, როგორც ამბობენ, გადაკვრით მიანიშნა, რომ მაესტრო დერეფნის ქვის ბლოკებს ხეხავდა, რათა ზომები საკუთარი გამოანგარიშებებისთვის დაემთხვია), დაადასტურა ა გათვლები და აღმოაჩინა, რომ მეფეთა კამერაში არსებობს სიგრძისა და პერიმეტრის a ურთიერთშემართება. თუ სამეფო კამერის სიგრძეს (პირამიდულ დუიმში) გავამრავლებთ 3.14-ზე, მივიღებთ 365,242, დაახლოებით წელიწადის დღეთა რიცხვს.

როგორც პიაცის ერთი რუკა აჩვენებს, მერიდიანი და პარალელი რომლებიც პირამიდაში კვეთენ ერთმანეთს (ჩრდილო განედის 30° და აღმოსავლეთ გრძედის 31°), ყველა სხვა მერიდიანზე ან პარალელზე მეტ დედამიწის ფართობს გადაკვეთენ, თითქოს ეგვიპტელებს სურდათ, პირამიდა ქვეყნიერების შუაგულში დაედგათ.

მოკლედ, პიაცის და შემდგომი პირამიდოლოგების გამოკვლევით დადგინდა, რომ პირამიდის სიმაღლე, გამრავლებული 1.000.000-ზე, ეს არის დედამიწასა და მზეს შორის მინიმალური მანძილი (ანუ 146 და არა 147 მლნ.კმ.). პირამიდის წონა, გამრავლებული 1.000.000-ზე დედამიწის წონას უახლოვდება. პირამიდის გვერდების სიგრძის გაორმაგებით მივიღებთ სიდიდეს, რომელიც, ეკვატორის განედზე, თითქმის ზუსტად შეესაბამება გრადუსის 1/60-ს. ბოლოს, ერთიც: კედლების რკალი (შეუიარაღებელი თვალისთვის შეუმჩნეველი) დედამიწის რკალის იდენტურია. დასკვნა: დიდი, ანუ ხეოფსის პირამიდის ზომა დედამიწის 1:43.200 მასშტაბია. მიაქციეთ ყურადღება, რომ შუა საუკუნეების არქიტექტორები, მიუხედავად იმისა, რომ ოქროს კვეთას არ იცნობდნენ, ხელოსნური ინსტინქტის კარნახით აგებდნენ სტრუქტურებს, სადაც შემდგომ ამ ღვთაებრივი პროპორციის მაგალითები აღმოჩნდა.

მეორე მხრივ, XIX საუკუნის ერთმა ფსიქოლოგმა, ფეშნერმა, დაამტკიცა, რომ თუ მათემატიკასთან მწყრალად მყოფ ადამიანებს სხვადასხვა ზომის სავიზიტო ბარათებს შევთავაზებთ, უმრავლესი მათგანი ინსტინქტურად ირჩევს ბარათს, სადაც გვერდების პროპორციები ოქროს კვეთის პრინციპს იმეორებს. ასე რომ, თუ ადამიანის თავი ისეა მოწყობილი, რომ გარკვეულ პროპორციებს იწონებს, ძველ

1. პი ან a – ცნობილი, როგორც არქიმედეს ან ლუდოლფის მათემატიკური კონსტანტა, არის ნამდვილი ტრანსცენდენტური (და ამიტომ ირაციონალური) რიცხვი, რომელიც დაახლოებით 3.14159-ს უდრის და წრეწირის სიგრძის მის დიამეტრთან შეფარდების ტოლია)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეგვიპტელებსაც შეეძლოთ გარკვეული მიმართებები აერჩიათ, მიუხედავად იმისა, რომ ბაბილონელებზე და ასირიელებზე ნაკლებ მათემატიკურ ცოდნას ფლობდნენ, და მათი გეომეტრია ნილოსის ადიდების შემდეგ დარჩენილი სავარგულების აზომვას ემსახურებოდა, და საფიქრალია, რომ სწორედ ამგვარ პრაქტიკას ეყრდნობოდა მათი არქიტექტორების პრაქტიკა. ისიც მართალია, რომ a, ანუ მასთან ძალიან მიახლოებული სიდიდე (3.1605) აღმოჩნდა ძვ.წ. XX საუკუნის რინდის პაპირუსში, მაგრამ სავარაუდოდ, პირამიდის მშენებლები ემპირიულად ლერწმებით ზომავდნენ, და ამით გასაგებია, რატომ იყო მათი ზომები ფატალურად მიახლოებითი. და ბოლოს, გამოითქვა ვარაუდი, რომ აზომვებს აწარმოებდნენ ბორბლის დიამეტრსა და გარშემოწერილობას შორის შეფარდების მოდელით და ამიტომ a რიცხვი ავტომატურად უცვლელად ფიქსირდებოდა. ასე რომ, მოდით, ამ პი რიცხვს თავი დავანებოთ. საქმე ის არის, რომ პირამიდოლოგებს სურთ თქვან, რომ ეგვიპტელებს პირამიდის საშუალებით უნდოდათ გადმოეცათ მეცნიერული მონაცემების მთელი ენციკლოპედიური ცოდნა, რომელიც, შეუძლებელია, რომ მათ სცოდნოდათ.

პიაცი სმიტი ეგვიპტოლოგი არ ყოფილა, ასტრონომი იყო. არც მეცნიერების ისტორიაში ყოფილა დიდად გარკვეული. ის კი არა, სალი აზრიც ღალატობდა ხოლმე: გავიხსენოთ თეზისი პირამიდის მდებარეობის შესახებ კონტინენტების ცენტრში: ამ ვარაუდის გასამართლებლად, უნდა დაგვეშვა, რომ ეგვიპტელებს ჩვენი გეოგრაფიული რუკები ხელთ ჰქონდათ და ზუსტად იცოდნენ შეერთებული შტატების და ციმბირის მდებარეობა, გრენლანდიის და ავსტრალიის არსებობაზე რომ არაფერი ვთქვათ. ყოველ შემთხვევაში, არც ერთი აღმოჩენით არ დასტურდება, რომ ეგვიპტელებს რაიმე სარწმუნო რუკა შეედგინათ. ასევე შეუძლებელია სცოდნოდათ კონტინენტთა საშუალო სიმაღლე ზღვის დონიდან. თუმცა კი სოკრატემდელთა დროიდან (პირამიდების აშენებიდან მრავალი საუკუნის შემდეგ), ფეხს იკიდებს აზრი დედამიწის სფერულობის შესახებ, საეჭვოა ეგვიპტელებს ზუსტი აზრი ჰქონოდათ დედამიწის მათემატიკური რკალის და გარშემოწერილობის შესახებ, რაკი ერასტოსთენემ მხოლოდ ძვ.წ. III საუკუნეში გამოთვალა, საკმაოდ მიახლოებით, დედამიწის მერიდიანის სიგრძე.

რაც შეეხება დედამიწისგან მზის დაცილებას, უნდა დაველოდოთ ადეკვატური საზომი ხელსაწყოების გამოგონებას. იმის თქმა არ მინდა, რომ ეგვიპტელებს, ეპიკურეს მსგავსად, მზე იმაზე დიდი არ ეგონათ, როგორიც ჩანს, ანუ დაახლოებით 30 სანტიმეტრიანი დიამეტრის, მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, ეს ადეკვატური ხელსაწყოები არ გააჩნდათ და, ყოველ შემთხვევაში, 1 მილიონი კილომეტრით მაინც შეცდებოდნენ. და ბოლოს, გამოთვლები, რომელიც პირამიდის წონას დედამიწისას უტოლებს, შეუძლებელი რამ არის, რადგან დღესაც არ ვიცით ზუსტად, პირამიდა მის ყოველ ნაწილში სავსეა თუ არა.

ამ კრიტიკას პირამიდოლოგები არ სცნობენ. როგორც, საერთოდ, ოკულტური ტრადიციის ყველა მიმდევარი, ისინიც მიიჩნევენ, რომ ძველები, ან, შესაძლოა, კოსმოსიდან მოსული სტუმრები, რომლებმაც ეგვიპტელები გაანათლეს, - ფლობდნენ ჩვენზე მეტ ცოდნას, და ეს ცოდნა შემდეგ დაიკარგა (და ჩვენი უბადრუკი ექსპერიმენტული მეცნიერებისთვის დღესაც უცნობია). მაშ, პირამიდა სწორედ ჩვენთვის ამ დავიწყებული ცოდნის გადმოცემას ემსახურებოდა. ერთგან პიაცი წერს: "წვერიდან ფუძემდე, დიდი პირამიდის ზომები ეგვიპტურ დუიმში უდრის 161.000.000.000. რამდენმა ადამიანმა იცხოვრა დედამიწაზე ადამიდან დღემდე? მიახლოებით, ძალიან მიახლოებით, სადღაც 153.000.000.000-სა და 171.000.000.000 შორის". (*Our Inheritance*, London,1880, p. 583). საინტერესოა, რომ თუ პირამიდაში განჭვრეტილი იყო დედამიწის მცხოვრებთა რაოდენობა მომავალ საუკუნეებში, რატომ უნდა შეჩერებულიყვნენ პიაცი სმიტის საუკუნეში და სიფრთხილის გამო, არ იანგარიშეს ერთი ათასწლეულით მეტი, ან კიდევ ცოტა იქით?

ამ მეცნიერული პრინციპების საფუძველზე, პიაცი სმიტი ხაზობრივ და მოცულობით კავშირებს ხედავდა სამეფო კამერაში აღმოჩენილ სარკოფაგს, ნოეს კიდობანსა და აღთქმის კიდობანს შორის (ეს უკანასკნელი, რამდენადაც ვიცი, ინდიანა ჯონსის მეტს ძეხორციელს არ უნახავს), რადგან ბიბლიური ზომის ერთეულები ვარგისად მიაჩნდა და დიდი ყოყმანის გარეშე გადაჰყავდა ებრაული წყრთა ეგვიპტურ წყრთაზე.

არა მხოლოდ ეს. დერეფნების სიგრძეებს შორის მიმართება ზოგიერთ ტრაგიკულ ფაქტსაც კი მიუთითებდა, მაგალითად მომავალ გამოსვლას (ძვ.წ. 1553წ.), და რაკი გამოსვლას და ჯვარცმას 1485 წელი აშორებს, ამით მიუთითებდა იესოს ჯვარცმის თარიღსაც. პიაცი სმიტის "წინაპრის" (ტეილორის) სხვა გამოთვლებით, სამეფო კამერისკენ მიმავალი ორი დერეფნის სიგრძის ჯამი უდრის იესოს მონაფეების მიერ დაჭერილი თევზის რიცხვს. გარდა ამისა, რაკი ბერძნულად თევზს (*iktys*) მიეწერება რიცხობრივი სიდიდე 1224, ადვილად დავასკვნით, რომ 1224 ეს არის რვაჯერ 153. რატომ რვაჯერ? ბუნებრივია იმიტომ, რომ ეს არის რიცხვი, რომელზე გაყოფით 1224 იძლევა 153-ს (მას შემდეგ, რაც წინა რიცხვებზე გაყოფა ვცადეთ, შვიდამდე). და 1224 რომ არც ერთ რიცხვზე არ გაყოფილიყო, რომელიც 153 იძლევა? ცხადია, ეს მაგალითი ვარგისად არ ჩაითვლებოდა და არც ვახსენებდით. ასეთივე წესით გამოთვალეს პირამიდოლოგებმა, რომ ზუსტი რიცხვი, რომელიც იესომ ქვეყნად იცხოვრა 12.240 დღეა. ეს არის შედეგი ოპერაციისა 10*8*153. აქ საკმარისი იყო 1224 გაგვემრავლებინა ათზე და შემდეგ გაგვეყო 80-ზე: ამოცანა მდგომარეობდა მხოლოდ იმაში, რომ უნდა დაედგინათ – 12.240 იყო იესოს მიწიერი ცხოვრების დღეები. ამ ანგარიშს არცერთი ბიბლიური ტექსტი არანაირად არ გვკარნახობს -- იმიტომაც, რომ თუ იესომ 33 წელი იცხოვრა, 33X365 გვაძლევს 12.045, და იესოს დაბადების წელი ნაკიანიც რომ ყოფილიყო, 9 ნაკიანი წელი მოუწევდა და საბოლოო ჯამში, როგორც მაქსიმუმი, 12.054 დღეზე ავიდოდით (მაგრამ რადგან ბოლო წელი აღდგომას წყდება, ეს რიცხვი უფრო ნაკლები იქნებოდა).

საქმე ის არის, რომ რიცხვებით რასაც გინდა, იმას იზამ. სწორედ პირამიდოლოგთა აღმოჩენებზე დისკუსიისას ერთმა არქიტექტორმა, ჟან-პიერ ადამმა, ექსპერიმენტი ჩაატარა მისი სახლის ახლოს მდებარე ლატარიის ბილეთების ჯიხურზე. დახლის სიგ-

ეროვნული

რძე იყო 149 სმ. ანუ დედამიწის მზისგან დაშორების ერთი ასმილიარდედი. უკანა კედლის სიმაღლე გაყოფილი ფანჯრის სიგანეზე უდრიდა 176/56=3,14. წინა კედლის სიმაღლე იყო 19 დეციმეტრი და ამრიგად, ბერძნული მთვარის წელიწადთა რიცხვის ტოლი. წინა ორი ქიმის სიმაღლეთა და უკანა ორი ქიმის სიმაღლეთა ჯამი უდრიდა 190X2+176X2=732, რომელიც გახლავთ პუატიეში გამარჯვების თარიღი. დახლის სისქე 3,10 სმ და ფანჯრის ჩარჩოს სიგანე 8,8 სმ. თუ მრთელ რიცხვებს ანბანის შესაბამისი ასოთი შევცვლით, მივიღებთ C10h8, რაც ნაფტალინის ფორმულაა.

გავაგრძელოთ ადამის თამაში: თუ მაქვს საკრალური რიცხვი 9 და მსურს მივიღო 1314 – ტამპლიერების დიდი მაესტროს, ჟაკ ლე მოლეს კოცონზე დაწვის თარიღი, მას გავამრავლებ 146-ზე, კართაგენის დანგრევის ტრაგიკულ თარიღზე. როგორ მივედი ამ შედეგამდე? გავყავი 1314 ორზე, სამზე, და ა.შ. ვიდრე არ ვიპოვე საჭირო თარიღი. შემეძლო 1314 გამეყო 6,28-ზე (ორჯერ 3,14) და მიმეღო 209 – პერგამოსის მეფის, ატალოსის აღსაყდრების თარიღი.

ამ ნუმეროლოგიური ტრადიციებით იმიტომ შეგაღონეთ, რომ მსგავს მსჯელობას დღესაც გაიგონებთ. ავიღოთ, მაგალითად, ადრე ნახსენები ტრაგიკული თარიღი, 11 სექტემბერი. პარანორმალური მოვლენების შესახებ მტკიცებულებათა კონტროლის კომიტეტის პატივცემული ჟურნალი *"მეცნიერება და პარანორმალური"* გასული წლის სექტემბრის ნომერში აქვეყნებს პაოლო ატივისიმოს მთელ რიგ ნუმეროლოგიურ სპეკულაციებს ამ თარიღთან დაკავშირებით. რამდენიმეს მოგახსენებთ: ნიუ იორკ სითი 11 ასოს შეიცავს, აელანეთიც (ავლანისტანი) 11 ასოსგან შედგება, რამზი იუზეფის სახელიც – ტერორისტისა, რომელიც კოშკების განადგურებით იმუქრებოდა, – 11 ასოსგან შედგება, ჯორჯ W. ბუშის სახელიც. ტყუპი კოშკების ფორმა – 11 რიცხვს ჰგავს, ნიუ იორკი მე-11-ე შტატია, პირველ კოშკს დაჯახებული თვითმფრინავის რეისის ნომერი 11 იყო, თვითმფრინავის მგზავრთა რიცხვი 92 (9+2=11), თვითმფრინავში, რეისის ნომრით 77, 65 მგზავრი იყო (6+5=11), თარიღი 9/11 მსგავსია ამერიკაში სასწრაფო დახმარების ნომრის – 911, რომლის ელემენტთა ჯამი უდრის 11. ყველა თვითმფრინავის მსხვერპლთა რაოდენობა 254, რომლის ელემენტთა ჯამიც გვაძლევს 11. 11 სექტემბერი წლიური კალენდრის 254-ე დღეა, რომლის ელემენტთა ჯამი არის 11. და ასე შემდეგ, კაბალისტურად. რას ვუპასუხებთ ამ, ერთი შეხედვით სასწაულებრივ დამთხვევებს? ნიუ იორკის რიცხვი არის 11, თუ სითიც დაემატება, ავლანეთში არის 11 ასო, მაგრამ ტერორისტები საუდის არაბეთიდან, ეგვიპტიდან, ლიბანიდან და არაბული ემირატებიდან იყვნენ, რამზი იუზეფი 11 ასოსგან შედგება, თუ შეგნებულად გარკვეული ტრანსლიტერაციით წარმოვადგენთ, მაგრამ განსხვავებულ ტრანსლიტერაციაში (Iusseb) არ გაჭრიდა, ჯორჯ ბუშის სახელში 11 ასოა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შუა ინიციალსაც ჩავსვამთ, და როგორც ინიციალს და არა მთლიან სახელს, ტყუპი კოშკები გვანან რიცხვს 11, მაგრამ ასევე რომაულ 2-ს, 77 ნომერი რეისი ერთ-ერთ კოშკს კი არა, პენტაგონს დაეჯახა და მგზავრების რიცხვი იყო 59 და არა 65, მსხვერპლთა საერთო რიცხვი იყო 265 და არა 254 და ა.შ. კიდევ ერთხელ, ნუმეროლოგმა ქვებს გვერდები მოახეხა, როგორც პიაცი სმიტმა პირამიდებს. და კიდევ ერთხელ, ადეკვატური მაგალითების შერჩევით, ფაქტების იმ ერთობლიობიდან, შეიძლებოდა მიგვეღო არა 11, არამედ 13, 10 ან 666. დასასრულს, გთავაზობთ ნუმეროლოგიაში შეტანილ ჩემს ორიგინალურ წვლილს: რამდენიმე ხნის წინ დავწერე დენ ბრაუნის *"და ვინჩის კოდის"* პაროდია, საიდანაც მომაქვს ჩემ მიერ მიღწეული არაჩვეულებრივი შედეგების ამონარიდი.

თუ ლეონარდოს საიდუმლო სერობას დავაკვირდებით, (რომლის სახელში 13 ასოა, ენახავთ, რომ ფრესკაზე ჩანს 13 უჯრედი, ფანჯრის ღიობის ჩათვლით, და 13 წვეული. ხოლო, თუ იესოს და, შემდეგ, იუდას მოვაცილებთ (რომლებიც მალევე მოკვდებიან), სერობაზე 11 წვეული დარჩება. 11 არის იუდას და პეტრეს სახელების შემადგენელ ასოთა ჯამი, 11 – *აპოკალიფსის* ასოები, 11 – *საიდუმლო სერობის (Ultima Coena)* ასოები, იესოს მარჯვნივ და მარცხნივც, ორჯერ, ვხედავთ ერთ მოციქულს – გაშლილი ხელებით, მეორეს – გაშლილი საჩვენებლით, და ორივე შემთხვევაში ქმნიან რიცხვს 11. გარდა ამისა, ელემენტარული კაბალისტური პრინციპის გათვალისწინებით, თუ ანბანის 26 ასოდან თითოეულს არითმეტიკული პროგრესიით დავნომრავთ და სახელის ასოებს შევცვლით რიცხვებით, ლეონარდო და ვინჩის სახელი მოგვცემს 12 + 5 + 15 + 14 + 1 + 18 + 4 + 15 + 4 + 1 + 22 + 9 + 14 + 3 + 9 = 146, და ელემენტების ჯამი მოგვცემს 11-ს. იგივე ოპერაცია ჩავატაროთ სახელზე მათე: ასოების რიცხვითი სიდიდე უდრის 56-ს, მისი ჯამი კი 11-ს. 11X11 გვაძლევს 121: თუ ამას გამოვაკლებთ 10 მცნებას, მივიღებთ 111-ს.

ახლა ვნახოთ რა ხდება იოანეს/Iohannes და იუდას შემთხვევაში. იოანეს ასოთა რიცხვითი სიდიდე არის 78, რომლის ელემენტთა ჯამი გვაძლევს 15-ს, რომლის ელემენტთა ჯამი თავის მხრივ გვაძლევს 6-ს. რიცხვი 6-ის ეს ორმაგი, დაჟინებული მიღება გვიჩენს სურვილს, რომ მასზე გავამრავლოთ 111 და აი, ასე მივიღებთ 666-ს – მხეცის რიცხვს. შეუძლებელია ამდენი დამთხვევა შემთხვევითი იყოს. საიდუმლო სერობა, გარდა იმისა, რომ აცხადებს ქრისტეს მიმართ ჩადენილ გამცემლობას, ამავე დროს, გვაუწყებს ანტიქრისტეს მოსვლას. ბუნებრივია, რომ ანგარიშში დასამთხვევად, იძულებული გავხდი იოანეს და პეტრესთვის ლათინური სახელი ამერჩია (Petrus, Iohannes), ხოლო მათესთვის – იტალიური (Matteo), იუდა ჯერ იტალიურად (Giuda) და მერე ლათინურად მოვიხსენიე (Judas), საიდუმლო სერობა Ultima Coena - ლათინურად (რაც აუცილებელი არ ყოფილა), და რიცხვი 111 რომ მიმეღო, 121-ს გამოვაკელი 10, ცნებების რიცხვი და არა მაცხოვრის 5 წყლული ან ხორციელი მოწყალების 7 საქმე.

ნუმეროლოგიაში ასეა და იმედია, არ გამიწყრებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯაბა ზარქუა

# ასანთთან თამაში სახიფათოა!




**გაეტან სუსი, გოგონა, რომელსაც ძალიან უყვარდა ასანთი". ფრანგულიდან თარგმნა ირინა ლაბაძემ. თბ. „აგორა", 2016.**

მე თუ მკითხავთ, ეპიგრაფი წიგნის თავშიც უნდა იყოს და ბოლოშიც. რა მიმზიდველიც არ უნდა იყოს ეპიგრაფი, მაინც მავიწყდება შუა კითხვის დროს და ვინმემ რომ მკითხოს, შეიძლება ვერც გავიხსენო არათუ რა ეწერა ეპიგრაფად, არამედ საერთოდ ჰქონდა თუ არა ის წიგნს. არადა, მთელ რიგ შემთხვევებში უმნიშვნელოვანესი რამაა. ავტორი ხომ ჯერ წიგნს წერს (თუნდაც გონებაში) და ეპიგრაფს მერე არჩევს სათქმელის გასამყარებლად?! მკითხველიც ასევე უნდა მოიქცეს - ჯერ წიგნი წაიკითხოს ბოლომდე და მერე მიუბრუნდეს ეპიგრაფს. გირჩევთ, რომ გაეტან სუსის წიგნს „გოგონა, რომელსაც ძალიან უყვარდა ასანთი" თუ წაიკითხავთ, სწორედ ასე მოიქცეთ.

*„ადამიანი (მაგალითად „მე") ტკივილს განიცდის, მაგრამ ამით იგი არაფერს ფლობს. ტკივილს შესაძლოა ჰქონდეს სიძლიერე, გამოვლენის ადგილი და ა.შ., მაგრამ მას ვერ ეკულება მესაკუთრე. რა არის ტკივილი, რომელსაც არავინ „განიცდის"? ტკივილი, რომელიც სინამდვილეში არავის ეკუთვნის? სირთულე იმაში მდგომარეობს, რომ ტკივილი მუდამ ისეა წარმოდგენილი, თითქოს რაიმე საგანი იყოს, რომელიც შეგვიძლია ისევე აღვიქვათ, როგორც ასანთის კოლოფი".*

წიგნის კითხვის დაწყებამდე რთულია ამ სიტყვების გაგება, თუმცა ერთი რამ კი ცხადია - ხვდები, რომ ავტორი რაღაც ძალიან დიდ ტკივილზე აპირებს საუბარს. ინტუიციურმა მკითხველმა ისიც კი შეიძლება იეჭვოს, რომ წიგნში არ დახვდება რაიმე ორგრომიანი დრამა ვერშემდგარი სიყვარულით გულგატეხილი გოგოსა თუ დედის სიკვდილით დამწუხრებული ბიჭის შესახებ, არამედ ამის სანაცვლოდ იქნება რაღაც დიდი სურრეალისტური ამბის მდინარება. ინტუიციური მკითხველისა რა გითხრათ, მაგრამ სწორედ ეგ გავიფიქრე და მართალიც გამოვდექი.

ძალიან დიდი უცნაურობა ხდება წიგნში. აქ შეხვდებით და-ძმას, რომელთაგანაც გოგონა საკუთარ სქესს არ აღიარებს და თავი ბიჭი ჰგონია. მათ მამას, რომელიც პირველივე გვერდზე კვდება და მთელი სიუჟეტი მისი სიკვდილის ირგვლივ იგება. სახლს, რომელსაც აქვს ფარდული და ქალაქისგან მოშორებით, „ფიჭვნარს იქით" მდებარეობს. ფარდულს, რომელშიც არის დამწყვდეული გოგონას ტყუპის ცალი, რომელსაც მასობრივი დამწვრობის გამო მთელი სხეული მუმიასავით აქვს შეხვეული დოლბანდებში და რომელსაც „სამართლიანი სასჯელი" ჰქვია, რაც ფრანგულად (ორიგინალის ენა) ჟღერს როგორც Juste Ch  timent. ამ ორი სიტყვის ინიციალებს კი საითაც მივყავართ ყველაზე ზედაპირული თვალიც შეამჩნევს.

რომანში მოქმედება საკმაოდ დინამიურად ვითარდება. ავტორი ისეთი ორიგინალური რაკურსით გაყურებინებთ მოვლენებს, რომ სულ გიჩნდებათ კითხვები, გრჩებათ სათქმელი და ერთი სული გაქვთ გაარკვიოთ, რა ჯანდაბა ხდება ამ უცნაური ოჯახის თავს. რატომ ჰგონია გოგოს, რომ არის ბიჭი? რატომ არის ბიჭი უსასტიკესი? რატომ არის მამა გულგრილი შვილების მიმართ? რატომ ცხოვრობენ იზოლირებულად? რატომ მოუკვდა მამას ცოლი? რა შუაშია რელიგია? რატომ არის ამხელა გარყვნილება და სიბინძურე?

ჩემი აზრით, ეს წიგნი ძალიან კარგად გამოხატავს შემოქმედის ტკივილსა და სევდას. შემოქმედისა, რომელსაც არაფერი გამოუვიდა და ხელი ჩაიქნია. რომელსაც გლოვის გარდა სხვა არაფერი ეხალისება. რომელსაც თავისივე შექმნილები აუმ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხედრდნენ და ახლა გაბოროტებულს ისღა დარჩენია, რომ ყველა და ყველაფერი შეიზიზღოს, ჩაიკეტოს, მიუშვას ნებაზე თვითგანადგურების გზაზე მდგომი უბადრუკი არსებები. ქვა ქვაზეც ნუ დარჩენილა! ჩემი აზრით, ამ წიგნში ბრწყინვალედ არის აღწერილი სამყაროს დასაბამის ავტორისეული ვერსია. მთელი ის დომხალი, რაც შემოქმედებასთან იყო კავშირში. გებულობ ფაქტებს ბატონი სუასონის შესახებ და გგონია, რომ ალბათ ამას თუ გრძნობდა ღმერთი, როცა ედემის ბაღში ასახლებდა საყვარელ არსებებს, რომლებმაც საბოლოო ჯამში მას უღალატეს. ისე, არ იფიქროთ, რომ წიგნი თქვენს რელიგიურ გრძნობებს სალბუნად დაეფინება, ნურას უკაცრავად! უფრო პირიქითაც კი, ამ წიგნის კითხვა განსაკუთრებით სახიფათო და შეურაცხმყოფელი იქნება ოჯახის სიწმინდისა და რელიგიის მცველებისათვის. დიახ, აქ ნახავთ ისეთ შესაქმეს, როგორიც ბიბლიაში არაა აღწერილი. მეტიც - აქ ნახავთ შესაქმის ვერშემდგარ ვარიანტს, ანუ იმას, რაც რეალურად მოხდა კიდეც. მთელი ეს ინცესტი, გარყვნილება, სიბინძურე, სისასტიკე, სადიზმი და ნეკროფილია ხომ სწორედ ცივილიზაციისგან მოწყვეტილი ბატონი სუასონის შემოქმედების ენერგიის აფეთქებითაა გამოწვეული?! ცარიელი ფურცლის ვნება, რომელიც უნდა შეივსოს მთელი რომანის მამოძრავებელი ძალაა. ფარდულში გამომწყვდეული ქრისტე (ანუ „სამართლიანი სასჯელი" იგივე Juste Ch   timent ანუ J.C. ანუ Jesus Christ), რომელიც იტანჯება „სამართლიანად" და ბრაზით გამოწვეული მიზოგინია, რომელიც მთელს წიგნში მძლავრადაა წარმოჩენილი პერსონაჟების მხრიდან (ბატონ სუასონს ქალთა მოდგმა ეჯავრებოდა, როგორც სჩანს. ალბათ იმიტომ, რომ საყვარელი ცოლი შვილის გაუფრთხილებლობით დაეწვა და მოუკვდა. ამის გამო (?) მეორე ქალიშვილს ვაჟიშვილობა ჩააგონა და დააჯერა. ზოგადად ქალებს კი ორად ჰყოფდა, როგორც ბავშვისგან გავიგეთ - „მეძავებად" და „წმინდა ქალწულებად". ყველა ძირითადად მეძავი იყო, წმინდა ქალწული მხოლოდ მისი ცოლი იქნებოდა ალბათ) კიდევ უფრო გვხლართავენ ბიბლიურ ამბებში და სულ უფრო და უფრო გვარწმუნებენ შემდეგში - ეს წიგნი არის მყრალი ნატურალიზმით აღწერილი შესაქმის საგალობელი, გულის დამდაგველი ბლუზი შემოქმედისა.

წიგნის ბოლოში აუცილებლად მიუბრუნდით ეპიგრაფს, როგორც გირჩიეთ ზემოთ. მიუბრუნდით და ყველაფერი მალევე დალაგდება არეულ გონებაში - თურმე რა ტკივილზე გვესაუბრებოდა ავტორი! ამ ტკივილს უკვე ვგრძნობთ, ვხედავთ და შეგვიძლია ხელითაც შევეხოთ და გადაეფურცლოთ წინ და უკან, ან სულაც თავიდან წავიკითხოთ ან უკვე სხვა თვალით და მეტი დაკვირვებით. ჰო, ავტორმა მოახერხა, რომ წიგნი გასაგნებულ ტკივილად ექცია, რომელიც ყველასია და ამავდროულად არავის ეკუთვნის და რომელიც ისევე შეგვიძლია აღვიქვათ, როგორც ერთი უბრალო ასანთის კოლოფი. ასანთზე კი ხომ გახსოვთ, მკაცრი ხმა ჩვენი ბავშვობიდან - ასანთთან თამაში სახიფათოა, ბავშვებო!



ეროვნული
ბიბლიოთეკა


# აქ შეიძლება ყოფილიყო
# თქვენი რეკლამა

ტელ: 577 747-719
ელ-ფოსტა: info@arilimag.ge


n42/102

